საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყნის რჩეული
გაზეთი

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 იანვარი პარასკევი 2010

№010(12998) ფასი 60 თეთრი




# დოპინგში! ჯაკობია ტესტზე ჩავარდა



საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ლაშა ჯაკობია** დიდ სკანდალში გაეხვია - 29 წლის ფეხბურთელი დოპინგტესტზე ჩავარდა და ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. 26 სექტემბერს ჯაკობიას „არსენალი" ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" 1:2 დამარცხდა, რის შემდეგაც ქართველმა ფეხბურთელმა დოპინგტესტი გაიარა...

პასუხი დადებითი აღმოჩნდა. განმეორებით ცდაზე თავად ჯაკობიამ თქვა უარი. უკრაინული მედიის ცნობით, ლაშამ აღიარა, რომ საქართველოში ყოფნისას, ღვინოში ნარკოტიკული ნივთიერება მეტადონი გააზავა და ეს თურმე სტრესის მოსახსნელად გააკეთა. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ლაშას გულწრფელი აღიარება და მხოლოდ ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარა (წესით, ერთწლიანი ეკუთვნოდა).

ახალ სეზონში ჯაკობიამ კიევის „არსენალის" რიგებში სულ 13 წუთი (3 მატჩის ჯამი) დაყო მოედანზე. შეგახსენებთ, რომ ჯაკობია მისი თაობის ქართველ ფეხბურთელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი იყო.

1998-99 წლებში ლაშა ლიეჟის (ბელგია) „სტანდარდში" ირიცხებოდა, სადაც მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ამას მოჰყვა იჯარა სხვადასხვა ბელგიურ კლუბში - „ვიზეში" (18 თამაში, 14 გოლი), „ლიეჟში" (14 თამაში, 14 გოლი). 2000 წელს ის ასევე ბელგიურ „აალსტში" გადავიდა (3 თამაში, 1 გოლი), ირიცხებოდა „მონსსა" და ბუქარესტის „რაპიდშიც"...

2003 წელს ჯაკობია საქართველოში დაბრუნდა, საიდანაც ბერძნულ „იანინაში" (7 თამაში, 4 გოლი) გადავიდა. 2004 წლიდან დღემდე თამაშობს უკრაინაში, სადაც ხან ხარკოვის „მეტალისტის" ღირსებას იცავდა და ხან კიევის „არსენალის". უკრაინაში გატარებულ ხუთნახევარ სეზონში ლაშამ სულ რაღაც 14 გოლი გაიტანა, თუმცა იყო პერიოდიც, როცა „მეტალისტის" კაპიტანი იყო...

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მან 14 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. ქვეყნის მთავარ გუნდში პირველად 2004 წელს, მოლდოვასთან მატჩისთვის გამოიძახეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**










ხვალიდან ლელოში

ბიძინა ბარათაშვილი წარმოგიდგენთ

**იქ, ამერიკაში...**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრანსფერი

# ჩიკვილაძე დინამოში ჩაირიცხა


თენგიზ ჩიკვალაძე

**თენგიზ ჩიკვილაძეს** ტაშკენტის „ლოკომოტივი" იწვევდა, მაგრამ მაგრამ უზბეკეთში გამგზავრება ვერ მოახერხა და ამას არც ნანობს - გუშინ ბოლნისის „სიონის" 26 წლის ნახევარმცველი თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტური და შედეგიანი მცველი სეზონის დაწყებისას რუსთავის „ოლიმპიდან" გაუშვეს და ბოლნისში გადავიდა. ცხინვალის „სპარტაკთან" მის მიერ გატანილი გოლი პირველი ეტაპის ერთ-ერთ შედევრად აღიარეს.

**თუმცა მხოლოდ ეს არ იყო მისი გადაყვანის მიზეზი. წლებია, უნივერსალი ჩიკვილაძე ამტკიცებს, რომ სასარგებლო მოთამაშეა და წესით, მეოთხე ადგილზე მყოფ „დინამოს" დიდი სამსახური უნდა გაუწიოს...**

**- როგორც გავიგეთ, „დინამოსთან" ნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ...**

- ასეთ ხანმოკლე კონტრაქტს საფუძველი გააჩნია. ეს ნახევარი წელი გუნდს გავიცნობ, თავადაც უკეთ დამაკვირდებიან და თუკი ჩემი დატოვება საჭიროდ ჩათვალეს, ახალ კონტრაქტს გაუმჯობესებული პირობებით გავაფორმებთ. ბოლნისის „სიონში" თავს კარგად ვგრძნობდი, თანაგუნდელებთანაც ჩინებული ურთიერთობა მქონდა და ხელმძღვანელობასთანაც. თუმცა ყველაზე ამბიციურ ქართულ კლუბში თამაში ყოველთვის მსურდა. თითქმის ყველა ლიდერ გუნდში მითამაშია და ჩემთვის თითოეული მათგანი ძვირფასია, მაგრამ უცხოეთში იცნობენ თბილისის „დინამოს", ხოლო „ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი" და „ოლიმპი" ჯერჯერობით ამით ვერ დაიკვეხნიან. ამიტომაც მახარებს ამხელა ტრადიციების მქონე კლუბში მოხვედრა. მაგრამ პირველ რიგში, ეს ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. იმედია, ზაფხულში კონტრაქტს გავაგრძელებთ.

**- დიდი ხანია, რაც „დინამოში" გადასვლას გთავაზობენ?**

- „დინამოს" ხელმძღვანელობამ მითხრა, ხმალაძე ისრაელში წავიდა და მის ნაცვლად, შენი მოყვანა გვსურსო.

**- როგორც შევიტყვეთ, ტაშკენტის „ლოკომოტივიც" გიწვევდათ...**

- დიახ, მიწვევდა და ვაპირებდი კიდეც წასვლას, მაგრამ „სიონი"-"ნორჩ დინამოელის" საკონტროლო შეხვედრისას ერთმა აფრიკელმა მცველმა ლამის ფეხი მომტეხა, დღემდე ტრავმა მაქვს და ვერ გავემგზავრე. ნატკენი ფეხით ჩასვლას რა აზრი ჰქონდა, საძუნძულოდ ხომ არ ჩავიდოდი? ამ დროს გამოჩნდა „დინამო" და უზბეკეთზე აღარც მიფიქრია. ასე მგონია - ფეხბურთელი თბილისის „დინამოსა" და ტაშკენტის „ლოკომოტივს" შორის არჩევანს არც უნდა აკეთებდეს.

**- ტრავმა სერიოზულია?**

- ჰემატომა მაქვს და ნორმალურად ერთ კვირაში თუ განვაახლებ ვარჯიშს. მე და გიორგი მერებაშვილი ინდივიდუალურად ვემზადებით.

**- უზბეკეთში სინჯებზე გიწვევდნენ?**

- ფაქტობრივად, კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ ერთი საკონტროლო შეხვედრა უნდა ჩამეტარებინა. თუმცა „დინამოს" შეთავაზებამ უზბეკეთს ხაზი გადაუსვა.

**- აქამდე არასდროს მიუწვევიხართ „დინამოს"?**

- არა, ეს პირველი შემთხვევა იყო. აქამდე რომ ეთქვათ, აუცილებლად დავთანხმდებოდი.

**- ოდესმე უცხოეთის ნორმალურ კლუბში დარჩენის შესაძლებლობა თუ გქონდათ?**

- „ამერში" თამაშის პერიოდში, მე და ირაკლი დოლიძე სიმფეროპოლის „ტავრიაში" მიგვიწვიეს. გუნდის მთავარ მწვრთნელ მიხაილ ფომენკოს ძალიან მოვეწონეთ. საკონტროლო შეხვედრაც კარგად ჩავატარეთ, კომბინაცია დაცვიდან დავიწყე, დოლიძეს გავუთამაშე და გოლით დავასრულე. მენეჯერმა გვითხრა, ორივეს გტოვებენო და პირობებიც გაგვაცნო. ამის შემდეგ პრეზიდენტთან შევიდა. თუმცა იქიდან უკმაყოფილო გამოვიდა, ვერ შევთანხმდითო და რა გაეწყობოდა, წამოვედით. არადა, ნამდვილად ვიცი, რომ ჩვენი დატოვება სურდათ. სხვათა შორის, მაშინ დავრწმუნდი, რომ უკრაინის ჩემპიონატში თამაში რთული არ ყოფილა. ბევრს არ სჯერა, მაგრამ ქართველებს მართლა გამორჩეული ტექნიკა გვაქვს, უკრაინელებს სირბილში არ ჩამოვრჩებოდით, ტექნიკაში კი აშკარად ვჩაგრავდით...

**- ყოველთვის გამოირჩეოდით მცველისთვის უჩვეულო შედეგიანობით...**

- ფეხბურთში არასტანდარტული აზროვნება ბევრს ნიშნავს. ყველა რომ ელოდება, ისეთი მოძრაობა არ უნდა გააკეთო. მე კი ყოველთვის ვცდილობ, მოულოდნელი გაგრძელება მოვიფიქრო და მეკარეს მომენტი შევურჩიო. სხვათა შორის, ცხინვალის „სპარტაკს" რომ გავუტანე გოლი, მაშინაც ასე მოვიქეცი - მივხვდი, რომ მეკარე გადაცემას ელოდა და დავარტყი...

**- ბოლნისის „სიონმა" დავალიანება გაგისტუმრათ?**

- თანხის ნაწილი ჯერ კიდევ ასაღები მაქვს...

რატომ კარგი აგიგია...

# გაუგებარი გადაწყვეტილება


გიორგი დევდარიანი

**გიორგი დევდარიანი**, მწვრთნელი, რომლის ხელშიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გააღწია, რეალურად, მნიშვნელოვან სანაკრებო საქმეს ჩამოშორდა. მომავალი ციკლიდან ის არც 17-წლამდელებს გაწვრთნის და არც 19-წლამდელებს, სადაც ეგრეთ წოდებული „მისი თაობა" გააგრძელებს გამოსვლას. დევდარიანი დანიშნეს 18-წლამდელთა ნაკრებში, რომელსაც შესარჩევ ციკლში თამაში არ მოუწევს. ეს გაუგებარი გადაწყვეტილებაა - მწვრთნელი, რომელმაც გამარჯვების გემო გაგვახსენა, ან ამ თაობას უნდა გაჰყოლოდა, ან სხვა მნიშვნელოვანი გუნდი ჩაებარებინა.

საერთოდ კი, წარმატებულ მწვრთნელებს გაცილებით მეტი დაფასება სჭირდებათ, და არა მოპყრობა პრინციპით - „რატომ კარგი აგიგია". მერე, როცა წარმატებები მოგვენატრება, მიზეზების ძიება უკვე დაგვიანებული იქნება. დევდარიანი საქართველოში იმ იშვიათ გამონაკლისებს მიეკუთვნება, რომელიც წარმატებული მწვრთნელია და ამის აღიარებას დიდი ფიქრი არ სჭირდება...

პერსპექტივა

# ზენიტი ჭანტურიას გამო გააქტიურდა

## ახალი რუსული მოდა: თითო ქართველი ყველა რუსულ გრანდში

„ექსპრეს-გაზეტაში" რუსულ სატრანსფერო სეზონთან დაკავშირებულ სტატიაში საინტერესო ფრაზა ამოვიკითხეთ: *„რუსეთში ახალგაზრდა ქართველების გადაბირების მოდა მოსკოვის „სპარტაკმა" შემოიტანა, რომელმაც ფეხბურთს ნიჭიერი ნახევარმცველი ჯანო ანანიძე აღმოუჩინა. მათ ცსკა-მ და სანკტ პეტერბურგის „ზენიტმაც" მიბაძეს. არმიელებმა იუნიორი ნიკა ძალამიძე მიიწვიეს, პიტერელებმა კი გიორგი ჭანტურია. თოთოეული მათგანი 17 წლისაა".*

გუშინ მოსკოვის ცსკა ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა. ალიკანტეში მთავარ გუნდთან ერთად **ნიკა ძალამიძეც** მოემზადება. არმიელები ესპანეთში ორ საკონტროლო შეხვედრას ორი შემადგენლობით გამართავენ - ეს იქნება 24 იანვარს ნიუ იორკის „რედ ბულთან", სადაც 19 წლის **გიორგი ჩირგაძე** თამაშობს, და შვეიცარიულ „ქსამაქსთან".

**ჯანო ანანიძე** დიდი ხანია მოსკოვის „სპარტაკში" ირიცხება. მასზე ბევრი გვითქვამს და დაგვიწერია, ამიტომ, აქ აღარ განვმეორდებით. ძალამიძის არმიული ტრანსფერიც მკითხველისთვის „ლელოდან" გახდა ცნობილი, მაგრამ **გიორგი ჭანტურიას** სანკტ პეტერბურგის „ზენიტში" წასვლის ამბავი კი დაუჯერებლად გვეჩვენებოდა. როგორც ცნობილია, ამის თაობაზე პირველად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** პირდაპირ ეთერში განაცხადა. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** იმავე გადაცემაში განაცხადა - „ზენიტი" კარგი გუნდია, მაგრამ „ბარსელონადან" ჭანტურიას წამოსვლა სასურველი არ არისო. სხვათა შორის, ამასვე ამბობდა ქეცბაიას წინამორბედი **ექტორ კუპერიც**.

როგორც ცნობილია, ჭანტურია საფეხბურთო კლუბ „საბურთალოსა" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერია. „ბარსელონაში"-ის შარშან გადავიდა. მაშინ ასეთი ვარაუდიც გაჩნდა, თითქოს ეს ფეხბურთელის ოჯახმა „იჩალიჩა". ნათქვამია, ენას ძვალი არ აქვსო - დრომ გამოაჩინა, რომ ეს „ვარაუდი", რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ შეეფერებოდა. ჭანტურია მართლაც გამორჩეული ნიჭის პატრონია. „ბარსელონას" „ჟუვენილ A-ში", ორი წლით უფროს ფეხბურთელებში, გიორგი ლიდერად ჩამოყალიბდა და ლამის ყველა შეხვედრაში გოლი გააქვს. „ბარსელონასა" და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში მისი შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ დაინტერესდნენ სწორედ რუსული და უკრაინული გრანდები.

აღმოჩნდა, რომ დიდი „მოძმე" ქვეყნის მედიაში ჭანტურიასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ლამის ყველა წამყვანი გაზეთი და ინტერნეტგამოცემა „ბარსელონას" ქართველი ტალანტის სანკტ პეტერბურგში შესაძლო გადაბარგებას ეხმაურება და იქვე არ ავიწყდებათ ანანიძეც, საიდანაც სათავე აიღო ბოლოდროინდელმა რუსულმა სატრანსფერო... ასე ვთქვათ, მოდამ.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტია**, რომელიც იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდ „რომაში" მუშაობით არის ცნობილი. არცაა გასაკვირი - გასულ სეზონში კლუბის ბიუჯეტი 100 მილიონი ევრო იყო! „მოსკოვსკი კომსომოლეციც" ადასტურებს ინფორმაციას, რომ რამდენიმე ევროპელ ვარსკვლავთან ერთად, „ზენიტმა" ჭანტურიას გადაბირებაც გადაწყვიტა და არც ის ფაქტი გამორჩენიათ, რომ ქართველ ტალანტს იტალიაში „ბრეშაც" იწვევდა.

*„თავდაპირველად, ჭანტურიას „ზენიტის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ სახეზეა საინტერესო ტენდენცია - ელიტური რუსული კლუბები ჭაბუკი ქართველების ხარჯზე ძლიერდებიან. 17 წლის თავდამსხმელმა ტექნიკურობით, უნივერსალიზმითა და საქართველოს იუნიორთა ნაკრებში მშვენიერი თამაშით სპეციალისტების ყურადღება მიიქცია. თუმცა „ზენიტში" ამ ინფორმაციის კომენტარს თავს არიდებენ და აცხადებენ, რომ ახალწვეულებს მხოლოდ ახალი წლების შემდეგ დაასახელებენ"*, - წერს სანკტპეტერბურგული „კომსომოლსკაია პრავდა".

ყოველკვირეული „ფუტბოლის" ინტერნეტვერსიაში „ზენიტის" შესაძლო ახალწვეულებზეა ლაპარაკი - **ანდრეა დოსენას** („ნაპოლიში" გადავიდა), **კახა კალაძის, ლუიზაოს, კრისტიან მოლინაროს** („შტუტგარტში" გადავიდა), **ამანტინო მანსინის** („მარსელს" ათხოვეს), **მატეო ბრიგის, ჰარი კიუელის, ადრიან მუტუს, პეტერ კრაუჩისა და რომან პავლიუჩენკოს** გვერდით, ჭანტურიას ხსენება, ბუნებრივია, ძალიან გვეამაყება... სასიამოვნოა იმის წაკითხვა თუ მოსმენაც, გიორგის „ბარსელონას" ლიდერად რომ მოიხსენიებენ. თუმცა, იმედია, ფეხბურთელი კატალონიურ



გიორგი ჭანტურია

გრანდში გააგრძელებს კარიერას, რაც ისევ მისთვის და ზოგადად ქართული ფეხბურთისთვის იქნება უკეთესი.

*„კატალონიელთა გუნდის „ჟუვენილ A-ში" ჭანტურიას წარსულში „ბარსას" ცნობილი ფეხბურთელი სერხი ბარხუანი ავარჯიშებს. „ბარსელონა" ჭანტურიას სამი წელი აკვირდებოდა და 2009 წელს კონტრაქტიც გაუფორმა. ზაფხულში ჭანტურიამ „ბარსას" ძირითად გუნდშიც ივარჯიშა. ასაკის მიუხედავად, მშვენივრად განვითარებული აღნაგობითა და მარცხენა ფეხით მშვენიერ დარტყმით გამოირჩევა. კატალონიური გრანდის ფანები ფორუმებზე მის თამაშში ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტექნიკასა და პლასტიკას ხედავენ. თუმცა ერთია, ჰგავდე იბრაჰიმოვიჩს, და მეორე - მისი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბდე"*, - წერს „სპორტდეი".

ჩვენი ინფორმაციით, „ზენიტი" ფეხბურთელით ისე დაინტერესდა, „საბურთალოსთან" (რომელმაც თავდამსხმელი „ბარსელონაში" ერთწლიანი არენდით გაუშვა) მოლაპარაკებებიც წამოიწყო. თუმცა „საბურთალოც" ფეხბურთელის „ბარსელონაში" დატოვებას ემხრობა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 03 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

# ხვიჩა ქასრაშვილი
# ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძოლებთ


ხვიჩა ქასრაშვილი

როგორც უკვე გაუწყეთ, ბოლნისის „სიონმა" მოსამზადებელი შეკრების მორიგი ნაწილი დაიწყო, რომელსაც ურეკში გაივლის. ქვემოქართლელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა ზღვისპირეთში წაიყვანა გუნდი. უკვე თვეა, რაც მან გუნდი ჩაიბარა და დიდი საკადრო ცვლილებების შემდეგ, ახალი გუნდის შენებას შეუდგა. თუმცა ეს შენების პროცესი უკვე დასასრულისკენ მიდის და მწვრთნელსაც უკვე შეუძლია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

საინტერესოა, რას ფიქრობს ბოლნისელთა ახალი თავკაცი ახალ კონტინგენტზე, ჩატარებულ და დაგეგმილ მატჩებზე, ფეხბურთელებზე, მომავალზე, მიზანზე... ამ და სხვა საინტერესო თემებზე „სიონის" მთავარ მწვრთნელს ხვიჩა ქასრაშვილს გავესაუბრეთ.

**- უკვე თვეა, რაც „სიონის" მთავარი მწვრთნელი ხართ. ფაქტობრივად ახალი გუნდის შენებამ მოგიწიათ...**

- დიახ, გუნდი დეკემბერში ჩავიბარე და გასული წლის დამთავრებასთან ერთად კლუბთან არაერთ ფეხბურთელს დაუმთავრდა კონტრაქტი. რამდენიმე მოთამაშემ სხვა გუნდში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. ცვლილებებიდან გამომდინარე ახალი ფეხბურთელების მოძიებასა და ჩვენს გუნდში მოყვანას შევუდექით. შესაძლებლობიდან გამომდინარე რამდენიმე ახალი მოთამაშე ავიყვანეთ გუნდში და ვფიქრობ, კარგი შემადგენლობა გვეყოლება.

**- თბილისში სამი საკონტროლო შეხვედრა გამართეთ. „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" 2:1 დაამარცხეთ, „ზოოვეტთან" უგოლოდ ითამაშეთ, „ნორჩი დინამოელი" კი 6:3 დაამარცხეთ. ამ თამაშების შემდეგ რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ?**

- ეს საკონტროლო შეხვედრები დაბალი ლიგის გუნდებთან გავმართეთ. ამ მატჩებისას ჩემი მიზანი სელექცია იყო, ახალ ფეხბურთელებს დავაკვირდი. ბევრი მოთამაშე გვყავდა ტესტირებაზე, ზოგი დავიწუნეთ და გავუშვით, ზოგი კი ავიყვანეთ. ამ შეხვედრებში ჩვენი ახალი გუნდის გარკვეული კონტურები გამოიკვეთა და ჯერ მხოლოდ მკრთალად. ურეკში 10 დღის განმავლობაში 4 საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ, თანაც უმაღლესი ლიგის გუნდებთან. შესაბამისად, ამ მატჩებში უფრო მეტად გამოჩნდება ჩვენი გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები.

**- ამ საკონტროლო შეხვედრებში, „სიონის" შემადგენლობაში რამდენიმე ახალმა ფეხბურთელმა ითამაშა. გუნდში ვისი დარჩენაა გაქვთ უკვე გადაწყვეტილი?**

- ჩინებულად წარმოაჩინა თავი გიორგი დეკანოსიძემ, გოლებიც გაიტანა და საგოლე პასებიც გააკეთა. მისი შესაძლებლობები მანამდეც ვიცოდი და ეს ფეხბურთელი ჩვენს გუნდს დიდად წაადგება. კარგი მოთამაშეები არიან გივი დიდავა, გიორგი კვანტალიანი... გიორგი მელქაძე, რომელიც „ვიტ ჯორჯიიდან" იჯარის წესით დაგვემატა... თემურ რაქვიაშვილს აქამდეც კარგად ვიცნობდი... ასევე წაგვადგება გიორგი სილაგავა და ირაკლი შენგელია...

**- ურეკში გუნდს კაპიტანი დავით სვანიძე და მარცხენა მცველი თენგიზ ჩიკვილაძე არ ახლავს...**

- ჩიკვილაძე ტელეფონით მესაუბრა და მითხრა, რომ თბილისის „დინამოში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. ღმერთმა ხელი მოგიმართოს-თქო, წინსვლა ჰქონოდეს, რაც შეეხება დავით სვანიძეს. ის აზერბაიჯანშია წასული სინჯებზე და თუ მოეწონათ დარჩება. თუ დაბრუნდება, მაშინ მოსამზადებელ შეკრებაზე შემოგვიერთდება.

**- ახალ ფეხბურთელებზე ვისაუბრეთ და დუბლებიდან დამატებულ ახალგაზრდა მოთამაშეებზე არაფერი გვითქვამს...**

- კი, მათაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ვფიქრობ, კიდევ მოუმატებენ. კარგად წარმოჩნდა ლევან იაშვილი, ვილი ისიანი... აღარ ჩამოვთვლი, არ მინდა ვინმე გამომრჩეს...

**- „სიონში" ადრეც მუშაობდით. მაშინ პირველ ადგილზე დატოვეთ გუნდი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი პირველად გახდა. ამჯერად კი რადიკალურად განსხვავებული მიზნისთვის მოგიწევთ ბრძოლა...**

- კი, ეგრეა, ამჯერად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებთ. ამ მიზანსაც თავისი ინტერესი და მოტივაცია აქვს. გასავარდნ ზონაში მყოფ გუნდებს მინიმუმ 3 ქულით ვუსწრებთ. ეს კი დიდი ფორა ნამდვილად არაა. მით უმეტეს, როგორც გავიგე „ბაია" კარგ შემადგენლობას კრებს, „გაგრაც" კარგი გუნდია, „ლოკომოტივი" კიდევ ბევრს აართმევს ქულებს. ასე რომ, მოდუნების უფლება არ გვაქვს, თორემ მიზნის მიღწევა გაგვიჭირდება. მართალი გითხრათ, უმაღლეს ლიგაში დარჩენა გარანტირებული ნამდვილად არ გვაქვს და საამისოდ ბრძოლა მოგვიწევს.

**- ურეკის შეკრებაზე გუნდის მზადებაში რა კომპონენტებზე გაამახვილებთ ყურადღებას?**

- სელექციის პროცესი თითქმის დასრულებულია. ახლა მთავარია ეს შემადგენლობა შევათამაშოთ, კომბინაციები, სტანდარტულები დავამუშაოთ და გუნდი კარგად ავათამაშოთ.

**- ახალი ფეხბურთელები კიდევ გამოჩნდებიან თქვენს გუნდში?**

- ვნახოთ, შესაძლოა. გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. კარგი ფეხბურთელი ყველა გუნდს უნდა და ჩვენც არ ვიტყვით უარს. ურეკის შეკრებაზე კარგ გუნდებთან მოგვიწევს ამხანაგური მატჩები. ჩვენი გუნდის სისუსტეები მეტად გამოჩნდება და შესაბამისად, ამ სისუსტეების აღმოფხვრაზე ვიზრუნებთ.

**- ერთგული გულშემატკივარი „სიონისგან" რომელ სტილში თამაშს უნდა ელოდოს?**

- მწვრთნელთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც ტაქტიკა-სტრატეგიას შემადგენლობის მიხედვით ირჩევს და არა პირიქით. ტაქტიკას არსებული შემადგენლობის მიხედვით, ურეკის შეკრებაზე განვსაზღვრავთ.

**- ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში ფინანსური მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კლუბს ფეხბურთელების დავალიანება ჰქონდა. ეს საკითხი თუ მოგვარდა?**

- დიახ, დავალიანებები კლუბის ხელმძღვანელობამ გაისტუმრა. გვპირდებიან რომ სტაბილურად იქნება ფინანსები. გვჯერა ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება.

**- ბოლნისში თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და როგორც გავიგეთ სეზონს რუსთავის არენაზე განაახლებთ...**

- დიახ, ჩვენს სტადიონზე მოედნის საფრის სამუშაოებია და გვინდა პირველი მატჩი ცხინვალის „სპარტაკთან" 5 იანვარს რუსთავში ჩავატაროთ. ახალ მოედანზე გვინდა წარმატებით დავიწყოთ სეზონი. წარმატებული სტარტი ყოველთვის მნიშვნელოვანია.

დავით ცაბაძე

ტრანსფერები

## ალავიძე უზბეკეთშია

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „ოლიმპი" მეკარე **მიხეილ ალავიძემ** დატოვა. 22 წლის მეკარე უზბეკეთში გაემგზავრა და ჩვენი ინფორმაციით, გუზორის „შურტანში" (16-გუნდიანი ჩემპიონატის ბოლო მარათონში მერვე ადგილი დაიკავა) ისინჯება. ეს ის კლუბია, წინა ჩემპიონატში რუსთაველთა ყოფილი თავდამსხმელი **გიორგი მეგრელაძე** რომ გამოდიოდა. როგორც გავიგეთ, ალავიძე მწვრთნელს მოეწონა და ახლა სიტყვა „შურტანის" პრეზიდენტზეა, რომელიც უზბეკეთში არ იმყოფება.

რაკი ეს ქვეყანა ვახსენეთ, ბარემ ტაშკენტის „ლოკომოტივის" ნახევარმცველ **კახა მახარაძეზეც** ვთქვათ. მან უზბეკეთში იმდენად დამაჯერებელი სეზონი ჩაატარა, ტაშკენტელთა მთავარი მწვრთნელმა კიდევ რამდენიმე ქართველის აყვანა გადაწყვიტა. უზბეკებს ფინანსურად არ უჭირთ, მაგრამ მაინც იაფფასიან ფეხბურთელებს ეძებენ. ბოლო დროს კი საქართველო სწორედ იაფფასიანი ბაზრის სახელს იმკვიდრებს.

მერაბ მამულაშვილი

## მუჯირი სტანდარდში ითამაშებს

როგორც უკვე გაცნობეთ, უთამაშებლობის გამო, ნახევარმცველმა **ამირან მუჯირმა** „ბაქი" დატოვა. თუმცა როგორც ჩანს მუჯირი კარიერას კვლავ აზერბაიჯანში გააგრძელებს. ვებგვერდ „ექსტრა ტაიმის" ცნობით, სუმგაითის „სტანდარდი" სეზონის მეორე წრისთვის ბაქოში ემზადება. **ბეუკაგა გაჯიევის** გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. წყაროს ინფორმაციით, ამ ფეხბურთელთა ნაწილის გუნდში დარჩენა უკვე გადაწყვეტილია, ნაწილი კი კვლავაც ტესტირებას აგრძელებს. ახალ მოთამაშეთა ჩამონათვალში ამირან მუჯირიცაა დასახელებული. ჩვენი ინფორმაციით, მუჯირი სწორედ ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

ცნობისათვის, აზერბაიჯანის პრემიერლიგაში „სტანდარდს" 17 ტურის შემდეგ მხოლოდ 9 ქულა აქვს და ცხრილში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა. ცხადია მუჯირის ახალი გუნდს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა. „სტანდარდი" სეზონს თებერვალს „ხაზარ ლენქორანთან" გასვლითი მატჩით განაახლებს.

დავით ცაბაძე

ზესტაფონი

# ბრაზილიელი მეკარეც გამოცადეს...
## ფრე და მარცხი თურქეთში

„ზესტაფონი" ორი გუნდით ანთალიაში მზადებას აგრძელებს. ყაზახურ „ტობოლთან" მარცხის (0:5) შემდეგ, **გია გეგუჩაძის** გუნდმა მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა. იმერლები გუშინ კიდევ ერთ ყაზახურ გუნდს, ამჯერად „ჟეტისუს" უნდა გაჯიბრებოდნენ, მაგრამ... ზესტაფონელთა კლუბის პრესსამსახურის ცნობით, გუნდები ამხანაგური მატჩის გამართვის ადგილზე ვერ შეთანხმდნენ. თუმცა ჩვენები სხვას მოურიგდნენ და გუშინ თურქეთის „პურსაქლარსფორს" (რანგით მესამე ლიგის III ჯგუფი, მეცხრე ადგილი 12-გუნდიან ჩემპიონატში) დაუპირისპირდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ტობოლთან" მატჩში 4 გოლი სლოვენიელმა გოლკიპერმა **ნემანია იოზიჩმა** გაუშვა. იოზიჩს ზესტაფონელები უკვე დაემშვიდობნენ და გუშინდელ შეხვედრაში კიდევ ერთი უცხოელი მეკარე გამოცადეს. ამჯერად იმერელთა სასტარტო შემადგენლობაში, კარის დარაჯად ბრაზილიელი **ელტონ გომეს დოს სანტოსი** იყო გამწესებული. გეგუჩაძემ ადგილობრივი ქვედალიგოსნის წინააღმდეგ ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა: **ელტონი (73. მეშველიანი), მჭედლიშვილი, კობახიძე, გორგიაშვილი (46. კაჭკაჭიშვილი), მაკარიანი, ბენაშვილი (76. გურაბანიძე), ცხადაია (65. გორგიაშვილი), მიქაბერიძე, ნ. კვასხვაძე (46. ლომია), წინამძღვრიშვილი, ჯოხაძე (41. ჩიხლაძე).**

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ ზესტაფონელები დაშვებული შეცდომების გამო მწარედ დაისაჯნენ და შესვენებამდე 0:3-ს აგებდნენ. თუმცა მეორე ნახევარში ჩვენი გუნდის სრული უპირატესობით წარიმართა და ეს შედეგშიც აისახა. 61-ე წუთზე **ალექსი ბენაშვილმა** საჯარიმო დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა. მე-80 წუთზე **თორნიკე გორგიაშვილმა**, რომელიც გეგუჩაძემ მეორე შეიყვანა მოედანზე, პენალტით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მატჩის მიწურულს კი **რატი წინამძღვრიშვილმა** წონასწორობა აღადგინა, 3:3 და შეხვედრაც ამ შედეგით დასრულდა. „ზესტაფონი" მომდევნო საკონტროლო მატჩს 17 იანვარს დნეპროპეტროვსკის „დნიპროსთან" გამართავს.

მორიგი თამაში ჩაატარა დუბლებმაც. **გურამ ასპინძელაშვილის** გუნდი ადგილობრივ ქვედალიგოსან „სარილარსფორს" გაეჯიბრა და 3:4 დამარცხდა. ასპინძელაშვილმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

**მეშველიანი (64. კიკაბიძე), ამაშუკელი, კობახიძე (46. კაჭკაჭიშვილი/85. ლომია), კუბლაშვილი, ლურსმანაშვილი, გურაბანიძე, გიორგობიანი (64. გაჩეჩილაძე), ჭანკოტაძე (11. კიკნაველიძე), ჯოხაძე (57. კაპანაძე), ლომია (68. ღირდალაძე), ჩიხლაძე.**

იმერელთა გუნდიდან ამ შეხვედრაში ერთი გოლი **გიორგი ჯოხაძემ** გაიტანა (პენალტით), **ნიკოლოზ ჩიხლაძემ** კი დუბლი მიითვალა.


გია გეგუჩაძე ჯერჯერობით კმაყოფილი ვერ იქნება

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

## მოდებაძემ გაიტანა და გაატანინა

ზაპოროჟიეს „მეტალურგი" სადაც ქართველი თავდამსხმელი **ირაკლი მოდებაძე** ასპარეზობს, ავსტრიაში აგრძელებს სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას. ზაპოროჟიელებმა ავსტრიის ქვედალიგოსანთან საკონტროლო შეხვედრა გამართეს და 2:0 მოიგეს. აღსანიშნავი ის, რომ უკრაინელებმა ავსტრიელები სწორედ მოდებაძის წყალობით დაამარცხეს. ჩვენებური ფორვარდი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში. ჯერ იყო და პენალტი მოიპოვა, რომელიც თავადვე გოლად აქცია. შემდეგ კი თანაგუნდელ **კარაუშს** საგოლე პასი გაუკეთა და საბოლოო ანგარიშიც ასე დაფიქსირდა.

დავით ცაბაძე

## გოცირიძე დატოვეს, კანკავა წაიყვანეს

როგორც გაუწყებდით, ეროვნული ნაკრების ფორვარდ **ბექა გოცირიძის** ბედი სამედიცინო შემოწმების შედეგად უნდა გადაწყვეტილიყო. ქართველმა თავდამსხმელმა, რომელიც გასული წლის ივნისში ავტოავარიაში მოჰყვა, „დნიპროში" საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. როგორც ირკვევა, ბექა სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით დაიწყებს ინდივიდუალურად მომზადებას. გუნდს კი ამ პროგრამის დასრულების შემდეგ შეუერთდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დნიპრო" 30 ფეხბურთელის შემადგენლობით, მოსამზადებელი შეკრებისთვის ანთალიაში გაემგზავრა. გოცირიძე დნეპროპეტროვსკში დატოვეს, ამავე გუნდის მეორე ქართველი, ნახევარმცველი **ჯაბა კანკავა** კი თურქეთში გაემგზავრა.

„დნიპრო" ანთალიაში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავს. დნეპროპეტროვსკელები მოსკოვის „ლოკომოტივს", „ზესტაფონს", მოსკოვის „დინამოსა" და ავსტრიულ „კაფენბერგს" გაეჯიბრებიან.

დავით ცაბაძე

მოსალოდნელი ტრანსფერები


ლადო ბურდული

# ბურდული პრაღის სპარტაში?

**ლადო ბურდული** სიმფეროპოლის „ტავრიიდან“ წამოვიდა. ის ამ კლუბში შარშან ჩაირიცხა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი არ ათამაშებდა და იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა.

ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ლადომ სხვადასხვა კლუბის შეთავაზება ახსენა. სანდო წყაროს მეშვეობით, მხოლოდ ერთი მათგანის შესახებ გავიგეთ - 28 წლის ნახევარმცველს პოპულარული ჩეხური კლუბი პრაღის „სპარტა“ ინვევს. ეს ბურდულის მენეჯერის დამსახურებაა, თუმცა მწირი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ჩეხებმა ჩვენებურს მიმზიდველი პირობები ვერ შესთავაზეს.

ბურდულმა მენეჯერს პირობა წაუყენა, რომ პირობების გაუმჯობესებას მიაღწიოს. ცნობისთვის, „სპარტაში“ ორიოდე ლიდერი 12-12 ათას ევროს იღებს, დანარჩენების ხელფასი კი 3-დან 7 ათას ევრომდე მერყეობს.

უკრაინასა და რუსეთში ბურდული ბევრად უკეთეს პირობებს შეეჩვია და მისი მოთხოვნები გასაგებია, მაგრამ ერთიცაა - ნაკრებში დაბრუნების მსურველი ფეხბურთელისთვის პრაღის „სპარტაში“ მოხვედრა სასურველი ვარიანტი გვგონია. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკრაინაში მას ბოლო დროს საქმეები ვერ აეწყო. მოკლედ, ჩეხურ გრანდში ჩარიცხვის პერსპექტივა 29 წლის ბურდულისთვის უდავოდ მშვენიერი შანსია, ფორმა რომ აღიდგინოს და ნაკრებში დაბრუნდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ...როცა ნიჭს სხვები ამჩნევენ

სულ მალე, შესაძლოა, ერთობ საინტერესო ტრანსფერის მომსწრენი გავხდეთ - ბოლო წლების მოლდოვის უცვლელი ჩემპიონი და შესაბამისად, ამ ქვეყნის უძლიერესი კლუბი ტირასპოლის „შერიფი“ სერიოზულად არის დაინტერესებული პერსპექტიული ქართველი ფეხბურთელის **დავით კაკულიას** შეძენით.

კაკულია ბოლოს რუსთავის „ოლიმპში“ თამაშობდა და 18 წლის ნიჭიერმა ფეხბურთელმა პირველ ეტაპზე ჩემპიონატის სამ და თასის ერთ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის შემადგენლობაში (განსაკუთრებით - ნახევარდაცვის ხაზში) სერიოზული კონკურენციის პირობებში კაკულია თავისი შესაძლებლობების დამტკიცებად ხშირად ვერ ახერხებდა. თუმცა, ამ ბიჭს გამორჩეული საფეხბურთო მონაცემებს, უფრო ადრეულ ასაკშიც ამჩნევდნენ სპეციალისტები. თავად განსაჯეთ - 15 წლის იყო, **რევაზ ძოძუაშვილის** დაჟინებული მოთხოვნით, რუსთავის „ოლიმპის“ მეორე გუნდის შემადგენლობაში რომ ჩაირიცხა.

მერე, გარკვეული პერიოდი თბილისის „მერანსა“ და „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდა, 2009 წლიდან კი უკვე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდშიც ჩაირიცხა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდული ასაკის გამო თამაში ეპიზოდურად უწევდა, თუმცა, როცა ამის შანსს აძლევდნენ, მუდამ ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. პირველად რომ ვნახეთ ამ ჭაბუკის თამაში (თუ არ ვცდებით, საკონტროლო მატჩი იყო), მაშინვე თვალში გვეცა პატარა ბიჭის ასაკთან შეუფერებელი საფეხბურთო აზროვნება; მით უმეტეს, რომ კლასიკური გამთამაშებლის პოზიციაზე ასპარეზობდა და ერთობ ტექნიკური თამაშითაც დაგვამახსოვრა თავი.

სამწუხაროდ, დავით კაკულიას ფაქტობრივად არც ერთხელ მისცემია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი, სამაგიეროდ, „სხვებმა“ შეამჩნიეს და იმაშიც, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ მოლდოვის „შერიფი“ დღესდღეობით საკმაოდ ანგარიშგასაწევ გუნდად მიიჩნევა ევროპაში. ყოველ შემთხვევაში, სულ ახლახან არ იყო, ერთი ნაბიჯი რომ დააკლდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად, როცა მხოლოდ პლეიოფში დამარცხდა **თემურ ქეცბაიას** „ოლიმპიაკოსთან“. აქვე დავაზუსტებთ, რომ დავით კაკულია ამჟამად „შერიფში“ კი არა, ამ გუნდის, ასე ვთქვათ, ფარმკლუბში - „ტირასპოლში“ ისინჯება. ორივე ერთი ქალაქის გუნდია, ოღონდ „შერიფში“ ფეხბურთელთა უმრავლესობისა ლეგიონერები არიან, სამაგიეროდ „ტირასპოლში“ პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ და ვინც თავს გამოიჩენს, მაშინათვე „დაწინაურება“ ელოდებათ.

აი, ასეთი შანსი მიეცა დავით კაკულიას, ვინც ამ რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა მოლდოვაში და ორი დღის წინ „ტირასპოლის“ შემადგენლობაში პირველი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. მოლდოვის ჩემპიონატში პირველი ეტაპის შემდეგ „ტირასპოლი“ მერვე ადგილზე იმყოფება. იმ საკონტროლო შეხვედრაში სპარინგ-პარტნიორი ბენდერის „დინამო“ კი - მეათეზე. მატჩის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყდა, როცა ტირასპოლელთა ორ გოლს მეტოქემ მხოლოდ ერთით უპასუხა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ ორივე გოლი სწორედ კაკულიას ზუსტი პასების შემდეგ გავიდა. „ტირასპოლი“ უახლოეს საკონტროლო შეხვედრას 20 იანვარს ჩაატარებს და მეტოქედ კიშინიოვის „ზიმბრუ“ ეყოლება.

სხვათა შორის, როგორც შევიტყვეთ, კაკულიას მიმართ სერიოზულ დაინტერესებას იჩენს კიდევ ერთი უცხოური კლუბი; ყოველ შემთხვევაში, დანიურ „ორჰუსში“ დღესაც სერიოზულად ფიქრობენ ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის შეძენაზე. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე წელიწადია „ორჰუსში“ საკმაოდ წარმატებით თამაშობს რუსთავის „ოლიმპის“ კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი **დავით დევდარიანი**.

**გია ტუხაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | ბაბუნაშვილი (სექტცია, ისრაელი), ფოფხაძე (სპარტაკი), გ. თოდუა (კოლხეთი 1913), აბრამიძე (?), ჯერონიმო, ჯონათასი, სალესი (სამივე ბრაზილიაში), ს.თოდუა (აზერბაიჯანი), მ. ალავიძე (?), კაკულია (ტირასპოლი, მოლდოვა) | გ. კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი), ხიდეშელი, თარხნიშვილი, ხუბუა, (სამივე სიონი), რ. ჯიქია (ბაია), ა. გილაური, პ. დათუნაიშვილი (ორივე სპარტაკი), ნიორაძე (35-ე სკოლა), გაბისკირია (მეორე მწვრთნელი, IBSU), ელოხი, აუდუ (ორივე ნიგერია), დ. ლომაია (ვიტ ჯორჯია), მერლანი (?), ხომისტეკი (სლოვაკეთი) | 5 იანვრიდან-რუსთავში ოლიმპი-IBSU 4:0 ოლიმპი-გაგრა 3:3 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | იონანიძე (?) | გ. მიქაბერიძე (მეშახტე), ჯოხაძე (სპარტაკი), იოზიჩი (სლოვენია), ელტონ გომეს დოს სანტოსი (ბრაზილია) | 3-6 იანვარი - თბილისი 7-18 იანვარი - თურქეთი ზესტაფონი-ტობოლი 0:5 ზესტაფონი-პურსაქლარსფორი 3:3 22 იანვარი-4 თებერვალი - ესპანეთი |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ყველაშვილი (ბაია), ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), კახელიშვილი (დინამო), გ. მელქაძე (სიონი, იჯარით), დ. ლომაია (ოლიმპი) | აბაშიძე (მეკარეების მწვრთნელი) | 3 იანვრიდან - თბილისში ვიტ ჯორჯია-IBSU 2:1 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | სომხიშვილი (ბაია), ხმალაძე (ისრაელი), კრშკო (ოდრა, პოლონეთი), ჩარასი (?), ლომია (?), ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), ნერგაძე (კონტრაქტი დაუმთავრდა) | შეყრილაძე (სპარტაკი), კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია), კრსტესკი (ვარდარი, მაკედონია), ჩიკვილაძე (სიონი) | 3 იანვრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 დინამო-IBSU 0:1 18 იანვრიდან - თურქეთში |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | რ. გოცირიძე (ჰაპოელი, ისრაელი), დიდავა (სიონი), ლ. დეკანოსიძე გ. კვახაძე (?), შეყრილაძე (დინამო), გვენცაძე (?), კეტაშვილი(?), შ. ჯიშკარიანი (სიონი), მაწნკავა (?) პ. დათუნაიშვილი, ა. გილაური (ორივე ოლიმპი), ჯოხაძე (ზესტაფონი), ლ. ჩალაძე (სამტრედია), შალამბერიძე (ოდრა, პოლონეთი) | დეკანოიძე (ჩიხურა), ბუზალაძე (დილა), ბურჯანაძე (?, სომხეთი), ნონოსი (კამერუნი), ნალო (საფრანგეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), თედიაშვილი (კოლხეთი 1913) | 26 დეკემბრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 |
| სამტრედია<br>მამუკა ბესიაჩენკო<br>ლევან ანჯაფარიძე | კვესეიშვილი (ბაია), ლ.ვაშაკიძე (?), ბ. ხაჭიპერაძე (?), ჯიქიძე (?), კაკალაძე (?), ჯანგიძე (?) | კუპრეიშვილი (გაგრა), ჟვანია (ბაია), ლ. ჩალაძე (სპარტაკი), ილურიძე (მარტვილი), სამსეიშვილი (ბათუმი), კვალინიძე (უგუნდოდ), კირკიტაძე (ტორპედო 2008) | 22 დეკემბრიდან - სამტრედიაში 15 იანვრიდან - ურეკში |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | თარხნიშვილი, ხუბუა, ხიდეშელი (სამივე ოლიმპი), გოგობერიშვილი (?), მახვილაძე (?), ჩიმაკაძე (?), ი. ვაშაკიძე (?), ბ. ნოზაძე (?), ფიფია (?), კიკნაძე (გაგრა), ჩიკვილაძე (დინამო), სვანიძე (?) | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ჯაგიდისი (მეორე მწვრთნელი), შ. ჯიშკარიანი, დიდავა (ორივე სპარტაკი), რაქვიაშვილი (გაგრა), გ. დეკანოსიძე (?), გ. კვანტალიანი (ლოკომოტივი), ი. შენგელია (?), გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია, იჯარით), გ. სილაგავა (?), ვ. ისიანი (დინამო 2) | 4 იანვრიდან - თბილისში სიონი-IBSU 2:1, სიონი-ზოოვეტი 1:1 სიონი-ნ/დინამო 5:3 14 იანვრიდან - ურეკში |
| გაგრა<br>კახა კარანაძე | კუპრეიშვილი (სამტრედია), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი, რაქვიაშვილი (სიონი), გოგიჩაიშვილი, თოთაძე (დიორ ეტო, უნგრეთი) | ნ. ჯიშკარიანი (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ტორპედო 2008), კიკნაძე (სიონი), გულორდავა (?), ქურდობაძე (35-ე სკოლა), ქორთუა (დინაბურგი, ლატვია) | 24 დეკემბრიდან - თბილისში ოლიმპი-გაგრა 3:3 16 იანვრიდან - ანთალიაში |
| ბაია<br>ელგუჯა კომეთიანი | ბ. შეროზია (მთ. მწვრთნელი, კოლხეთი 1913), ძალამიძე (ცსკა, რუსეთი), გუჩუა, დ. ქირია (ორივე-კოლხეთი 1913), რ. ჯიქია (ოლიმპი), ჟვანია (სამტრედია) | ს. ჭედია (მთ. მწვრთნელის კონსულტანტი), სომხიშვილი (დინამო), კვესეიშვილი (სამტრედია), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), სახოკია (?) | 5 იანვრიდან - ზუგდიდში |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | მოდებაძე (?), ი. გილაური (?), ქურდაძე (?), ბებუა (?), ტიკურიშვილი (?), გ. კვანტალიანი (სიონი) | გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე (?), ჩარგეიშვილი (დინამო 2), ვეკუა (ვიტ ჯორჯია 2) | 5 იანვრიდან - საგურამოში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლივერპული კრიზისში

# დროს გამოთიშულნი

## კიდევ ერთი დარტყმა: ტორესი საოპერაციოა!

**რაფა ბენიტესი** და მისი „ლივერპული" ისედაც საშინელი კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავების წინაშე დგანან. ფეხბურთის ასოციაციის თასზე „რედინგთან" 2:1 მარცხის შემდეგ გაზეთმა „სანმა" მათ „ენფილდრუდელი" კლოუნები უწოდა, ლეგენდარული გუნდის დღევანდელი მდგომარეობა კი ასე შეაფასა: *„ისინი ჩემპიონთა ლიგას, პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლას, ფეხბურთის ასოციაციის თასს და ახლა უკვე დროსაც გამოეთიშნენ"*. გუშინ უმეტესმა ინგლისურმა გამოცემამ ბენიტესს პირდაპირ უთხრა - წასვლის დროაო!

..."რედინგმა" თამაში **რაიან ბერტრანდის** მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი გოლის გამო კინაღამ წააგო, მაგრამ 90-ე წუთზე **გილფი სიგურდსონის** დარტყმული პენალტი შეაგდო და ბრძოლა დამატებით დროში გადაიტანა, სადაც, მე-100 წუთზე, **შეინ ლონგის** გოლით მოიგო. ხოლო, ბედისგან, როგორც ჩანს, დიდი ხნით მიტოვებულ „ლივერპულს", თამაშის წაგების გარდა, მთავარი ვარსკვლავების, **სტივენ ჯერარდისა** და **ფერნანდო ტორესის** შეცვლა დასჭირდა - ისინი დაშავდნენ. თან, შეცვლის წუთებს დახედეთ: ტორესისა 29-ე და ჯერარდისა კი 46-ე. სხვათა შორის, გაირკვა, რომ ტორესი საოპერაციოა, რაც ფეხბურთიდან მის ექვსკვირიან ჩამოცილებას ნიშნავს. ესეც მორიგი შოკი მერსისაიდელებისთვის...

...მოკლედ, როგორც მოგახსენეთ, „ლივერპულმა" ანგარიში რედინგელი ფეხბურთელის დახმარებით გახსნა. პირველი ტაიმის ბოლო წამები მიდიოდა, როდესაც ჯერარდის დარტყმული ბერტრანდმა აისხლიტა და თავის კარში ჩაჭრა. რატომ დაინიშნა 90-ე წუთზე მერსისაიდელთა კარში პენალტი? იმიტომ, რომ **იოსი ბენაიუნმა** (დამატებით დროში გადამწყვეტი გოლის ავტორს), ლონგს ქუსლზე დააბიჯა - ყოველ შემთხვევაში, მსაჯმა **პოლ დოდმა** ასე განსაჯა, ხოლო შეხვედრის ბოლო და „წითლებისთვის" თავზარდამცემი გოლი თავური დარტყმით გავიდა.

მატჩის შემდეგ რაფა ბენიტესმა განაცხადა: *„მთელი სამი თვეა ყველა ჩემზე ლაპარაკობს, ყველა ჩემი სამსახურიდან გაშვების საქმეს არჩევს და არავინ ფიქრობს, აქვს თუ არა მნიშვნელობა საკუთრივ გუნდის შემადგენლობას, ძლიერია ის თუ სუსტი. დიახ, ჩემზე გაუთავებლად ლაპარაკობენ, მე კი ვალდებული ვარ, თავი ჩავხარო და მუშაობა გავაგრძო. როგორ მიბრძანებთ ამ ლაპარაკისა და ზეწოლის გაძლებას? ხომ ხედავთ, რაც ძალი და ღონე მაქვს ვმუშაობ, საქმეს თავს ვაკლავ. ფაქტია, ეს სეზონი საუკეთესო არანაირად არ არის. რას იზამ, ცხოვრებაა ასეთი. ის კარგი და ცუდი პერიოდებისგან შედგება. დღევანდელ სიტუაციაში ერთადერთი, რაც შემიძლია, შემდეგი მატჩისთვის მომზადებაა. სხვა გზა არ არის, ყურადღება უნდა მოვიკრიბოთ"*.



ინგლისური მედია რაფა ბენიტესსა და ლივერპულს სასტიკად აკრიტიკებს

სტატისტიკა მეტყველებს, რომ „რედინგს" ფეხბურთის ასოციაციის თასზე ინგლისის ტოპგუნდთან სტუმრად 1902 წლის შემდეგ არ მოუგია.

*„ამ შეხვედრაში ბევრი ისეთი რამ შევამჩნიე, რაც არ მომეწონა, - განაგრძო ბენიტესმა, - კერძოდ, რა? ჯობს, ამაზე, ახლა ბევრი არ ვილაპარაკო. დამარცხებას მრავალი ფაქტორის თავმოყრა განაპირობებს. სამწუხაროდ, ახლა, შედეგს ველარ შევცვლი. აკი გეუბნებით, რაც ვნახეთ, ძალიან ცუდი იყო. ჩვენ ყველანი წინ გადადგმულ ნაბიჯს ველოდით, მაგრამ სულ სხვა რამის მოწმეები შევიქენით. თან ახლა, „სტოკ სიტისთან" თამაშის წინ მოულოდნელი სერიოზული პრობლემების წინაშეც აღმოვჩნდით"*.

ბოლო სიტყვებში მერსისაიდელთა ესპანელმა თავკაცმა, რასაკვირველია, ჯერარდისა და ტორესის ტრავმები იგულისხმა.

**ილია ბაბუნაშვილი**

---

იუვენტუსი

# მწვრთნელის საკითხი მოიხსნა?

## კასერესი დაშავდა, ბუფონი ბრუნდება, ლანცაფამემ უარი თქვა

„იუვენტუსის" გენერალური დირექტორი **რობერტო ბეტეგა** აცხადებს, რომ **ჩირო ფერარას** სამწვრთნელო შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა და მისი მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ ხმები მასმედიის გავრცელებულია. იტალიური პრესა ირწმუნებოდა, რომ ფერარას „ბებერი ქალბატონი" „ნაპოლისთან" სათასო მატჩის შემდეგ აუცილებლად დაითხოვდა, მაგრამ „იუვენტუსის" მწვრთნელი, ჯერჯერობით, არ შეცვლილა. ეს შეხვედრა ტურინელებმა 3:0 მოიგეს, რის შემდეგაც ბეტეგა დამაჯერებლად აცხადებს, რომ ფერარასთან თანამშრომლობის შეწყვეტა ისედაც არ იგეგმებოდა. არადა, თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა, რომ „იუვეს" **გუუს ჰიდინკი** ჩაიბარებდა.



ჩირო ფერარა

*„ბრძოლას ძველი კადრებით ვაგრძელებთ. „იუვენტუსს" დანებება არ სჩვევია, ჩვენი მიზანი მომავალ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრასთან ერთად, იტალიის თასის მოპოვება და ევროპის ლიგაში გამარჯვებაა"*, - აცხადებს ბეტეგა.

ფერარას გუნდი უახლოეს მატჩს 17 იანვარს სერია A-ში ჩაატარებს, სტუმრად „კიევოს" წინააღმდეგ.

ტურინელთა ბანაკიდან სიახლეები ამით არ ამოიწურება. „ნაპოლისთან" მატჩში დაშავდა გუნდის მარჯვენა მცველი **მარტინ კასერესი**, რომელიც მოედანზე სამი კვირა ვერ გავა. მან მარჯვენა თეძო დაიზიანა.

ამით „იუვენტუსის" ისედაც ტევადი ლაზარეთი კიდევ უფრო გაიზარდა. კასერესის გარდა, ვერ თამაშობენ **დავიდ ტრეზეგე, ვინჩენცო იაკვინტა, მაურო კამორანეზი, სებასტიან ჯოვინკო** და **კრისტიან პოულსენი**. მომო სისოკო აფრიკის თასზე იცავს მშობლიური მალის ღირსებას.

როგორც ხედავთ, ლაზარეთის ბინადრებში **ჯანლუიჯი ბუფონი** აღარ მოვიხსენიეთ. იგი დასაბრუნებლად უკვე მზადაა. შეგახსენებთ, მან ერთი თვის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა. *„სარეაბილიტაციო პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და თავს შესანიშნავად ვგრძნობ. სათამაშოდ აბსოლუტურად მზად ვარ"*, - წერს ბუფონი საკუთარ ვებგვერდზე. იგი იქვე დასძენს, რომ გუნდმა ჩავარდნა სწრაფად უნდა დაძლიოს და „ნაპოლის" დამარცხებას გამარჯვებათა სერია მიაყოლოს.

ტრავმების ეპიდემიის გამო „იუვენტუსმა" უკან გამოიხმო „პარმაში" განათხოვრებული 22 წლის თავდამსხმელი **დავიდე ლანცაფამე**, მაგრამ მოულოდნელად, მისგან უარი მიიღო. ლანცაფამეს „პარმაში" სურს თამაში და შესაძლოა, უახლოს მომავალში მისი საკუთრებაც გახდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---





დევიდ ჯეიმსი

სატრანსფერო ამბები

# სად იდგება ხვალ დევიდ ჯეიმსი?

**დევიდ ჯეიმსი** შესაძლოა „სტოკში" გადავიდეს - ერთი შეხედვით გასაოცარია, არა? საქმე კი ის გახლავთ, რომ „პორტსმუთს" საშინელი ფინანსური კრიზისი უდგას და სულის მოსათქმელად ასეთი ხერხი მოიფიქრა: ინგლისის ნაკრების ვეტერან მეკარეს აქირავებს. ცნობილი გახდა, რომ „მეთიხეები" („სტოკ სიტის" ასეთი მეტსახელი ქალაქ სტოკში ოდიდან განვითარებული კერამიკული ინდუსტრიის გამო აქვს და ეს სიტყვა ემბლემაზეც კი აწერია) ჯეიმსის ქირაობაზე ყაბულს არიან.

39 წლის ჯეიმსმა შესაძლოა, ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი თამაში ხვალვე ჩაატაროს, „ლივერპულის" წინააღმდეგ. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: კი მაგრამ, სად მიჰყავთ სტოკელებს მეკარე, რომელიც მათი გუნდის კარს აქამდე იცავდა? ეს მეკარე, 33 წლის დანიელი **ტომას სიორენსენი**, „მეთიხეთა" მწვრთნელს, **ტონი პულისს** აღარ მოსწონს.

თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ, ამ ისტორიაში არის ერთი წინააღმდეგობა: „სტოკს" უნდა, რომ ჯეიმსის ხელფასი, კვირაში 40 ათასი ფუნტი, ისევ „პორტსმუთმა" გადაიხადოს, ფულ და არაქათგამოცლილი „პომპეი" კი წინააღმდეგია. მეტიც, პორტსმუთელებს რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელის გაქირავება აქვთ განზრახული და იმედოვნებენ, რომ ჯეიმსს ექვსი თვით „სტოკი" თავიდან ბოლომდე, თავის ხელფასიანად მოაშორებთ. აღსანიშნავია, რომ ჯეიმსმა დაშავებული ზურგი, მუხლი და მყესი მოიშუშა და სამშაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე, „ქოვენთრი სიტისთან" მოედანსაც უნდა დაჰბრუნებოდა, მაგრამ აგენტმა თავის შეკავება ურჩია - მან ხომ იცოდა, რომ ტონი პულისთან უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

სხვათა შორის, პულისმა უკვე ისიც განაცხადა, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნა, ზაფხულზე ჯეიმსს მორიგ, 12-თვიან კონტრაქტზე დაელაპარაკება. მოგეხსენებათ, გარდა იმისა, რომ ჯეიმსი ბოლო ხანს ტრავმამ დააბრკოლა, იგი **ფაბიო კაპელოს** ინგლისის ნაკრების პირველ მეკარედ ისედაც აღარ მიაჩნდა. ასე რომ, გოლკიპერი „სტოკში" თავის გამოჩენას და ეროვნულ გუნდში ადგილის დაბრუნებას შეეცდება. ნაკრებში ჯეიმსის კონკურენტები გახლავან **რობერტ გრინი, ბენ ფოსტერი** და **ჯო ჰარტი**. სხვადასხვა ტკივილით დატანჯულმა დევიდ ჯეიმსმა კი ოქტომბრის შემდეგ მხოლოდ ორ შეხვედრაში მოახერხა მონაწილეობა.

**ილია ბაბუნაშვილი**

---

# ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა რაღა არის?

**სტამბოლის** „გალათასარაიმ" გამოაცხადა, რომ „ევერტონისგან" ავსტრალიელი ფეხბურთელი, **ლუკას ნილი** იყიდა. კონტრაქტი წელიწადნახევრიანია. აღსანიშნავია, რომ ნილი „გუდისონ პარკზე" თავისუფალი აგენტის სტატუსით „ვესტ ჰემიდან" სულ რაღაც ოთხი თვის წინ მივიდა. რამდენადაც ცნობილია, სტამბოლელებმა ავსტრალიელში 750 000 ფუნტი გადაიხადეს.

ინგლისში ნილის თურქეთში გაქცევა ფრიად გაუკვირდათ, რადგან ავსტრალიელი, მიმდინარე ჩემპიონატში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით სულაც არ იტანჯებოდა, ის ათჯერ მოხვდა „ევერტონის" სასტარტო შემადგენლობაში. ბოლოს, მან გასულ შაბათს „არსენალის" წინააღმდეგ ითამაშა - მოგეხსენებათ, ის შეხვედრა „ემირეიტ სთედიუმზე" 2:2 დასრულდა. სულ, ნილი „ევერტონის" ფორმით მოედანზე თხუთმეტჯერ იყო, მაგრამ თანამემამულე **ჰარი კიუელთან** მხარდამხარ თამაშის პერსპექტივამ ისე მოხიბლა, რომ პრემიერლიგას შეელია.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ლუკას ნილმა ინგლისში მთელი 15 წელიწადი გაატარა. თავიდან იგი „მილუოლში" გამოდიოდა, შემდეგ „ბლექბერნში", რასაც „ვესტ ჰემი" მოჰყვა, „ვესტ ჰემს" „ევერტონი" და აი, ახლა თავგადასავალი თურქეთში გაგრძელდება. ცნობისათვის: „გალათასარაი" ევროლიგაში გამოდის, ევროპულ შეჯიბრებაში კი ნილს მონაწილეობა არასდროს მიუღია.



ლუკას ნილი

**ილია ბაბუნაშვილი**

ესპანეთის სამეფო თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები



# 2009 აღარ განმეორდება

## თასი გრანდების გარეშე

2009 წელს „ბარსელონამ" უნიკალური კოლექცია შეაგროვა - გუნდმა ქვეყნის ჩემპიონობას, სამეფო თასს, სუპერთასს, სამი საერთაშორისო ჯილდოც დაურთო, მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ვეჭვობთ, კიდევ დიდი ხანი გავა, სანამ რომელიმე გრანდი **პეპ გვარდიოლას** „ოქროს გუნდის" შედეგს გაიმეორებს, ყოველ შემთხვევაში თავად „ბარსა" წლეულს უკვე ჩაფლავდა - 6-დან ერთ-ერთი ტიტული უკვე მიუწვდომელია - „ბლაუგრანა" ესპანეთის „სამეფო თასს" კატალონიური კლუბისთვის სამარცხვინოდ ადრე, მერვედფინალიდან გამოეთიშა. „სევილიას" ხელმძღვანელობამ სეზონის წინ ძალზე დიდი ამოცანა დაისახა - „ბარსელონას" ტიტულები არ უნდა დავანებოთო, თასზე მათ დანაქადნი აასრულეს, ორი მატჩის ჯამში ანდალუსიელებმა სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით გავიდნენ მეოთხედფინალში.

„ბარსა" „სანჩეს პისხუანს" 1:2 დეფიციტით, მაგრამ დიდი შემართებითა და საბრძოლო შემადგენლობით ეწვია. კატალონიელებს კლასის გარდა „სევილიას" ამჟამინდელი ფორმა უმაგრებდა ზურგს „როხიბლანკოსი" ბოლო დროს მშობლიურ „პისხუანზე" ლამის სულ აგებს. „სევილიამ" ამჯერადაც წააგო, მაგრამ კატალონიის წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული **ჩავი ერნანდესის** მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლი არაფერს ეყო - ბრძოლას „სევილია" აგრძელებს.

„ბარსელონამ" მართლა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ მისმა ფორვარდებმა ვერაფერი მოუხერხეს გოლკიპერ **ანდრეს პალოპს**, რომელმაც ლამის მარტომ გაიყვანა გუნდი „სამეფო თასის" შემდეგ ეტაპზე. სხვათა შორის, **ჟოან ლაპორტამ** თამაშის შემდეგ თქვა, რომ „ასე ამაყი მისი გუნდის თამაშით არასოდეს ყოფილა", ხოლო მისმა „ვიზავი" **ხოსე მარია დელ ნიდომ** აღნიშნა, რომ „სევილიამ" „თასიდან ყველა დროის მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გააგდო". „მარკამ" მასპინძელთა კარის დარაჯ ანდრეს პალოპს „სევილიას" მფარველი ანგელოზი უწოდა...

„სამეფო თასიდან" გავარდა „ვალენსიაც" - „ლოს ჩეც" 1:2 დეფიციტით ჩავიდა გალისიაში, მაგრამ „ბარსასგან" განსხვავებით, **უნაი ემერის** გუნდმა თავიდან იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე საჭირო იყო - **ნიკოლა ჟიგიჩის** დუბლით „ვალენსიამ" ტაიმი 2:0 მოიგო, მაგრამ „დეპორტივომ" მეორეში **ლუიშ ფილიპესა** (მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი) და **ხუან როდრიგესის** გოლებით 2:2 დაასრულა. სხვათა შორის, ემერიმ სასტარტოში ანდო ადგილი **ალეხანდრო დომინგესს (დავიდ ვილია** მეორე ტაიმში შემოვიდა), მაგრამ ყაზანის „რუბინის" ყოფილმა ლიდერმა თავი ვერაფრით გამოიჩინა.

„ხეტაფემ" 5:1 სძლია „მალაგას" და ის ადგილი მიუჩინა, რაც ამ სეზონში ეკუთვნის, არადა პირველი მატჩი „მალაგას" მოგებული ჰქონდა. დასრულდა მესამე დივიზიონის „ალკორკონის" კონკიას ზღაპარი, გუნდი „რასინგმა" გამოთიშა ასპარეზობიდან. „ალკორკონის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდს არც ამ ეტაპზე შეურცხვენია თავი - კანტაბრიულ გუნდს სტუმრად 0:0 ეთამაშა. პამპლონის „ოსასუნამ" სეგუნდა დივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი „ერკულესი" ირანელი **მასუდის** ერთადერთი გოლის წყალობით გამოთიშა გათამაშებიდან.

**რასინგი-ალკორკონი 0:0 (3:2)**

**რასინგი (4-2-3-1):** ფერნანდესი - კრესპო (65. კრისტიანი), მორატონი, ენრიკე, ოსმანი - კოლსა, დიოპი - არანა, ლ. გარსია (63. კანალესი), მორალი (77. მუნიტისი) - გეიხო.

**ალკორკონი (4-2-3-1):** ხუანმა - ნაგირე, ი. ლოპესი, ბ. გომესი, ბერმუდესი - ვარა (60. დ. სანსი), მორა - რ. სანსი (70. კარმელო), ბეხარი, ე. გომესი - გარსონი (69. ხერემი).

**ოსასუნა-ერკულესი 1:0 (1:2)**

**ოსასუნა (4-4-2):** რობერტო - ასპილიკუეტა, როვერსიო, სერხიო, მონრეალი - მასუდი (77. ხუანფრანი), პუნიალი, რუპერი, კალეხა (67. კამუნიასი) - დადი (87. პანდიანი), გალანი.

**ერკულესი (4-2-3-1):** ალბა - ბაუტისტა, პამარო, როდრიგესი, პენია - ალონსო, როდრი (77. პორტილიო) - ოლმო (67. სენდოა), ტოტე, კიკო - რაფა (61. დელიბაშიჩი).

**გოლი:** 1:0 მასუდი (48)

**დეპორტივო-ვალენსია 2:2 (2:1)**

**დეპორტივო (4-2-3-1):** მანუ - ლაურე, პისკუ, ზე კასტრო, მ. პაბლო - ტომასი (84. ლოპო), ჟუკა - როდრიგესი, ვალერონი (60. ი. პერესი), ფილიპე - ბოდიპო (67. ადრიანი).

**ვალენსია (4-4-2):** მოია - მიგელი, ნავარო, მარჩენა, მატიო - სილვა, ფერნანდეში (75. ბანეგა), ალბელდა, ვისენტე (82. ვილია) - ჟიგიჩი, დომინგესი (57. ხოაკინი).

**გოლები:** 0:1 ჟიგიჩი (10), 0:2 ჟიგიჩი (29), 1:2 ფილიპე (49), 2:2 როდრიგესი (71)

**სევილია-ბარსელონა 0:1 (2:1)**

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კონკო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ნავარო - დუშერი (57. ლოლო), რომარიკი (90. კალა) - ხ. ნავასი, რენატო, ადრიანო (64. კაპელი) - ნეგრედო.

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში (83. პედრო), პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი (84. კრკიჩი), ანრი.

**გოლი:** 0:1 ჩავი (64)

**ხეტაფე-მალაგა 5:1 (1:2)**

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - კორტესი, დიასი, რაფა, მ. ტორესი - სელესტინი, კასკერო (61. გონსალესი) - პ. ლეონი (56. რიოსი), პარეხო, მანუ - სოლდადო (61. სარდინერო).

**მალაგა (4-2-3-1):** სანტამარია - გამესი, ი. გონსალესი (54. რამოსი), ველიგტონი, მ. ტორესი (47. მორალესი) - ხ. ტორესი, ტორიბიო - ლუკე, ბენაშური (46. ხუანმი), დუდა - ბა.

**გოლები:** 1:0 სოლდადო (15), 2:0 რაფა (30), 3:0 სოლდადო (49), 4:0 პ. ლეონი (53), 4:1 ხუანმი (63), 5:1 პარეხო (81)

ანგოლა 2010. ჯგუფური ეტაპი

# ანგოლამ ჭკუა ისწავლა

## ოვონო გაბონის გმირია

აფრიკის ერთა თასი ნელ-ნელა გახურდა, ტოგოს ნაკრების ტრაგედია უკვე თითქმის აღარავის ახსოვს, მით უფრო, რომ მასპინძელთა ნაკრებმაც გამოილო ფხა. არადა „შავ ანტილოპებს" ერთა თასის გახსნის მატჩში ისეთი რამ დაემართათ თავმოყვარე გუნდს რომ არ ეკადრება - თამაშის დასრულებას არაფერი უკლდა 4:0-ს რომ იგებდნენ და ამხელა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს მალის ნაკრებთან. ამჯერად ანგოლა მალავის ხვდებოდა, რომელთა თიკუნიც „ალებია", მაგრამ მალავურმა ალმა ვერაფერი დააკლო „შავ ანტილოპებს" - ანგოლამ 2:0 მოიგო და 4 ქულით A ჯგუფს სათავეში ჩაუდგა. პირველ ტაიმში ბევრი არაფერი მომხდარა, გუნდებმა ჯერ დაზვერეს ერთმანეთი, მერე მალავი დაცვაში „ჩაჯდა", ხოლო მასპინძელთა შეტევები სტუმართა საჯარიმოს ხაზთან იფუშებოდა. მეორე ტაიმი დაიწყო და ტანმორჩილმა **ფლავიომ** ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, ეს მისი მესამე გოლია ამ ჩემპიონატში. ხუთი წუთის შემდეგ როგორც იქნა გაისწორა სამიზნე **მანუჩომ**, რომელმაც პირველ ტაიმში 2-3 ხელსაყრელი მომენტი გაანიავა. **პიტერ ვადაბვამ** უხეირო პასი მიაწოდა უკან **პიტერ მპონდას** და მანუჩომაც ამით იხეირა, მცველს დაასწრო და ანგარიში 2:0 გახადა.

პირველი ტურის შემდეგ რეაბილიტაცია ალჟირის ნაკრებმაც მოახერხა, ალჟირელებმა 1:0 მოუგეს „რეალის", „ბარსელონას", „იუვენტუსის" და „სევილიას" ვარსკვლავებით სავსე მალის ნაკრებს, რომელსაც, ალბათ, ძალიან გაუჭირდება ჯგუფიდან გასვლა, მიუხედავად „არწივთა" გმირობისა პირველ ტურში. მატჩის ერთადერთი გოლი **ქარიმ ზიანის** პასით 43-ე წუთზე **რაფიკ ჰალიჩემ** გაიტანა. 92-ე წუთზე ალჟირელთა ახალგაზრდა გოლკიპერმა **ფაუზი ჩაუჩიმ** კინაღამ დაღუპა გუნდი - მანამდე მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა **მაიგას** ჩაწოდებული ხელიდან გაუშვა, ალჟირელთა საბედნიეროდ, ბურთი კარის ხაზიდან **ბუგერამ** გამოიტანა.

ალბათ, ჩვენში ყველაზე მეტად გაბონის ნაკრებს გულშემატკივრობენ. ამის მიზეზი კი მათი ფრანგი მწვრთნელი და რამდენიმე ფეხბურთელია. **ალენ ჟირესი** საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა, **დიდიე ოვონო** თბილისის „დინამოს" კარს იცავდა, ხოლო **პოლ კესანი** ერთ დროს „ზესტაფონის" ძრავა იყო (კიდევ ერთი „ქართველი" **ერნესტ აკუასაგა** სკამზე იჯდა). ამ გუნდმა კამერუნის ნაკრების ძლევით ნამდვილი სენსაცია მოახდინა. მატჩის ერთადერთი გოლი მე-17 წუთზე **დანიელ კუზინმა** გაიტანა, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, ამ მატჩის უპირველესი გმირი მაინც ოვონო იყო. ასე მხოლოდ ჩვენ არ ვფიქრობთ - goal.com-მა ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

**ანგოლა-მალავი 2:0**

**ანგოლა (3-5-2):** კარლოსი - ზუელა, კალი, მარკესი - ჟილბერტო (36. ჟამუანა), ჯალმა (73. დავიდი), ქსარა, სტელვიო, მაბინა - მანუჩო, ფლავიო (93. მანტორასი).

**მალავი (4-1-3-2):** სანუდი - ჩავულა, მპონდა, სანგალა, კაფოტეკა - ჰელინგსი - კამვენდო (75. ნგამბი), ბანდა, ვადაბვა (57. ზაკაზაკა) - კანიენდა, ნირენდა (46. მსოვოია).

**გოლები:** 1:0 ფლავიო (48), 2:0 მანუჩო (53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანგოლა | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| 2. მალავი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ალჟირი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 4. მალი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |

**D ჯგუფი**

**კამერუნი-გაბონი 0:1**

**კამერუნი (4-3-3):** კამენი - ბედიმო (76. ენო), რ. სონგი, ნკულუ, ჯერემი - მაკუნი, ა. სონგი, ნგუემო (46. ტჩოი) - ემანა, ეტოო, ვებო (64. იდრისუ).

**გაბონი (4-4-2):** ოვონო - ამბურუე, აპანგა, მანგა, მუდუნგა - ნგუემა, მუბამბა, კესანი, მბანგუიე (65. დისიკადიე) - მეიე (78. აუბამეიანგი), კუზინი.

**გოლი:** 0:1 კუზინი (17)

**ზამბია-ტუნისი 1:1**

**ზამბია (4-1-3-2):** მვეენა - მბოლა, კამპამბა, სანზუ, მუსონდა - ნირიენდა - კატონგო, კალაბა, კატონგო - მულენგა, ჩამანგა (84. რენარდი).

**ტუნისი (4-4-1-1):** მატლუტი - მიკარი, ჯემალი, ჰაგი, სუისი - მსაკნი (90. ნაფხა), რაგუე, კორბი, დაუადი - დარაგი (62. ჟემაა) - შერმიტი (82. ბენზარტი).

**გოლები:** 1:0 მულენგა (18), 1:1 დუადი (40)

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



სამუელ ეტოო

**A ჯგუფი**

**მალი-ალჟირი 0:1**

**მალი (4-2-3-1):** დიაკიტე - ტამბურა, სუმარე, მ. მაიგა, ბერტე - მ. დიარა, მ. სისოკო - ა. მაიგა, კეიტა, იატაბარე (59. დიალო) - ნდიაიე (61. კანუტე).

**ალჟირი (4-2-3-1):** ჩაუჩი - ბელჰაჯი, ბუგერა, ჰალიჩე, ლაიფაუი - მანსური, იებდა - ბეზაზი (70. ბუაზა), ზიანი, მატმური (90. ზიაია) - გეზალი (80. საიფი).

**გოლი:** 0:1 ჰალიჩე (43)



გახსოვთ დიდიე ოვონო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. მეორე წრის დაწყებამდე

# დღეს გერმანიაც იღვიძებს

## 15 მიზეზი, თუ რატომ უნდა იყოს გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრე ძალიან საინტერესო

ყველანაირ ლოდინს აქვს დასასრული. როგორც ყოველთვის, ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატებიდან ყველაზე გვიან გერმანიის პირველობა განახლდება. ბუნდესლიგა წელს უჩვეულოდ მალე ასრულებს ზამთრის არდადეგებს, მაგრამ ეს მსოფლიოს ჩემპიონატის „ბრალია". თუმცა არდადეგებიდან სწრაფად დაბრუნება ფეხბურთელებმა იდარდონ, ჩვენ კი, გულშემატკივრებს, მხოლოდ გვახარებს ის ფაქტი, რომ გერმანიის პირველობა 15 იანვარს გვიბრუნდება. მეორე წრე დღეს, „ბაიერნისა" და „ჰოფენჰაიმის" დაპირისპირებით იწყება. ბუნდესლიგის მოყვარულები დარწმუნებულები უნდა ვიყოთ იმაში, რომ ძალიან ბევრი საინტერესო მატჩი გველის. ჩვენ შევარჩიეთ 15 მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრე უაღრესად დაძაბული და საინტერესო.

### 1. სინისთვის ექვსი გუნდი იბრძვის

ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაა. თუ პირველ წრეს გადავხედავთ და ტენდენციებსაც დავაკვირდებით, დავასკვნით, რომ წესით, „ვერცხლის სინისთვის" ექვსმა გუნდმა უნდა იბრძოლოს. ლოგიკურად, ჩემპიონობის ნომერ პირველი პრეტენდენტები პირველი წრის მომგები „ლევერკუზენი" და მუდმივი ფავორიტი „ბაიერნი" არიან, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ამ ორ გუნდს ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ **ფელიქს მაგათის „შალკე", ბრუნო ლაბადიას** „ჰამბურგი", აზრზე მოსული დორტმუნდის „ბორუსია" და „კერკეტი კაკალი" ბრემენის „ვერდერი".

### 2. ბერლინის ჰერტა კობიაშვილთან ერთად

მოვლენების ძალიან საინტერესოდ განვითარებაა მოსალოდნელი „სარდაფშიც". ამბიციურმა ბერლინის „ჰერტამ" პირველი წრე რბილად რომ ვთქვათ, საზიზღრად ჩაატარა და ბერლინელებს მეორე წრეში სენსაციის მოხდენა სურთ. „ჰერტა" „სამშვიდობოს" ათი ქულით ჩამორჩება და ფაქტია, რომ ძალიან გაუჭირდება გადარჩენისთვის ბრძოლა. პირდაპირ ვიტყვით: „ჰერტა" ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი უპირველესი ინტრიგაა. თანაც, იანვარში ბერლინელები ჩვენებური **ლევან კობიაშვილით** გაძლიერდნენ, რაც ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა. „ნიურნბერგმა" „ბაიერნის" სკამის მხეხლები, **ბრენო და ოტლი** ინათხოვრა – სწორედ ფრანკებში უნდა გამოაჩინონ მათ თავიანთი შესაძლებლობები.

### 3. ადლერი თუ ნოიერი?

მეორე წრეში, ბუნდესლიგის ფეხბურთელებს 17 მატჩი ეძლევათ იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა დაიმსახურონ. გერმანიის ნაკრების შემთხვევაში დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა: რომელი მეკარე დაიცავს მუნდიალზე ბუნდესგუნდის კარს? ამ ბრძოლაში სამი მეკარეა ჩართული: **რენე ადლერი** (ლევერკუზენი), მანუელ ნოიერი (შალკე) და ტიმ ვიზე (ვერდერი), მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ მთავარი დუელი ადლერსა და ნოიერს შორის გაიმართება.

### 4. ტალანტების ბუმი

ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელების საშუალო ასაკი აქამდე მხოლოდ ერთხელ იყო ასეთი დაბალი! 1991/92 წლების სეზონში, ფეხბურთელების საშუალო ასაკი 26.5 წელს შეადგენდა. პირველ წრეში 81-მა(!) ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომელთა ასაკი 23 წელზე დაბალია.

### 5. სენსაციების სეზონი

მიმდინარე სეზონში უჩვეულოდ ხშირად ხდება სენსაციები. პირველ წრეში სტუმრებმა მატჩების 31 პროცენტი მოიგეს, რაც რეკორდია. აქამდე, სტუმრებს ბუნდესლიგის არც ერთი სეზონის პირველ წრეში არ მოუგიათ ამდენი მატჩი. ბუნდესლიგა ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ მატჩები ლოგიკურად მთავრდებოდა. წელს კი ნებისმიერ კლუბს შეუძლია სერიოზული სენსაციის მოხდენა, რაც გერმანიის ისედაც დაძაბული პირველობისთვის დამატებითი ინტრიგაა.

### 6. იენს ლემანი

**40 წლის იენს ლემანი** არ ნებდება და თამაშს განაგრძობს. ამაში განსაკუთრებული არაფერია. საინტერესო ის არის, რომ პირველ წრეში ვეტერანმა გოლკიპერმა არაერთხელ აურია, რის გამოც მას ფანებიც ველარ იტანენ. ლემანი ხშირად უბრალოდ სისულელეებს აკეთებს. ვნახოთ, დაჭკვიანდება თუ არა „ბაბუა იენსი" მეორე წრეში.

### 7. ული ჰიონესი

სანამ გენერალური მენეჯერი იყო, ენას არ აჩუმებდა და პრეზიდენტის რანგში რაღას იზამს? **ული ჰიონესი** ყოველთვის იყო, არის და იქნება (სანამ იქნება) ბუნდესლიგის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი. საკმარისია, რეკორდმაისტერს საქმეები კარგად ვერ წაუვიდეს, რომ ული იფეთქებს და მერე...

### 8. ტუხელი და მაინცი

ახალგაზრდა მწვრთნელი **თომას ტუხელი** და მისი გუნდი „მაინცი" პირველი წრის უმთავრესი აღმოჩენაა. კარნავალელები მათთვის დამახასიათებელ, შემტევ და ლაღ ფეხბურთს თამაშობენ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეორე წრეში ბევრს გაამწარებენ.

### 9. ბრძოლა ახალი კონტრაქტებისთვის

ფეხბურთელების ძალიან დიდი ნაწილი ახალი კონტრაქტების მოლოდინშია. სეზონის ბოლოს ბუნდესლიგის ასზე მეტ ისეთ ფეხბურთელს უმთავრდება კონტრაქტი, რომლებსაც ბუნდესლიგაში მინიმუმ ერთი თამაში აქვთ ჩატარებული. მათ შორისაა, მაგალითად, „ბაიერნისა" და არგენტინის ნაკრების მცველი **მარტინ დემიკელისი**.

### 10. რობერი

„ბაიერნის" ლიდერები **არიენ რობენი და ფრანკ რიბერი** პირველ წრეში უმეტესად ტრავმირებულები იყვნენ, რის გამოც მხოლოდ რამდენჯერმე დადგეს ისეთი სპექტაკლი, როგორსაც მათგან ფანები მოელიან და ითხოვენ. რობენი კარგადაა, გამოჯანმრთელდა რიბერიც – ასე რომ, ველით სპექტაკლებს!


მეორე წრეში ფრანკ რიბერისგან და არიენ რობენისგან სპექტაკლებს ველით

### 11. მაგათი და ბავშვები

ცხადია, უდიდესი ინტრიგაა ფელიქს მაგათი და მისი „შალკე". ეს არის კაცი, რომელსაც ნებისმიერი გუნდით შეუძლია წარმატების მიღწევა (შარშან „ვოლფსბურგი" გააჩემპიონა), ხოლო „შალკე" კი ის გუნდია, რომელსაც უდიდესი ტრადიციები აქვს, მაგრამ ნახევარ საუკუნეზე მეტია, ჩემპიონი არ გამხდარა. პირველი წრე **ლევან ყენიას** გუნდმა მეორე ადგილზე დაასრულა და საინტერესოა, მოახერხებს თუ არა „დესპოტი ფელიქსი" თავისი უაღრესად ახალგაზრდული გუნდით მორიგი სენსაციის მოხდენას. თანაც, მალე ყენიაც უნდა გამოჯანმრთელდეს, რომელსაც „შალკეში", სხვათა შორის, ახალი კონკურენტი ჰყავს – იანვრის დასაწყისში „ბაიერნიდან" გადმობირებული გამთამაშებელი **ალექსანდერ ბაუმიოჰანი**.

### 12. ჰამბურგს ლიდერები უბრუნდებიან

„ჰამბურგი" პირველ წრეში ძალიან დაიტანჯა იმის გამო, რომ ერთდროულად რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუშავდა და მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** იძულებული გახდა, თავდამსხმელები მოყვარულთა გუნდიდან აეყვანა. ჩრდილოელებმა თავიანთი ნამდვილი ძალა მეორე წრეში უნდა გამოაჩინონ, როცა **მლადენ პეტრიჩთან** ერთად, გამოჯანმრთელდებიან **ელერო ელია და პაულო გერეროც**. თანაც, დიდი შანსია, რომ „ჰამბურგმა" ახლავე დაიმატოს ბრაზილიელი თავდამსხმელი **ვაგნერ ლავი**.

### 13. ლევერკუზენი და კისლინგი

„ლევერკუზენი" იმისათვის იბრძვის, რომ „ვიცეობის" წყევლა მოიშოროს. პირველ წრეში **იუპ ჰაინკესის** გუნდმა ბრწყინვალედ იასპარეზა და ზამთრის ჩემპიონი გახდა, რაშიც ლომის წვლილი მიუძღვის თავდამსხმელ **შტეფან კისლინგს**, რომელიც თანაგუნდელებს 12 გოლითა და 6 საგოლე გადაცემით შეეწია და პირველი წრის შემდეგ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია. თანაც, კისლინგი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძვის. სხვათა შორის, „ლევერკუზენს" მეორე პოტენციური ბუნდესგუნდელი თავდამსხმელი, **პატრიკ ჰელმესიც** გამოუჯანმრთელდა.

### 14. პლაგიატი რუმენიგე

პირველი წრის მინურულს, ული ჰიონესის „ბაიერნის" პრეზიდენტად არჩევის ცერემონიალზე, ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** აწ უკვე საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** მიუძღვნა ლექსი, რომელიც მოპარული აღმოჩნდა! კალეს მოყვარულმა პოეტმა სასამართლოში უჩივლა. საინტერესოა, რას მოიფიქრებს რუმენიგე იმ შემთხვევაში, თუ რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონი გახდება.

### 15. გამოცოცხლებული ვერდერი

ბრემენში ისევ უკრავენ! „მუსიკოსებმა" პირველი წრე კარგად ჩაატარეს. **თომას შააფის** გუნდში განსაკუთრებით **მესუთ იოზილის, მარკო მარინისა და აარონ ჰანტის** ტრიო გამოირჩეოდა. მალე **კლაუდიო პისაროც** გამოჯანმრთელდება და უნდა ვიფიქროთ, რომ სეზონის მეორე ნახევარს „ვერდერი" უფრო უკეთესად ჩაატარებს.

**გოტფრიდ ლენცი**


ბუნდესლიგა დღეს ბაიერნისა და ჰოფენჰაიმის დაპირისპირებით განახლდება




ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგური ბიზნესი

# მაქსიმალური მოულოდნელობა

ორი დევიდის - **გოლდისა და სალივანის** განრისხების მიუხედავად გამოცხადდა, რომ „ვესტ ჰემის" გადარჩენას **ჯანფრანკო ძოლას** ყოფილი შეფი, იტალიელი მულტიმილიონერი **მასიმო ჩელინო** კისრულობს. ვფიქრობთ, ამ წინადადებაში ჩამოთვლილი ხალხიდან ძოლას გარდა წარდგენა თუ არა, შეხსენება მაინც ყველას სჭირდება: ძოლა ხომ „ვესტ ჰემის" ახლანდელი მწვრთნელია, ხოლო ჩელინო მისი მშობლიური კლუბის, სარდინიული „კალიარის" მეპატრონე და თავმჯდომარე, რომელიც - ბოდიში უხეში გამოთქმისთვის და - „ჩაქუჩების" ყიდვის სურვილით საიდანღაც სრულიად მოულოდნელად გამოტყვრა. და თუ იმ ეფექტით ვიმსჯელებთ, რომელიც მის გამოჩენას მოჰყვა, ასეთ ადამიანს „ვესტ ჰემის" გარშემო არავინ ელოდა.

ასე იყო თუ ისე, სინიორ ჩელინო ვესტ ჰემის ბანკის, „როტშილდსის" წარმომადგენლებს შეხვდა, კლუბის ამჟამინდელი პატრონის, „სტრაუმერის" ექსპერტებსაც ელაპარაკა და როგორც ინგლისური ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, ორივეს თავი მოაწონა. ამ ამბავმა, ცხადია, განარისხა „ბირმინგემის" ყოფილი მფლობელები გოლდი და სალივანი, რომელთაც ჩანთაში 50 მილიონი ფუნტი უკვე ჩალაგებული ჰქონდათ და ის-ის იყო, „ვესტ ჰემის" საყიდლად სახლიდან უნდა გასულიყვნენ.


მასიმო ჩელინო

რად უნდა ლაპარაკი, რომ ჩელინოს, რომელიც თურმე მაიამიში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ლონდონური კლუბის გადარჩენა ძოლამ სთხოვა. ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ იტალიელი ამჟამად ლონდონშია, „ჩაქუჩების" საქმესთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აგრძელებს და სულაც არ არის გამორიცხული, ბევრი რამ კვირის ბოლოსთვის გაარკვიოს კიდეც. ცნობილია, რომ მან იტალიაში ახლობლებსა და მეგობრებს ასე შეუთვალა: *„მინდა, ეს კლუბი გადავარჩინო და საქმეს რაც შეიძლება მალე შევუდგე".*

სარდინიელი ბიზნესმენის ამბავი „ვესტ ჰემის" მავანმა მაღალ თანამდებობაზე მყოფმა თანამშრომელმაც დაადასტურა: *„ჩელინო ძალიან სერიოზული მოთამაშეა. სანამ ლონდონში ჩამოვიდოდა, „საშინაო დავალება" პირნათლად შეუსრულებია. აქ, საჭირო ხალხზე გვარიანი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გათვლილი".*

ჩელინო მდიდარი ბიზნესმენია. ის ფერმერი გახლავთ, ხორბლის ბიზნესშია. 1992 წლის შემდეგ იგი „კალიარის" უდგას სათავეში, 2003 წელს კი თავის გუნდში უკვე ვეტერანი და „ჩელსიმოვლილი" ძოლა გადაიყვანა და წარმატებასაც მიაღწია - სარდინიული გუნდი სერია A-ში აღზევდა. იმ პერიოდიდან მოყოლებული ძოლა და ჩელინო მეგობრები არიან და ბიზნესმენი ყოფილი ფეხბურთელითა და ახლა უკვე მწვრთნელით აღფრთოვანებას არ მალავს. არადა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გოლდისა და სალივანის ამბავი თითქმის უკვე გადაწყვეტილი ჩანდა.

*„ჩვენი კლუბის ისლანდიური დირექტორატი და მათი აგენტები ძალიან სახიფათო თამაშს თამაშობენ. რჩება შთაბეჭდილება, რომ გოლდი და სალივანი გამოიყენეს და შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლენინეს. ახლა ისინი თავიდან რომ მოიცილონ, სულაც არ იქნება გასაკვირი",* - თქვა „აპტონ პარკის" კიდევ ერთმა მაღალჩინოსანმა.

ჩელინოს გამოჩენამ კიდევ ორ პოტენციურ მყიდველს გადაავლო ცივი წყალი: ამერიკულ კორპორაცია „ინტერმარკეტსა" და მალაიზიელ ბიზნესმენ **ტონი ფერნანდესს.**

# იყიდება ოლდ ტრეფორდი...

„მანჩესტერ იუნაიტედის" ვალებისგან შეჭმულმა ამერიკელ მეპატრონეთა ოჯახმა ხმამაღლა პირველად თქვა ის, რის თქმასაც აქამდე, როგორც ჩანს, ვერ ბედავდა: „ოლდ ტრეფორდი" ხომ არ გაგვეყიდაო. მოგეხსენებათ, **გლეიზერებმა** „მანჩესტერ იუნაიტედი" 2005 წელს შეიძინეს, რისთვისაც ბანკებიდან დიდძალი კრედიტის გამოტანა დასჭირდათ. მას მერე, აგერ უკვე ხუთი წელიწადია გასული და ამ ხნის განმავლობაში პატივცემულ ბიზნესმენებს სტადიონის გაყიდვის შესახებ ერთხელაც არაფერი წამოსცდენიათ, მაგრამ დღეს ვითარება შეიცვალა. დღეს კლუბი დიდძალ ვალებშია და გლეიზერებმა ამ ვალებისგან თავის დასაღწევად 500 მილიონი ფუნტის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა განიზრახეს, თუმცა ისიც განმარტეს, რომ ამის შემდეგ გაყიდვებისა და ტრანსფერების თავისუფლება შეეზღუდებათ. სამაგიეროდ, მათ ვერავინ აუკრძალავს საწვრთნელი ცენტრებისა და სტადიონის გასხვისებას.

მანამდე კი, როგორც გლეიზერების განცხადებიდან ჩანს, სურათი ასეთია: „მანჩესტერ იუნაიტედს" ახალი ფეხბურთელების შესაძენად თავისი ფული კაპიკიც არ აქვს. სხვა სიტყვებით, თუ სერ **ალექს ფერგიუსონს** მავანი მოთამაშე მოეწონება, მისი შესაძენი თანხა დამატებით იქნება სასესხებელი. მაგრამ რა ყიდვა, რის ყიდვა, როდესაც გლეიზერები ვალებთან ბრძოლას თავად აპირებენ ფეხბურთელების გაყიდვით. არის სხვა საფრთხეებიც, მაგრამ მათზე ლაპარაკი ზედმეტ ეკონომიკურ დეტალებში შეგვიყვანს.

რად უნდა ლაპარაკი, რომ მანჩესტერელ ფანებს ყველაზე მეტად „ოლდ ტრეფორდის" გაყიდვა აშინებთ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლაპარაკია „იუნაიტედის" „კერინგტონის" ცნობილ ბაზაზეც. ამბობენ, რომ გლეიზერები ამ ორ ობიექტს გაყიდვას და შემდეგ ქირაობას უპირებენ. დღეს, უკვე ირკვევა, რომ მანჩესტერელთა გულშემატკივრებს ჯერ კიდევ 2005 წლიდან ჰქონდათ ეჭვი, რომ ამერიკელი მეპატრონეები ადრე თუ გვიან ამ ნაბიჯს გადადგამდნენ.



ოლდ ტრეფორდსაც მიადგნენ...

მოსაზრება



სოლ კემპბელი არსენალისა და ვესტ ჰემის სათადარიგო გუნდების მატჩისას

# გამორიცხულია!

**სოლ კემპბელის „არსენალში" დაბრუნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ საკითხს თავის ტრადიციულ მიმოხილვაში „ტოტენჰემ ჰოტსპურის" თავკაცი ჰარი რედნაპიც გამოეხმაურა და ვფიქრობთ, მისი ნააზრევის გაცნობა „ლელოს" მკითხველისთვის საინტერესო იქნება. სოლ კემპბელმა შესაძლოა „არსენალს" პრემიერლიგის ტიტულის მოგებაში ხელი ძალიან შეუწყოს, მაგრამ ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაში ვერაფრით დაეხმარება.**

„მეთოფეთა" მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** მართლაც ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა: კემპბელი ჯერ ბაზაზე შეუშვა, შემდეგ გუნდთან ერთად ვარჯიშის საშუალება მისცა, ხელი თავადაც წაუკრა, თან დააკვირდა და როდესაც მოეწონა, აიყვანა კიდეც. მინდა გითხრათ, რომ სოლი დღესაც დიდებული ფეხბურთელია და „არსენალის" ორი ცენტრალური მცველის დასაზღვევად მისი გუნდში ყოლა საუცხოო სვლაა, მაგრამ ისტორიამ ასეთი გაგრძელება პოვა: საკმარისი იყო ვენგერს კემპბელთან კონტრაქტი გაეფორმებინა, რომ ატყდა ლაპარაკი, ვეტერანის შემდეგი ნაბიჯი ნაკრებში დაბრუნება და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება იქნებაო. გამორიცხულია! სოლ კემპბელის ნაკრებში დაბრუნების ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ. ის, კარიერის თავიდან დასაწყებად მეტისმეტად ასაკოვანია. ოთხი წლის წინ, როდესაც სოლი „არსენალიდან" „პორტსმუთში" წავიყვანე, იგი ჯერ კიდევ მწვერვალზე იყო, მაგრამ ინგლისის ნაკრებში უკვე აღარ ათამაშებდნენ. ამასთან, აშკარად შევამჩნიე, რომ „არსენალს" მისი თავიდან მოშორება გაუხარდა. რატომ? ვერ გეტყვით: ან იმიტომ, რომ კემპბელს მეტისმეტად დიდ ხელფასს უხდიდა და ამ ხარჯის მოშორება სურდა ან კიდევ იმიტომ, რომ გრძნობდა, ეს ფეხბურთელი მისთვის სასურველ დონეზე დიდხანს ველარ ითამაშებდა. ასე იყო თუ ისე, მას მერე ინგლისის ნაკრები სოლით აღარ დაინტერესებულა და, ბუნებრივია, არც ფეხბურთელს დაჰკლებია მას მერე გასული ოთხი წელიწადი. პირიქით, მას ეს წლები მოემატა. სხვათა შორის, სოლ კემპბელი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თავისუფალი აგენტი გახლდათ და წესით, მისი უფასოდ ხელში ჩაგდება პრემიერლიგის ამა თუ იმ გუნდს უნდა მონდომებოდა, მაგრამ, როგორც იცით, მსგავსი არაფერი მომხდარა. და ნუთუ დღეს „არსენალი" - ღმერთმა ხელი მოუმართოს - ფიქრობს, რომ ამ ვეტერანის სანაკრებო დონემდე გაქაჩვას შეძლებს? გარწმუნებთ, გამორიცხულია, მით უფრო მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადს. დიახ, ინგლისის ნაკრებს დაცვაში პრობლემები აქვს. თუნდაც **რიო ფერდინანდის** ზურგის ტრავმა გავიხსენოთ, მაგრამ კემპბელით ამ პრობლემების გადაწყვეტა ვერაფრით იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ და ვგონებ, კაპელოც ასე უნდა ფიქრობდეს. მეტსაც გეტყვით, თუ ინგლისის ნაკრებს სამარქაფოდ კიდევ ერთი ფეხბურთელი სჭირდება, სოლ კემპბელს გაცილებით სჯობს **ლედლი კინგი.**

ლედლი ფანტასტიკური ფეხბურთელია, რომელსაც სხვადასხვა პოზიციაზეც ეხერხება თამაში. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია ბურთის დამჭერი ნახევარმცველის როლშიც მოგვევლინოს. ერთი სიტყვით, ლედლი კინგი ზუსტად ის კაცია, რომელიც ნაკრების მწვრთნელს სჭირდება, მით უფრო მაშინ, როდესაც მოახლოებული შეჯიბრება უკვე ძალიან კონკრეტულ ამოცანებს უსახავს, ფეხბურთელების ტრავმიანობა არჩევანს ურთულებს, ხოლო დებულება მოთამაშეთა რაოდენობაზე ლიმიტს უწესებს. მართალია, ლედლისაც აქვს პრობლემა, მას მუხლი აწუხებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშსა და თამაშს შორის, ტკივილის მოსაშუშებელი დრო საკმარისადაა. ერთი სიტყვით, მოდი გავიმეორებ, რომ თავის დასაზღვევად გუნდში სოლ კემპბელის ყოლას ლედლი კინგის ყოლა სჯობს. რად უნდა ლაპარაკი, კემპბელს ინგლისის ნაკრებისთვის ბევრი აქვს გაკეთებული და „არსენალისთვის" კვლავაც ბევრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ერთსაც გაგიმხელთ: ის ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება. მახსოვს, „პორტსმუთში" რომ მყავდა, ცოტას ვარჯიშობდა, თუმცა ამ ნაკლს სხვა თვისებით აწონასწორებდა და ახლაც აწონასწორებს - როგორც პროფესიონალი, მეტისმეტად ამაყი და თავმოყვარეა. სხვა სიტყვებით, მე, როგორც მწვრთნელი, კემპბელს საკუთარ თავთან მარტოს ვტოვებდი - თავად წყვეტდა, რა მანქანებით უნდა ყოფილიყო თამაშისთვის მზად. საერთოდ, სოლისნაირ ფეხბურთელს უნდა ენდო. თუ გეუბნება, რომ სამშაბათს ან ხუთშაბათს არ ივარჯიშებს, არ უნდა გაუძალიანდე. წავიდეს, გაიკეთოს მასაჟი თუ ის რაღაც, რისი გულისთვისაც დაგეთხოვა. მთავარია, რომ შაბათს, თამაშის დღეს ფორმაში იქნება და ამას რაღაცნაირად თავად მოახერხებს. და მინდა გითხრათ, რომ დღეს, ჩემთან, „ტოტენჰემში" ლედლიც ზუსტად მასავით იქცევა - კვირის განმავლობაში ძალიან ცოტას ვარჯიშობს, თამაშზე კი მომზადებული მოდის. როგორ ხდება ეს, მისი ორგანიზმის გარდა არავინ იცის. წერილის ბოლოს კი მინდა იმას დავუბრუნდე, რაც თავიდან ვთქვი: სოლ კემპბელი რომ დაიმატა ვენგერმა სწორი ნაბიჯი გადადგა. ეს ფეხბურთელი „არსენალს" ძვირიც არ დაუჯდება. იგი პერიოდულად შევა მოედანზე და ტომას ვერმელენსა და უილიამ გალასს კონკურენციით შეახურებს. თანაც, მწვრთნელს შეუძლია მას სრულიად ენდოს - კემპბელი თამაშისას ბოლომდე დაიხარჯება. მერწმუნეთ, სოლს პრემიერლიგაში ასპარეზობის შნო ჯერ კიდევ აქვს. ვფიქრობ, ზაფხულზე „ნოთს ქაუნთიში" რომ წავიდა, შეცდა. ჯერ კიდევ გაცილებით დიდი ტვირთის ზიდვა შეუძლია. ახლა კი „არსენალს" ყოველმხრივ გამოადგება - მოედანზე ხომ სასარგებლოა და მოედნის მიღმა ახალგაზრდებს ჩინებულ მაგალითსაც მისცემს. ის, რასაკვირველია, ინგლისის ნაკრებს არაფერში სჭირდება, მაგრამ „არსენალის" ბრძოლა პრემიერლიგის ტიტულისთვის აშკარად ახალ საფეხურზე გადავიდა".

გვერდი მოამზადა
**ლია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბაიერნი: ჰანდანოვიჩი ზაფხულში?

## სლოვენიელი მეკარე 15 მილიონი ღირს

გახდება სამირ ჰანდანოვიჩი მიუნხენის „ბაიერნის" ახალი მეკარე? სლოვენიური პრესა იტყობინება, რომ „რეკორდმაისტერი" ზაფხულში აუცილებლად იყიდის „უდინეზეს" მეკარეს, რომელსაც უდინურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული.

„ბაიერნის" შეფსკაუტი პაულ ბრაიტნერი ჰანდანოვიჩს დიდი ხანია აკვირდება და უკვე სლოვენიის ნაკრების სამ მატჩს დაესწრო. შემიძლია დავადასტურო, რომ „ბაიერნი" სამირის გადაბირებით დაინტერესებულია. ეს არის გუნდი, რომელიც დროს არ კარგავს და სასურველ ფეხბურთელებს გულმოდგინედ აკვირდება. ის ფაქტი, რომ ბრაიტნერი სამჯერ ჩამოვიდა სლოვენიაში, რათა ჰანდანოვიჩის თამაში ენახა, თავის თავად ხაზს უსვამს იმას, რომ მიუნხენელები სამირით სერიოზულად არიან დაინტერესებულები," - აცხადებს სლოვენიური ფეხბურთის ლეგენდა და ყოფილი ბაიერნელი ბრანკო ობლაკი.


სამირ ჰანდანოვიჩი

„ბაიერნის" ჰანდანოვიჩით დაინტერესების ფაქტი ფეხბურთელის აგენტმა **ფედერიკო პასტორელომაც** დაადასტურა: „მიმაჩნია, რომ სამირისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ზაფხულში „უდინეზეს" დატოვებს. ის იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და დროა, გაცილებით მაღალი დონის კლუბში გადავიდეს. ვიცი, რომ „ბაიერნი" დაინტერესებულია. ვფიქრობ, მიუნხენელები „უდინეზეს" ამავე თვეში დაუკავშირდებიან. სამირის ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა და იტალიაში მისი გადაბირება მხოლოდ „იუვენტუსს", „მილანს" და „ინტერს" შეუძლიათ, ამ გუნდებს კი მეკარე არ სჭირდებათ."

„ვფიქრობ, რომ მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბარი ჯერ ადრეა. შესაძლო ტრანსფერებზე ხმამაღლა არასდროს ვსაუბრობ, მით უმეტეს მაშინ, როცა „უდინეზეს" საკმაოდ უჭირს," - ეს კი თვითონ 25 წლის ჰანდანოვიჩის სიტყვებია.

გოტფრიდ ლენცი

# გაბრიელ მილიტო ვოლფსბურგში?

## მგლები ბულგარელ ტოდოროვსაც უმიზნებენ

გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგს" დაცვაში რომ უჭირს, ამის შესახებ არაერთხელ დავწერეთ. იანვრიდან მოყოლებული, არაერთი ინფორმაცია გავრცელდა და ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ვოლფსბურგთან" მიმართებაში არაერთი მცველის გვარი ახსენეს. ფაქტია, რომ „მგლებს" ჯერ არავინ უყიდიათ და მაღალი დონის ცენტრალური მცველის ძებნას აგრძელებენ. „ვოლფსბურგში" გადასვლის ნომერ პირველ კანდიდატად ბერლინის „ჰერტას" კაპიტანი **არნე ფრიდრიხი** მოიხსენიებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ზამთარში „ჰერტას" დატოვება გამორიცხა და გადაჭრით თქვა, რომ ამ სეზონს აუცილებლად ბერლინში ჩაამთავრებს.

„ვოლფსბურგერ ალგემაინე" ესპანურ პრესაზე დაყრდნობით წერს, რომ დიდი შანსია, „მგლებმა" ზაფხულამდე „ბარსელონას" მცველი **გაბრიელ მილიტო** ინათხოვრონ. ეს უკანასკნელი ახლახან გამოჯანმრთელდა, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში კატალონიური


გაბრიელ მილიტოს ბარსაში სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრება, რის გამოც შეიძლება, ვოლფსბურგში წავიდეს

გრანდის სათადარიგოთა სკამის ხეხვის საფრთხე ემუქრება, რადგან რიგით მეხუთე (!) ცენტრალური მცველია **პიკეს, პუიოლის, ჩიგრინსკისა** და **მარკესის** შემდეგ. თუ „ვოლფსბურგი" გაბრიელ მილიტოს ინათხოვრებს, მაშინ უპრობლემოდ შეელევა **რიკარდო კოშტას**, რომელსაც მთხოვნელების რიგი უდგას. მაგრამ სანამ „ვოლფებს" ახალი მცველი არ უყიდიათ, მას ვერ უშვებენ.

ამასობაში, „ვოლფსბურგის" თავკაცი **არმინ ფეე** მარჯვენა ფლანგზე გადაადგილებას გეგმავს. მას ურჩევნია, რომ **საშა რიტერმა** მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშოს, რის გამოც დაცვის მარჯვენა ფლანგზე **პეკარიკი** უნდა ათამაშოს, რომელიც ძალიან ცუდად გამოიყურება და ფეეს არ აკმაყოფილებს. სწორედ ამიტომ, „ვოლფებმა" სოფიის ცსკა-ს მცველ **იორდან ტოდოროვს** დაუმიზნეს. 28 წლის მცველმა დაადასტურა, რომ „ვოლფსბურგთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს.

გოტფრიდ ლენცი

# თითქმის ჰამბურგელი...

## 3 მილიონი ოთხთვიან არენდაში


ვაგნერ ლავს ჰამბურგამდე ცოტა უკლია

გუშინ „ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭომ ბრაზილიელი **ვაგნერ ლავის** სეზონის ბოლომდე არენდას მწვანე შუქი აუნთო. იმისათვის, რომ მოსკოვიდან სამშობლოში განათხოვრებულმა ბრაზილიელმა სეზონის ბოლომდე დარჩენილი ოთხი თვე „ჰამბურგში" გაატაროს, ჩრდილოგერმანელები თანახმა არიან, 3 მილიონი ევრო გადაიხადონ! აქედან ერთი მილიონი არენდის საფასურია, 2 მილიონი კი ვაგნერ ლავის ხელფასი ოთხი თვისთვის.

2 მილიონი ოთხ თვეში? როგორც ჩანს, ჰამბურგელებს ფინანსურად არ უჭირთ და თუ ეს ასეა, მაშინ გასაკვირია, რატომ გადაიჯეს გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** - იყო პერიოდი, როცა „ჰამბურგის" დამრიგებელი მატჩისთვის 14 ფეხბურთელსაც კი ვერ აგროვებდა...

ვაგნერ ლავმა კი ბრაზილიელ ჟურნალისტებს განუცხადა, „ჰამბურგისგან" ბრწყინვალე წინადადება მივიღეო. ტრანსფერის საბოლოო დადასტურებამდე მხოლოდ დეტალებილაა შესათანხმებელი - ამის შესახებ გერმანული „ბილდი" წერს. ჩრდილოგერმანულ კლუბს ძალიან უნდა, ინათხოვროს სკანდალური ბრაზილიელი, რომელსაც ცსკა-სთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. ვაგნერი ცოტა ხნის წინ „პალმეირასის" გულშემატკივარს ეჩხუბა, რის გამოც ბრაზილიურ კლუბში თავს კარგად ველარ გრძნობს და გერმანიაში გადასვლა უნდა. პირველ რიგში იმის გამო, რომ მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უნდა. ზაფხულში ჰამბურგელებს ვაგნერის ყიდვა სურდათ და ცსკა 12 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ მერე ბრაზილიელს ჰოლანდიელი **ელერო ელია** არჩიეს (9 მილიონად).

გოტფრიდ ლენცი

ამბები

## გატუზო ხასიათზე მოვიდა

2010 წელი შესანიშნავად დაიწყო **ჯენარო გატუზოსთვის**. სერია A-ში, „მილანის" მიერ ჩატარებულ ორივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თანაც „როსონერიმ" ორივე მატჩი მოიგო, ექვსი ქულა აიღო და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიმყარა. არადა, სეზონის სტარტზე გატუზო სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რინომ კლუბის გამოცვლის გადაწყვეტილება მიიღო. რომ არა **სილვიო ბერლუსკონის** და **ადრიანო გალიანის** ძალისხმევა, ჯენარო დღეს ალბათ ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელი იქნებოდა. ძნელბედობის ჟამს, მებრძოლ შუახაზელს მთავარ მწვრთნელთან კონფლიქტიც კი მოუვიდა, თუმცა დღეს ყველანაირი გაუგებრობა ამოწურულია. მოვუსმინოთ რინოს, რომელმაც, როგორც იქნა, გაიღიმა, ხასიათზე მოვიდა და ჟურნალისტებსაც გაესაუბრა:

*„ტურინში „იუვენტუსთან" გამართული მატჩის ვიდეოჩანაწერს სრულად ვუყურე და ძალიან ვისიამოვნე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო შეხვედრა, ნათლად დავინახე, რომ პროგრესის გზას ვადგავართ. პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში აშკარად გაგვიჭირდა, თუმცა შემდეგ დავალაგეთ თამაში და დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ტურინელები სულ რამდენჯერმე დაემუქრნენ დიდას კარს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ დაცვით ფაზაში მაღალ დონეზე ვიასპარეზეთ. კმაყოფილი ვარ, რომ ლეონარდომ ნდობა გამომიცხადა. ვგრძნობ, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ, რაც ძალებს მმატებს. რაც მთავარია, მთლიანად გუნდი თამაშობს ალმაფრენით. დღეს ისე ვართ საკუთარ თავში დარწმუნებულნი, როგორც არასდროს".*

ლაშა ნიკლაური

## სნეიდერს მადა გაეხსნა



**უესლი სნეიდერი** შესანიშნავ ფორმაშია და „ნერაძურის" წარმატებებში თავისი, არცთუ მოკრძალებული წვლილი შეაქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სერია A-ს უკანასკნელ ტურში, „სიენასთან" პაექრობაში სწორედ ჰოლანდიელის პროდუქტიულმა გარჯამ მოუტანა „ინტერს" სამი ქულა. თავად ფეხბურთელი მილანური ყოფით ბედნიერია, მადა გაეხსნა და სკუდეტოსთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის მოგებაც მოუნდა:

*„თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ეს ჩემს თამაშზეც აისახება. ყოველთვის თვითკრიტიკული ვიყავი, მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ბოლო შეხვედრებში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, ყველა იმ ტურნირის მოგება შეგვიძლია, რომელშიც ვმონაწილეობთ. სერია A-ში ჩვენი მთავარი კონკურენტი „მილანია", - გუნდი, რომელიც ბრწყინვალე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. მიუხედავად ამისა, ფავორიტად მაინც ჩვენი გუნდი მიმაჩნია. ჩემპიონთა ლიგაშიც მსურს გამარჯვება, თანაც რაც შეიძლება მალე, თუნდაც ამ სეზონში".*

ლაშა ნიკლაური

## ნედვედი ბრუნდება?

ფრანგული „ეკიპის" ცნობით, დიდ ფეხბურთს შესაძლოა, **პაველ ნედვედი** დაუბრუნდეს. 37 წლის ჩეხი ნახევარმცველით საფრანგეთის მესამე დივიზიონის ბინადარი „კანი" ყოფილა დაინტერესებული.

შეგახსენებთ, ნედვედმა საფეხბურთო კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა. „კანს" რაც შეეხება, ამ კლუბმა უკვე გადაიბირა ორი ცნობილი ვეტერანი – **იან კოლერი** და **სილვენ ვილტორი**. ჯერჯერობით, ამას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია. თავის ლიგაში „კანი" მე-13 ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

## მარსელმა მანსინი შეათანხმა

„მარსელმა" დაადასტურა, რომ „ინტერისგან" ბრაზილიელი მარჯვენაფლანგელი **ამანტინო მანსინი** ინათხოვრა. ამ უკანასკნელს მილანურ კლუბში არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა აქვს და კლუბის შეცვლა თავადაც აძლევს ხელს. „მარსელის" თავკაცი **დიდიე დეშამს** ის „ველოდრომიდან" ასაზარგებლად გამზადებული **მატიო ვალბუენას** შემცვლელად ჰყავს შეგულებული.

ამ გარიგების ჩაშლის შემთხვევაში, „მარსელს" სათადარიგო ვარიანტად „რომას" შემტევი **ჟერემი მენეზი** ჰყავდა შეგულებული.

ლევან ჯანეზაშვილი

## ჩელსი სტარიჯისთვის გადაიხდის

„ჩელსის" **დენიელ სტარიჯის** ტრანსფერში „მანჩესტერ სიტისთვის" 3.5 მილიონი გირვანქის გადახდა დაეკისრა. შეგახსენებთ, რომ გარიგება გასულ ზაფხულს განხორციელდა. „სიტი" იმედოვნებდა, რომ 10 მილიონს მიიღებდა, თუმცა... ისე კი, არის შანსი, 6.5-ს მაინც გამოჰკრას ხელი. როგორ? აი, ასე - ლონდონელებს სტარიჯის მიერ ჩატარებულ ყოველ 10, 20, 30 და 40 მატჩში (ლაპარაკია ოფიციალურ შეჯიბრებებზე) დამატებით 500 ათასი გირვანქის გადახდა მოუწევთ.

ლევან ჯანეზაშვილი

## ბაპტიშტა ინტერშიო...

**ჟულიო ბაპტიშტამ**, რომელიც **კლაუდიო რანიერის** არ სჭირდება, შესაძლოა, „რომადან" „ინტერში" ამოჰყოს თავი. სანაცვლოდ, „ჯალოროსი" **ნიკოლას ბურდისოს** (რომელიც ამ სეზონიდანაა „რომაში") საიჯარო ხელშეკრულების გადახედვასა და მისი სრულყოფილი კონტრაქტით შეცვლას მოითხოვს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



# მსხვილიძე ვერ გააჩერეს

**საქართველო-ირანი 25:23 (11:10)**

საქართველო: თევზაძე, ტორონჯაძე, სამყურაშვილი; მსხვილიძე (8 გოლი), ჭანტურია (5), რუსია (3), ჩიქოვანი (3), კალანდაძე (3), კირილოვი (2), ტალახაძე (1), გრიშიკაშვილი, ყაველაშვილი, ამირანაშვილი, ყიფიანი, გოგოლაძე, კობახიძე, მაისურაძე, ქარდავა.

მსაჯები: არაბული, ჭკუასელი

"ჩელენჯ ტროფის" ფინალური მატჩისთვის მზადება დასასრულს უახლოვდება. თბილისს ირანის ეროვნული ნაკრები ეწვია და გუშინ "დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე ჩვენს გუნდთან პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

საქართველოს ნაკრების უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და მთელი შეხვედრა **მერაბ მეტრეველის** ხელბურთელთა უპირატესობით წარიმართა. ირანი სულაც არ არის ურიგო გუნდი, მაგრამ ქართველთა უფრო მაღალი კლასი საგრძნობი იყო. ანგარიშში მცირე სხვაობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. იყო ეპიზოდები, როცა საქართველოს ნაკრები შვიდი ბურთითაც კი იგებდა, მაგრამ ბოლოსკენ მწვრთნელებმა რამდენიმე სათადარიგოს მისცეს თავის გამოჩენის შანსი და ირანელებმაც ჩამორჩენა ორ ბურთამდე შეამცირეს.

საქართველოს ნაკრებს მხოლოდ **სერგო დათუკიშვილი** აკლდა, რომელიც გუნდს 18 იანვარს შეუერთდება. ჩვენმა ლიდერებმა ჩვეულ დონეზე ითამაშეს. განსაკუთრებით **რატი მსხვილიძე** უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც სტუმრებს 8 გოლი გაუტანა, მისი შეჩერება ირანელებს ყველაზე მეტად უჭირდათ.

მცირე შეხლა-შემოხლის მიუხედავად, მატჩმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. თამაშს ელფერი შემატა რამდენიმე ირანელმა გულშემატკივარმა, რომლებმაც უმრავლესობაში მყოფი ქართველი ქომაგები დაჩრდილეს.

საქართველოს ნაკრებში ითამაშა ბელარუსმა **სერგეი კირილოვმა**, რომელმაც დაკისრებულ ამოცანას თავი რიგიანად გაართვა. საქართველოს ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ გარკვეულა. მერაბ მეტრეველი ფინეთთან დასაპირისპირებელ 16-კაციან განაცხადს ირანთან მეორე მატჩის შემდეგ შეადგენს. საქართველო-ირანი დღესაც "დინამოს" ბაზაზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება.

მერაბ მეტრეველი: *"ძალიან საინტერესო თამაში იყო. საქართველოს ნაკრებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ გარკვეული ხარვეზებიც გამოჩნდა. პირველ რიგში, თავდასხმაში გვაქვს პრობლემები, რაც, სავარაუდოდ, დათუკიშვილის ჩამოსვლით გამოსწორდება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ავტორის ფოტო

მშვილდოსნობა

# ნასარიძე ბრუნდება, მაგრამ ვისთვის?

ორწლიანი პაუზის შემდეგ მშვილდოსანი **ნატო ნასარიძე** სპორტს უბრუნდება. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა აქ პოლიტიკური ვითარება აირია და სპორტისთვის არავის ეცალა, ის, პირდაპირ შეიძლება ითქვას, კარიერის გადასარჩენად გაიქცა საქართველოდან და მწვრთნელ **ვლადიმერ ლეკვეიშვილთან** ერთად თავი თურქეთს შეაფარა. რომ არა ჩვენი ქვეყნისთვის ის ბედუკუღმართი დრო, ვინ იცის, რა წარმატებებს მოიპოვებდა ის თაობა. მაშინ ხომ **ქეთევან ლოსაბერიძის** ნაკვალევზე უნიჭიერესი თაობა მოვიდა, რომელიც თანდათან იკავებდა ნამყვან ადგილს ყოფილ საკავშირო ნაკრებში, ხოლო ახალგაზრდულის ძირითად ბირთვს სულაც ისინი წარმოადგენდნენ. არადა, იმ დროს საკავშირო ნაკრებში მოხვედრა რას ნიშნავდა, ყველამ კარგად იცის.

სამწუხაროდ, მერე ჩვენთან დრო აირია და ნიჭის ბოლომდე გაბრწყინების საშუალება არც ამათ მიეცათ. ერთი ეგ იყო, **ხათუნა ქვრივიშვილმა** ბარსელონის ოლიმპიადაზე გაერთიანებული გუნდის შემადგენლობაში ბრინჯაო მოიპოვა და ქართული მშვილდოსნობის დალმასვლაც დაიწყო – ვინ უცხოეთში გაიქცა, ვინ მშვილდი გვერდზე გადადო და თავის გადასარჩენად სულ სხვა საქმეს წაეპოტინა, სპორტში კი ერთეულები დარჩნენ და რის ვაი-ვაგლახით მშვილდოსნობა დღემდე მოიტანეს.

როგორც გითხარით, ნატო ნასარიძეც გაქცეულთა შორის აღმოჩნდა. უფრო სწორად, ის ერთ-ერთი პირველი წავიდა საქართველოდან და დიდი აურზაურითაც – აქაური სპორტის მაშინდელი მმართველები მიგრაციის დამანგრეველი პროცესის შეჩერებას კი შეეცადნენ, მაგრამ აგორებულ ქვას ვინ შეაჩერებს და მოღალატის იარლიყის მიუხედავად, ნასარიძე მაინც წავიდა. სხვა გზა არ ჰქონდა - მას რომ დიდი წარმატებების მოპოვება შეეძლო, კარგად ხედავდნენ და ამიტომაც არ უშვებდნენ, ხოლო აქ პერსპექტივა რომ არ იყო, ესეც თვალნათლივ ჩანდა. თუ გავიხსენებთ, მისი წასვლის შემდეგ რა მდგომარეობაში ჩავარდა აქაური მშვილდოსნობა, არც გაემტყუნება.

ერთი სიტყვით, წავიდა და მას შემდეგ მეზობელ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც მისმა ჩასვლამ მშვილდოსნობის არნახული ბუმი გამოიწვია. პირადად მანაც ძალიან დიდ წარმატებებსაც მიაღწია – ოთხჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი პირადში და სამჯერ გუნდურში, პირადში ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა მედალი, სამჯერ – გუნდურში. ერთი ეგაა, ვერც მან და ვერც ლეკვეიშვილმა უმთავრესი სურვილი ვერაფრით აისრულეს – ოლიმპიადაზე მედალი ვერ მოიპოვეს. არადა, გუნდურში ძირითადად ლეკვეიშვილის გაწვრთნილი თურქეთის ნაკრები სამჯერ გავიდა მეოთხეზე.

ამის შემდეგ ნასარიძის კარიერაში ორწლიანი პაუზა გაჩნდა, დღეს კი ისევ დადგა სასროლეთზე – ორი თვეა, ვარჯიში განაახლა. ის ანკარაში ცხოვრობს და ახლაც იქ ვარჯიშობს. როცა ეს ამბავი გავიგეთ, ბუნებრივია, დაგვაინტერესა, საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებდა. როგორც გვითხრეს, არც სპორტსმენი და არც მწვრთნელი წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ საქმე ისაა, აქ პირობებს თუ შეუქმნიან, ჩვენთან ხომ ერთი ხეირიანი ბაზა დღემდე ვერ გააკეთეს, სავარჯიშო პირობებს კი ეკონომიკური საკითხებიც ემატება. ცხადია, ეს ყველაფერი ჯერჯერობით პრობლემაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ნაკრებს ნამდვილად სჭირდება ასეთი მაღალი დონის სპორტსმენი. უცხოური ტურნირების მიმოხილვისას ხშირად დამითვლია შედეგები, ჩვენი ლიდერების მაჩვენებლებს ნასარიძის ან ქვრივიშვილის შედეგებიც რომ დამატებოდა, გუნდურში რომელზე გავიდოდით-მეთქი და მუდამ მოწინავეთა შორის ვიქნებოდით. ჩვენები გუნდურში ახლაც კი საკმაო წარმატებით გამოდიან, მაგრამ სამივე ძლიერი მსროლელი თუ გვეყოლება, ბევრად ძლიერები ვიქნებით. თან პლეი ოფში ყველაფერს ნერვები წყვეტს, ნასარიძე კი ზუსტად ძლიერი ხასიათით გამოირჩევა.

ერთი სიტყვით, ამ დონის მესამე სპორტსმენი გუნდს ნამდვილად სჭირდება და მის გადმოყვანაზე თუ ვიზრუნებთ, არ იქნება ურიგო. შეგახსენებთ, რომ მშვილდოსანთა ნაკრები იყო ოლიმპიადაზე მოხვედრილი პირველი ქართული გუნდი, ხოლო შარშან მსოფლიოს პირველობაზე მეხუთეზე გავიდნენ, რაც ნამდვილად აღსანიშნავი შედეგია. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩვენს ქალთა ნაკრებს მედლები ევროპის ზამთრის პირველობებზეც მოუპოვებია.

ნასარიძის გადმოყვანას ისიც გააიოლებს, რომ თურქეთის სახელით ორი წელიწადი არ უასპარეზია, ეს კი ჩვენთვის სერიოზული კოზირია. იმედია, ამ საკითხზე თბილისში იმსჯელებენ, ამ საქმეში უმთავრესად ოლიმპიური კომიტეტისა გვეიმედება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ხურციძეს მელია გაუთანაბრდა

მოჭადრაკეების დასვენება ძველით ახალ წელს იგეგმებოდა, თუმცა საბოლოოდ, საერთო შეთანხმების საფუძველზე, 14 იანვარს მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა, სანაცვლოდ მოჭადრაკეები დღეს, 15 იანვარს დაისვენებენ. გუშინდელი პარტიებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ლიდერ **ნინო ხურციძისა** და მეხუთე ადგილზე მყოფ 20-წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონის **მირანდა მიქაძის** შეხვედრა იწვევდა. გათამაშების ლიდერი ამჯერად ყაიმს დასჯერდა და კონკურენტები მიიახლოვა. ხურციძის ვერმოგებით ისარგებლა **სალომე მელიამ,** რომელმაც ერთ-ერთი აუტსაიდერი, **ინგა ხურცილავა** დაამარცხა და ახლა ხურციძესთან ერთად ჩემპიონატს 5 ქულით ლიდერობს. საინტერესო იყო ტურნირის ყველაზე რეიტინგული მოჭადრაკის, დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებული **ნანა ძაგნიძისა** და **ნინო ბაციაშვილის** დაპირისპირება. ძაგნიძემ ჩემპიონატი არცთუ სახარბიელოდ დაიწყო, ბაციაშვილმა კი პირიქით — საწყის სამ ტურში გაიმარჯვა, თუმცა შემდეგ უკლდა და ჩამოქვეითდა. მათ მიერ შემოთავაზებული საინტერესო პარტია საბოლოოდ ყაიმით დასრულდა, რამაც სატურნირო მდგომარეობაზე დიდი გავლენა ვერ მოახდინა. მოიგო დრეზდენის ოლიმპიადის კიდევ ორმა გამარჯვებულმა, **მაია ლომინეიშვილმა** და **სოფიკო ხუხაშვილმა.** ლომინეიშვილმა თეთრი ფიგურებით ახალგაზრდა **ქეთი წაწალაშვილი** დაამარცხა, ხუხაშვილმა კი შავი ფიგურებით **ანა გავაშელს** სძლია. ძალიან დაეჩვია ყაიმებს **თამარ წერეთელი.** პირველ ორ ტურში გამარჯვების შემდეგ წერეთელმა ზედიზედ მეოთხე ყაიმი ჩაიწერა. ამჯერად ის **მაკა ფურცელაძეს** დაუზავდა. ყველაზე გვიან კი **მერი არაბიძისა** და **ბელა ხოტენაშვილის** პარტია დასრულდა, ახალგაზრდა მოჭადრაკეები ხუთსაათნახევრიანი პაექრობის შემდეგ საბოლოდ ყაიმზე შეთანხმდნენ.

ლომინეიშვილი-წაწალაშვილი 1-0
არაბიძე-ხოტენაშვილი 0,5-0,5
ხურცილავა-მელია 0-1
გავაშელი -ხუხაშვილი 0-1
ძაგნიძე-ბაციაშვილი 0,5-0,5
წერეთელი-ფურცელაძე 0,5-0,5
ხურციძე-მიქაძე 0,5-0,5

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. ხურციძე (5) მელია-(5) 3-4. ბაციაშვილი(4) წერეთელ-(4) 5-6 მიქაძე(3,5), ლომინეიშვილი(3,5) 7. ხუხაშვილი(3), 8-10. არაბიძე(2,5), ფურცელაძე(2,5), ძაგნიძე(2,5) 11-12. წაწალაშვილი(2), ხოტენაშვილი(2) 13. გავაშელი (1,5) 14. ხურცილავა(1)

VII ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: მიქაძე – ლომინეიშვილი, ფურცელაძე – ხურციძე, ბაციაშვილი – წერეთელი, ხუხაშვილი – ძაგნიძე, მელია, - გავაშელი, ხოტენაშვილი, - ხურცილავა, წაწალაშვილი – არაბიძე.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურში შვიდი პარტიიდან ხუთი ყაიმით დასრულდა, თუმცა, არც ერთი მათგანი მშვიდად არ წარმართულა. ერთპიროვნული ლიდერი **მერაბ გაგუნაშვილი** თეთრებით 32-ე სვლაზე დაუზავდა **ლევან ფანცულაიას.** ერთი სვლით ნაკლები მოანდომეს ყაიმზე შეთანხმებას **ლუკა პაიჭაძემ** და **გიორგი მარგველაშვილმა. დავით არუთინიანმა** და **დავით ჯოჯუამ** ზავს 30-ე სვლაზე მოაწერეს ხელი. **თორნიკე სანიკიძისა** და **მალხაზ სულაშვილის** ორთაბრძოლა 48-ე სვლამდე გაგრძელდა. საქართველოს ჩემპიონს ეტლი ჰყავდა შავების სამი გადაბმული პაიკის წინააღმდეგ. გამარჯვების გზას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაგნო და იძულებული გახდნენ, ქულა გაეყოთ.

**ბეგლარ ჯობავამ დავით ბენიძესთან** პაექრობისას მიტელშპილში მხედარი მოიგო, მაგრამ შავებმა თეთრების ზედმეტი მერანი მალევე გამოიჭირეს. სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში გამარჯვების გზა რომ არ ჩანდა, მეტოქეები 50-ე სვლაზე დაზავდნენ.

**გაიოზ ნიგალიძისა** და **ზურაბ ჯავახაძის** პარტიაში ნიგალიძემ დებიუტშივე მოიპოვა უპირატესობა, რომელიც, ალბათ წარმატებისთვის საკმარისი იქნებოდა, მაგრამ შავების მარცხისკენ მიმავალი გზა ცაიტნოტმა დააჩქარა: სიჩქარეში ზურაბმა შეცდომა დაუშვა და მეტოქეს 39-ე სვლაზე დანებდა.

გუშინ ყველაზე დიდხანს **კონსტანტინე შანავას** და **თამაზ გელაშვილის** პაექრობა გაგრძელდა — მეტოქეებმა ფიგურები 85-ჯერ გადააადგილეს. ორივე მხარე ბოლომდე იბრძოდა გამარჯვებისთვის. შუა თამაშისთვის შანავას მეტოქის ოთხ პაიკში კუ შერჩა მხოლოდ. ამგვარ სიტუაციაში გელაშვილს იოლად შეეძლო ყაიმისთვის მიეღწია, მაგრამ მან მეტი მოინდომა. ენდშპილში ეს, ალბათ, გამართლებულიც იქნებოდა, მაგრამ შავებმა არ გაითვალისწინეს, რომ დაფაზე ლაზიერებიც იყო დარჩენილი და მეფეებსაც საიმედო საფარი არ ჰქონდათ. მე-80 სვლისთვის ისე შეიცვალა პოზიცია, რომ გელაშვილის პარტიის გადარჩენის შანსი აღარ დარჩა და მალევე დანებდა.

# ლიდერმა პოზიცია განიმტკიცა

ამრიგად, ოთხი შესაძლებლიდან 3 ქულით ერთპიროვნულად კვლავ გაგუნაშვილი ლიდერობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით პაიჭაძე, არუთინიანი და ჯობავა ჩამორჩებიან. 2-2 ქულა მოაგროვეს ბენიძემ, ჯოჯუამ, გელაშვილმა, მარგველაშვილმა, ნიგალიძემ და შანავამ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ფანცულაია, სანიკიძე — 1,5-1,5, სულაშვილი და ჯავახაძე — 1-1 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჯობავა-პაიჭაძე, სულაშვილი-ბენიძე, ჯოჯუა-სანიკიძე, გელაშვილი-არუთინიანი, ჯავახაძე-შანავა, ფანცულაია-ნიგალიძე, მარგველაშვილი-გაგუნაშვილი.

— მიხარია, რომ თბილისსა და ქუთაისში ეროვნულ ჩემპიონატებზე უშელავათო ორთაბრძოლებია, — გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ.** — ამას გარკვეულწილად ხელი 30 სვლამდე ყაიმებზე შეთანხმების აკრძალვის საერთაშორისო წესმაც შეუწყო. პარტიები დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. ვაჟთა ტურნირში ჯერჯერობით დამაჯერებლად თამაშობს მერაბ გაგუნაშვილი, სასიამოვნოდ გვაოცებს ახალგაზრდა ლუკა პაიჭაძე. მეტს მოველით თორნიკე სანიკიძის, დავით ბენიძისა და გაიოზ ნიგალიძისაგან. ლევან ფანცულაია და თამაზ გელაშვილი გამოცდილი დიდოსტატები არიან და, იმედია, ტურნირის ბოლომდე თავიანთ სათქმელს იტყვიან.

ქალთა ტურნირში სენსაცია იყო ნანა ძაგნიძის ზედიზედ სამი მარცხი, თუმცა მან შეძლო დეპრესიული მდგომარეობიდან თავის დაღწევა და, იმედია, მედლებისთვისაც იბრძოლებს. სტაბილურად თამაშობს ნინო ხურციძე, რაც მოსალოდნელიც იყო. სამაგიეროდ, გაგვაოცა ბელა ხოტენაშვილის სუსტმა სტარტმა. თუმცა, წინ ჯერ კიდევ საინტერესო შეხვედრებია და მდგომარეობის გამოსწორებაც შეიძლება.

**— ბატონო გიორგი, საქართველოს ჩემპიონატების დებულებებში წერია, რომ ქალთა პირველობის გამარჯვებული ეროვნული ნაკრების კანდიდატი ხდება, ვაჟთა ჩემპიონი და მეორეადგილოსანი კი პირდაპირ იმკვიდრებენ ნაკრებში ადგილს. რატომ არის ასეთი განსხვავება?**

— ქალთა გუნდში მოსახვედრად უფრო დიდი კონკურენციაა. მით უმეტს, რომ იქ სამი ადგილი დაჯავშნულია და მხოლოდ ორი ადგილია ვაკანტური. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა კი 2010 წლის ბოლომდე არ გაიმართება, ამიტომ ნაკრების კანდიდატებიდან იმ დროისთვის ვინ იქნება ოპტიმალურ ფორმაში, ძნელი სათქმელია, ამიტომ წლის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებს გადავხედავთ. ცხადია, უპირატესობა ეროვნული ჩემპიონატის მაჩვენებლებს მიენიჭება.

ვაჟები ნაკრებში მხოლოდ ბაადურ ჯობავას ვერავინ შეეცილება. დანარჩენი ოთხი ადგილიდან ორს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი დაიკავებენ, ორ ადგილზე კი სხვა კანდიდატები გამოიცდებიან. ასე რომ, დაჩაგრულად ვერავინ იგრძნობს თავს. ნაკრებში მხოლოდ უძლიერესებს მოვიწვევთ.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ქუთაისის №19 მძლეოსნობის სპორტული სკოლის დირექტორს ლომერ ახვლედიანს **დედის** გარდაცვალების გამო.

*დაკრძალვა 16 იანვარს ქუთაისში. მის: ვერულაშვილის, 30.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მელბურნში მხოლოდ კალაშნიკოვა დარჩა



გუშინ, მელბურნში ვაჟთა პირველობის კვალდაკვალ ავსტრალიის ღია პირველობის (24,1 მლნ. $) ქალთა საკვალიფიკაციო ბადის თამაშებიც დაიწყო. „მელბურნ პარკის“ ნომერ მე-12 კორტზე პირველი მატჩი ჩვენთვის ძალზე საინტერესო იყო - ერთმანეთს საქართველოს მეორე და მესამე ჩოგნები **ოქსანა კალაშნიკოვა** (179) და **მაკა ჩახნაშვილი** (207) ხვდებოდნენ. გარდა იმისა, რომ „დიდი სლემის“ ტურნირზე საქართველოს წარმომადგენლებს აქამდე არასოდეს უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ, ბრძოლას ისიც სძენდა ინტრიგას, რომ ახალი თაობის წარმომადგენელი კალაშნიკოვა (19 წლისაა) გამოცდილ ჩახნაშვილს (27 წლის) კარიერაში პირველად ეთამაშებოდა.

თავად ბრძოლა კი ვერ აღმოჩნდა თანაბარი, მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთელებს რეიტინგში ბევრი არ აშორებთ (სულ რაღაც 28 საფეხური) ოქსანა კალაშნიკოვას უპირატესობა აშკარა იყო, რასაც მაკა ჩახნაშვილის შეცდომები ემატებოდა. პირველი სეტი კალაშნიკოვამ იოლად, ზუსტად 30 წუთში მოიგო. მეორის მოსაგებად კი მას ოდნავ მეტი, 34 წუთი დასჭირდა. საბოლოოდ 6:3, 6:2 და ოქსანა კალაშნიკოვა კარიერაში პირველად გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში, რისთვისაც მან უკვე დაიბევა 40 სარეიტინგო ქულა. კალაშნიკოვამ 2 ეისი ჩაუგდო თანამემამულეს, მაკას კი ერთი ეისიც არ ჰქონია, ჩახნაშვილმა 8 უნებლიე შეცდომა დაუშვა, კალაშნიკოვამ - ამის ნახევარი. მაკას 6-ჯერ ჰქონდა ბრეიკ-პოინტი, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი (მეორე სეტში) გამოიყენა, მაშინ როცა ოქსანამ ხუთი შესაძლებელიდან 4 ბრეიქ-პოინტი გაახერხა.

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** სეზონი წარუმატებლად დაიწყო - ავსტრალიის ღია პირველობის პირველ საკვალიფიკაციო წრეში მან უშანსოდ წააგო მე-12 ნომრად განთესილ გერმანელ **კატრინ ფოირლესთან** (123). პირველ სეტში ანამ 24 წუთში ყველაფერი წააგო ერთი გეიმის გარდა, მეორეში კი ქართველმა ბრძოლა შესთავაზა მეტოქეს, თუმცა 45 წუთში აქაც ფარ-ხმალი დაყარა - 1:6, 3:6. გერმანელმა 8-დან 6 ბრეიქ-პოინტი მოიგო, ქართველმა - 6-დან 2. ორი კვირის შემდეგ ოქსანა საქართველოს პირველი ჩოგანი გახდება, რადგან ანამ მხოლოდ 2 სარეიტინგო ქულა მიიღო, ოქსანამ კი მხოლოდ ერთი მოგებით უკვე დაიბევა - 40.

მეორე რაუნდში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე თანატოლი რუსი **ანასტასია პივოვაროვაა** (205). პირველ წრეში პივოვაროვამ მე-16 ნომრით განთესილი სამხრეთაფრიკელი **ჩენელ სხეფერსი** (127) გამოთიშა - 6:4, 6:2. ოქსანა დღეს შეხვდება პივოვაროვას, მატჩი „მელბურნ პარკის“ მე-4 კორტზე გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

მასტერსის ტურნირი

# მეტოქეების ცნობილია

ხვალ კორეულ სუვონში სეზონის პირველი დიდი ტურნირი – მასტერსი იწყება. შეგახსენებთ, რომ მასში მონაწილეობა მკაცრადაა ლიმიტირებული - ინვევენ მხოლოდ მსოფლიო რეიტინგის თექვსმეტ მონინავეს ყოველ წონაში. ამათ გარდა, შანსი მსოფლიოს რეიტინგის მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე ადგილებზე მყოფებსაც ეძლევათ, თუ თექვსმეტეულიდან ვინმე მონაწილეობას იუარებს. რაც შეეხება მომდევნო ადგილებზე მყოფებს, ისინი იმ შემთხვევაშიც კი არ დაიშვებიან, თუ ტურნირში ასპარეზობას ორზე მეტი იუარებს - მასპინძლებს ურჩევნიათ, ნაკლებმა იჭიდაოს, ვიდრე შედარებით დაბალი რეიტინგის მქონენი მიიწვიონ. მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, მიწვეულთა შორის სამი ქართველია - **ამირან პაპინაშვილი** (60), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100).

მონაწილეთა სიძლიერის გარდა, ტურნირის ავტორიტეტს მაღალი საპრიზო ფონდიც განაპირობებს - იგი 200 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. აქედან საჩემპიონო ჯილდო ექვსი ათასი დოლარია, ვერცხლის პრიზიორი ოთხი ათასს მიიღებს, ბრინჯაოსი – ორი ათასს. ფულის გარდა, მასტერსი სარეიტინგო ჩათვლაში ქულებსაც გვარიანად არიგებს და ამ მხრივ მხოლოდ ოლიმპიადა-მსოფლიოს პირველობას ჩამორჩება – ჩემპიონი 400 ქულას ილებს, მეორე ადგილი 240 ქულად ფასდება, მესამე – 160-ად, მეხუთე ადგილი კი 80 ქულადაა შეფასებული.

ტურნირში 42 ქვეყნის ნაკრები გამოვა, თუმცა რამდენიმემ მონაწილეობა იუარა. მაგალითად, სომხეთმა... ალბათ, გასაკვირი არაა, რომ ყველაზე ხალხმრავალი დელეგაცია იაპონიას ეყოლება – 37 სპორტსმენი. ამ სიაში მეორე საფრანგეთია 19 მოჭიდავით და თავად ხედავთ, რამდენით ჩამორჩება ის აზიელებს. წონების მიხედვით მონაწილეთა რაოდენობა განსხვავებულია. ვაჟთა ტურნირში (მასტერსი ქალებშიც ტარდება, მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო მასზე ყურადღებას არ შევაჩერებ) მაქსიმალური შემადგენლობა - 16 კაცი მხოლოდ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაშია, ყველაზე ცოტა - 12-12 ფალავანი კი 90 და +100-ში იქნება. 100 კილოგრამში 14 სპორტსმენია, მაგრამ ესაა ერთადერთი წონითი კატეგორია, სადაც ყველა მონაწილე სხვადასხვა ქვეყნიდანაა.

გასაგებ მიზეზთა გამო, ამჯერად მხოლოდ იმ წონებს მიმოვიხილავთ, სადაც ჩვენი ფალავნები ჭიდაობენ. 60 კილოგრამში მონაწილეობა მხოლოდ სომეხმა მსოფლიოს შარშანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა **ჰოვანეს დავთიანმა** იუარა. ვფიქრობთ, აქ ფავორიტები მსოფლიოს პირველობის ფინალისტები, უკრაინელი გამარჯვებული **გიორგი ზანთარაია** და მასთან დამარცხებული იაპონელი **ჰიროაკი ჰიროაკა** იქნებიან. პაპინაშვილის სხვა მეტოქეებიდან ავსტრიელ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონ **ლუდვიგ პაიშერს**, უზბეკ ოლიმპიურ პრიზიორ **რიშოდ სობიროვს**, მსოფლიოს იტალიელ პრიზიორ **ელიო ვერდეს** და იაპონელ **მასააკი ფუკუოკას** გამოვარჩევთ. აქვე არიან რუსი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **არსენ გალსტიანი**, ჩეხი **პაველ პეტრიკოვი**, ფრანგი **დმიტრი დრაჟინი** და ჰოლანდიელი **ჯერომ მოორენი**, თუმცა ფავორიტებად წინა ჯგუფი მიგვაჩნია. უცნაურია, რომ არათუ ამ ტურნირზე, მსოფლიო რეიტინგშიც კი არ არიან სამხრეთკორეელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მინ-ჰო ჩოი** და ჰოლანდიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **რუბენ ჰოუკესი**. ოლიმპიადის შემდეგ მათ არსად უჭიდავიათ და ეს არცაა გასაკვირი.

ვალერი ლიპარტელიანს ბელარუს ევროპის ჩემპიონთან და მსოფლიოს პრიზიორ **ანდრეი კაზუსიონაკთან** შარშან თბილისში, კონტინენტის პირველობის ფინალში მარცხისთვის რევანში გადაედო – კაზუსიონაკი სუვონში არ ჭიდაობს, ისევე, როგორც ეგვიპტელი ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი **ჰეშამ მეშბაჰი**, ფრანგი **მეტიუ დეფრევილი**, ბრაზილიელი **უგო პესანა**, გერმანელი **მიხაელ პინსკე**, 81 კილოგრამიდან ამოსული ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ტიაგო კამილო**, იაპონელი **მასაში ნიშიამა** და უკრაინელი **ვადიმ სინიავსკი**. ცხადია, მათმა გამოკლებამ ლიპარტელიანის გამარჯვების შანსები გაზარდა. განსაკუთრებით – მეშბაჰის, კაზუსიონაკის, კამილოს და დეფრევილის არყოფნამ. თუმცა, გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამ ოთხეულიდან ყველაზე ძლიერი მაინც ეგვიპტელი გვგონია – ბოლო წლებში „ფარაონი“ მუდმივად მედლის სიახლოვეს ტრიალებდა და სიცოცხლეს უმწარებდა წონის ლიდერებს (2005-ის მსოფლიოზე იმხანად მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურსაც** მოუგო), პეკინის ოლიმპიადასა და როტერდამში შარშან გამართულ მსოფლიოს პირველობაზე კი კვარცხლბეკზეც შედგა. იგი ფიზიკური ძალითაც გამოირჩევა და სისხარტე-ტექნიკითაც. მეშბაჰი და დეფრევილი წონის ლიდერთაგან იმ გამონაკლისთა შორის არიან, რომლებსაც ლიპარტელიანი არ შეხვედრია, თუმცა ჩვენებურისთვის აფრიკელი ბევრად ძლიერი კონკურენტი გვგონია. ცხადია, ასეთი მეტოქის გამოკლება კარგია, მაგრამ ლიპარტელიანს ჩემპიონობა გარანტირებული მაინც ვერ ექნება. მის ძირითად კონკურენტთაგან ოთხს გამოვარჩევთ – იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ **ტაკაში ონოს** (ოღონდ ის მედალი 81-ში მოიპოვა), კორეელ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **კიუ-ვონ ლეეს**, უზბეკ მსოფლიოს პრიზიორ **დილშოდ ჩორიევს** და რუს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **კირილ დენისოვს**. ონოს გარდა, ამათგან ყველა მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მედალოსანია, თუმცა ლიპარტელიანს ყველას დამარცხება ხელეწიფება. აკი სამივესთან მოუგია კიდეც - ჩორიევი და დენისოვი შარშან თურქეთის ტურნირზე დაამარცხა, კორეელს კი ორი წლის წინ, ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე ჯერ იუკო აართვა, მერე კი იპონზეც დააგდო. გააჩნია, ამ ტურნირისთვის თვითონ რამდენად კარგად მოემზადა, როგორ ფორმაშია სადღეისოდ! მან გლანდების ოპერაცია გაიკეთა, რამაც გარკვეული პერიოდი გააცდენინა, მერე საქართველოს პირველობაზე თითიც იტკინა და... თუმცა ესეც მოირჩინა და მერე თურქეთშიც წარმატებით იჭიდავა საკლუბო ტურნირზე. რაც შეეხება ონოს, ლიპარტელიანმა მასთან შარშან პარიზის ტურნირზე წააგო, თუმცა ძირითადად ფიზიკური მოუმზადებლობის გამო. ყოველ შემთხვევაში, თუ ვერ აჯობა, არც არაფერი დაუთმია.

ჩამოთვლილი ოთხეულის გარდა, კიდევ ვინ შეიძლება ლიპარტელიანს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს? ამ ჯგუფში ორ მოჭიდავეს გავაერთიანებთ – ესპანელ ევროპის ჩემპიონ **დავიდ ალარსას** და აზერბაიჯანელ ევროპის პრიზიორ **ელხან მამადოვს**. ამათგან ალარსას შარშან თბილისში ევროპის პირველობის ნახევარფინალში რა დამაჯერებლად მოუგო, გემახსოვრებათ. მათ გარდა იჭიდავებენ იტალიელი **ლორენცო ბანგოლი**, უკრაინელი **ვადიმ სინიავსკი**, უნგრელი **ტომაშ მადარასცი**, იაპონელი **იუია იოშიდა** და ჰოლანდიელი **მარვინ დე ლა გროსი**, რომელსაც ლიპარტელიანმა ორი წლის წინ ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობის ფინალში წმინდად მოუგო. არა მგონია, ამ ჯგუფიდან ვინმე ჩვენებურის მომგები იყოს, მხოლოდ იოშიდაზე ვერ ვიტყვი ვერაფერს. ის ჯერ ახალიცაა და, რაც უნდა იყოს, იაპონელი მაინც ყოველთვის საშიშია.

ელიტა შეიკრიბა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც – მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, ყაზახი **მაქსიმ რაკოვი**, ასევე ბოლო მსოფლიოს პირველობის ორივე ბრინჯაოს მედალოსანი – ეგვიპტელი **რამადან დარვიში** და იაპონელი **ტაკამასა ანაი**, კორეელი მსოფლიოს ჩემპიონი და კანოს ბოლო ტურნირის გამარჯვებული **ჰე ტაე ჰვანგი**, რუსი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ტაგირ ხაიბულაევი**... წონის ლიდერთაგან არ იქნებიან ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი **ლუსიანო კორეა**, ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ჰენკ ხროლი**, ბელგიაში გადაბარგებული ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი **ელკო ფან დერ ხესტი** და ლატვიელი ევროპის პრიზიორი **ევგენიუს ბოროდავკო**. ჟორჟოლიანის სხვა მეტოქეები იქნებიან რუმინელი ევროპის ორგზის მესამე პრიზიორი **დანიელ ბრატა**, გერმანელი ევროპის პრიზიორი **დმიტრი პეტერსი**, მონგოლი **ტემუულენ ბატულგა**, ფრანგი **ტიერი ფაბრი**, ახალგაზრდებში ზედიზედ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ჩეხი **ლუკაშ კრპალეკი**, ბელარუსი **იაუჰენ ბიადულინი**, უკრაინელი **არტემ ბლოშენკო** და ბრაზილიელი **ლეონარდო ლეიტე**.

**ირაკლი თავაძე**

სუმოს სამყარო

ჰაცუ ბაშო. 10-24 იანვარი

# ყველაზე უიღბლო დღე

## გაგამარუს სერია მთაკაცმა შეწყვიტა

**V დღე**

**მაკუუჩი**

| | | |
|---|---|---|
| ჰაკუჰო (ი) | მიაბიამა (მ 2) | იორიკირი |
| გოეიდო (მ 2) | ასაშორიუ (ი) | ჰიკიოტოში |
| კოტოოშუ (ო) | **ტოჩინოშინი** (მ 1) | შიტატენაგე |
| ჰარუმაფუჯი (ო) | კაკურიუ (კ) | შიტატენაგე |
| კოტომიცუკი (ო) | ტოიონოშიმა (მ 1) | იორიკირი |
| ბარუტო (ს) | კაიო (ო) | იორიკირი |
| კოტოშოგიკუ (კ) | ჰოკუტორიკი (მ 3) | იორიკირი |
| კისენოსატო (მ 3) | იოშიკაძე (მ 5) | იორიკირი |
| ამინიშიკი (მ 6) | კაკიძოე (მ 4) | იორიკირი |
| ტამავაში (მ 7) | ტაკეკაძე (მ 4) | ოშიდაში |
| ტოკიტენკუ (მ 8) | კიოკუტენჰო (მ 5) | იორიკირი |
| ვაკანოსატო (მ 7) | ბუშუიამა (მ 6) | ოშიტაოში |
| ჰომაშო (მ 12) | ასასეკირიუ (მ 8) | ოშიდაში |
| ტოსაიუტაკა (მ 12) | **კოკაი** (მ 9) | იორიკირი |
| შოტენრო (მ 9) | შიმოტორი (მ 13) | უვატენაგე |
| ტოჩიოძანი (მ 10) | ივაკიამა (მ 14) | სუკუინაგე |
| არანი (მ 10) | ტოჩინონადა (მ 15) | ოშიტაოში |
| ტოიოჰიბიკი (მ 16) | ტაკამისაკარი (მ 11) | ოშიდაში |
| ჰაკუბა (მ 14) | მოკონამი (მ 11) | იორიკირი |
| კიტატაიკი (მ 15) | ტამანოშიმა (მ 13) | შიტატედაშინაგე |
| ტოკუსეგავა (ძ 1) | კორიუ (მ 16) | იორიტაოში |

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (მაეგაშირა 3); **4-1:** ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტოოშუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ბარუტო (სეკივაკე), კაკიძოე (მ 4), ამინიშიკი (მ 6), არანი (მ 10), ჰაკუბა (მ 14), კიტატაიკი (მ 15), ტოიოჰიბიკი (მ 16)... **1-4:** ტოჩინოშინი (მ 1), კოკაი (მ 9).

**VI დღე**

**მაკუუჩი**

ასაშორიუ-კაკურიუ, ჰაკუჰო-ჰოკუტორიკი, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კოტომიცუკი-მიაბიამა, კაიო-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-კისენოსატო, ბარუტო-კოტოშოგიკუ, ტოჩინოშინი-კაკიძოე, ტაკეკაძე-ვაკანოსატო, კიოკუტენჰო-ტამავაში, იოშიკაძე-ასასეკირიუ, ამინიშიკი-კოკაი, ბუშუიამა-ტოკიტენკუ, შოტენრო-ჰომაშო, ტაკამისაკარი-არანი, ჰაკუბა-ტოჩიოძანი, მოკონამი-კიტატაიკი, ტოსაიუტაკა-ტოჩინონადა, შიმოტორი-ივაკიამა, ტამანოშიმა-კორიუ, ტოიოჰიბიკი-საგაცუკასა.

**ძურიო**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები**

| | | |
|---|---|---|
| იამამოტოიამა (ძ 9) | გაგამარუ (ძ 13) | ცუკიოტოში |
| საგაცუკასა (ძ 1) | კასუგაო (ძ 4) | სუკუინაგე |
| კიმურაიამა (ძ 3) | ტოსანოუმი (ძ 5) | ოშიდაში |

*5-0: ოკინოუმი (ძურიო 2), მასაცუკასა (Mძ 6), საკაიზავა (ძ 12)... 4-1: გაგამარუ (ძ 13).*

**IV დღე**

**მნიშვნელოვანი წყვილები**

გაგამარუ-შირონონამი, ტოკუსეგავა-ფუტენო, ოკინოუმი-ვაკაკოიუ

გუშინ სუმოს მექა „რიოგოკუ კოკუგიკანში“ ელიტის სამივე ქართველმა წააგო, ასეთი რამ კი წლეულს პირველად მოხდა. ის კი არა, ელიტის მეორე დივიზიონ ძურიოში მოასპარეზე **თეიმურაზ ჯუღელს** (**გაგამარუ**) ნოემბრის მერე არ წაეგო, მას ზედიზედ რვა მოგება ჰქონდა. 22 წლის გაგამარუ სუმოს ელიტაში ერთ-ერთ მძიმეწონოსანად ითვლება (189 კგ), მაგრამ **იამამოტოიამასთან** შედარებით, რომელიც ზუსტად 264 კილოგრამს იწონის, ის მოკრძალებული აღნაგობის ადამიანია. ჩვენებურმა არად ჩააგდო მინუს 75 კილოგრამი და მთელი ძალით ეკვეთა მთაკაცს, ის დოჰიოს კიდემდეც მიიყვანა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და კონტრილეთი (ცუკიოტოში) გამოეპარა. ჩვენებურს 4-1 ბალანსი აქვს, თუმცა კვლავ ლიდერთა შორისაა და ძურიოს დივიზიონის მოგების შანსი ამ ერთი წაგებით არ დაუკარგავს. მისი დღევანდელი მეტოქე ძურიოს მე-9 ნომერი **შირონონამია**.

აი, უმაღლესი დივიზიონის ქართველებს, **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)** და **კოკაის (ლევან ცაგურია)** საქმე ცუდად აქვთ. ორივეს 1-4 ბალანსი აქვს, თან დღეს ჩვენებურები საკმაოდ ყოჩაღ რიკიშებს ხვდებიან და პროგნოზიც არცთუ ოპტიმისტური გვაქვს, დავუმატოთ ამას ტოჩინოშინის მხარის ტრავმა (რომელიც მან **ჰაკუჰოსთან** ბრძოლაში მიიღო) და კოკაის აშკარად ცუდი სპორტული ფორმა...

გუშინ ტოჩინოშინი ძალებს ბულგარელ ოძეკი **კოტოოშუსთან** ცდიდა, მაგრამ ზედიზედ ორი ჩემპიონის დამარცხება არ გამოვიდა - სლავმა გოლიათმა შიტატენაგეს ილეთით დოჰიოზე დააგდო ჩვენებური. ასე დასრულდა ევროპული დუელი ბულგარელის სასარგებლოდ. ლევანის დღევანდელი მეტოქე მე-4 მაეგაშირა **კაკიძოეა**, ყოფილი კომუსუბი, რომელიც ამ ბაშოზე 4-1 ბალანსით ლიდერთა შორისაა.

კოკაიმ დაჯახებისთანავე მეტოქისთვის ხელსაყრელ პოზიციაში იჭიდავა, ამიტომაც **ტოსაიუტაკამ** ადვილად გაიყვანა ჩვენებური დოჰიოდან. ლევანის დღევანდელი მეტოქე „მატადორად“ წოდებული **ამინიშიკია** (4-1).

როდესაც რიგითი მაეგაშირა იოკოძუნას ამარცხებს, კინბოშის ილებს, ეს პრიზია დიდი ჩემპიონის დამარცხებისთვის, რომელსაც კარიერის განმავლობაში ყოველთვიური პენსიაც ემატება (კოკაის ორი კინბოში აქვს მოპოვებული, ორივე **ასაშორიუს** დაგდებისთვის). გუშინ 2010 წლის პირველი კინბოშის მომსწრენი გავხდით, **გოეიდომ** (მე-2 მაეგაშირა) ასაშორიუს აჯობა. თუმცა უფრო ასაშორიუ ვერ მოერია საკუთარ თავს, დიდი მონღოლი მიაწვა მეტოქეს, მაგრამ ბოლომდე ვერ გათვალა ძალა და თავად გადაეშვა მაყურებელთა დარბაზში. დღეიდან დაუმარცხებელი მხოლოდ ორი სუმოისტია, დიდი ჩემპიონი ჰაკუჰო და **კისენოსატო**.

ქართველთა მეტოქეები



**კაკიძოე**

მე-4 მაეგაშირა, 31 წლის, 177 სმ, 140 კგ

ტოჩინოშინი-კაკიძოე 5:4



**ამინიშიკი**

მე-6 მაეგაშირა, 31 წლის, 185 სმ, 150 კგ

კოკაი-ამინიშიკი 6:4



**შირონონამი**

მე-9 ძურიო, 28 წლის, 175 სმ, 130 კგ

გაგამარუ-შირონონამი 1:1

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ნაკრები

B უნკერიდან A მომქვრალნი

# უცნობი, გვარად კოკოშკოვი

ნანილი მეექვსე

**დღეს-ხვალ 2008-09 წლების ციკლზე დავწერთ. დღეს 2008 წელს იგორ კოკოშკოვის ჩამოსვლაზე, რუსეთ-საქართველოს ომსა და სტუმრად ჩატარებულ ოთხ შეხვედრაზე მოგითხრობთ, ხვალ - 2009 წელს მოგებულ ექვს მატჩზე.**

2008 წელსაც უმწვრთნელოდ შევხვდით. კალათბურთის ფედერაციამ საკმარისი გამოცდილება მიიღო საიმისოდ, რომ ნაკრებისთვის მცოდნე, მტკიცე, ქართული მენტალიტეტის პატივისმცემელი და გულიანი მწვრთნელი შეერჩია. ძიების პროცესი ევროპის ფარგლებს გასცდა, ოღონდ დასავლეთის მიმართულებით (აბა, აფრიკასა და აზიაში რა გვესაქმება).

16 აპრილს კლუბ „12 მაგიდაში" დაგვიბარეს. ფედერაციის ხელმძღვანელებმა **იგორ კოკოშკოვის** ნაცვლად მისი დოსიე დაგვახვედრეს, სადაც ეწერა, რომ 1971 წელს დაბადებული სერბი სამწვრთნელო საქმიანობას ადრეულ ასაკში შეუდგა: 24 წლისა „ბელგრადის" თავკაცად დაინიშნა... 2004-05 წლებში კოკოშკოვი იუგოსლავიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ, **ჟელკო ობრადოვიჩს** ეხმარებოდა. 2008 წელს კი „დეტროიტში" შეხვდა, სადაც **ლარი ბრაუნის** თანაშემწედ მუშაობდა.

ქართულმა საკალათბურთო საზოგადოებამ გვარი კოკოშკოვი პირველად სწორედ 16 აპრილს გაიგო და ძველებური ალტაცებით ნამდვილად არ შეხვედრია. მეორე დღეს გაზეთ „ლელოში" დავწერეთ: *„იგორ კოკოშკოვზე სახელიანი მწვრთნელიც გვყავდა, მაგრამ შედეგი ვერ აჩვენა. საინტერესოა, უსახელო იგორი თუ მოიხვეჭს სახელს საქართველოს ნაკრებთან ერთად..."*

16 აპრილის საღამოს იგორ კოკოშკოვსაც დავურეკეთ. ყურმილის მოშორების შემდეგ დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მიზანმიმართულ ადამიანს ველაპარაკე - კოკოშკოვი კითხვებზე საპასუხოდ წამით არ დაფიქრებულა, პრკლედ და კონკრეტულად საუბრობდა.

- ქართველთა შესაძლებლობებს ვიცნობ და მჯერა, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა შესაძლებელია. ჩემი პირველი მიზანი გუნდში დადებითი ატმოსფეროს შექმნა და სექტემბრის მატჩებისთვის მომზადება იქნება, - განაცხადა ახალმა მწვრთნელმა.

სიტყვა „ატმოსფერო" კარგად გვენიშნა: მივხვდით, რომ კოკოშკოვმა ზედმიწევნით იცოდა ნაკრებში არსებული მდგომარეობის შესახებ - ზაზას სიტყვები ეროვნულში ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე, ცქიტიშვილის ნაკრებს მიღმა დარჩენაზე...

## რესურსი

გაზაფხულზე **გიორგი ცინცაძე** ფიბას თასის საუკეთესო ევროპელად დასახელდა, ხოლო **ზაზა ფაჩულიამ კევინ გარნეტთან** ჩხუბით გაითქვა სახელი. თავის მხრივ, **მანუჩარ მარკოიშვილი** „კიევის" ერთ-ერთ ლიდერად იქცა (თუმცა, ტრავმის გამო ნაკრებს ვერ დაეხმარა), ცქიტიშვილმა „ტერამოში" კარგად დაწყებული სეზონი ცუდად დაასრულა (სათამაშო დრო შეუმცირდა), ელისი „კახასოლის" მთავარ მექულედ იქცა, **ვლადიმერ ბოისა** რუსეთიდან ბერძნულ „არისში" გადავიდა, ხოლო **ვიქტორ სანიკიძემ** ტრავმის მოშუშების შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდი თბილისის „დინამოში" გაიარა, თუმცა გუნდი პლეიოფში ვერ გაიყვანა.

ივნისში „დეტროიტიდან" ლარი ბრაუნის წასვლის შემდეგ გუნდი იგორ კოკოშკოვმაც დატოვა - „ფინიქს სანსის" სამწვრთნელო შტაბში ჩაეწერა.

## ფაშისტურმა...

სერბმა სპეციალისტმა საქართველოს მიწაზე ფეხი პირველად 30 ივლისს დადგა. 1-ელ აგვისტოს კი „დინამოს" ბაზაზე ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა შეკრიბა.

2003 წლის შემდეგ ცქიტიშვილი პირველად შეუერთდა ნაკრებს დროულად. მას წინ გასული სეზონის მწარე გამოცდილება (**კენ შილდსმა** რომ არ აიყვანა) ჰქონდა და გაფართოებული შემადგენლობის შეკრებაზე გამოცხადდა. ასეთი მონდომება კოკოშკოვმა დაუფასა და ოფიციალურ მატჩებში სასტარტო ხუთეულის კალათბურთელად აქცია.

ნაკრების ოფიციალური შეკრება 5 აგვისტოს დაიწყო. მანამდე გუნდს შეუერთდნენ **დავით უგრეხელიძე**, ვლადიმერ ბოისა და ტაირონ ელისი.

8 აგვისტოს იგორ კოკოშკოვმა მორიგი ღია კარის დღე მოაწყო. დილმის ბაზაზე კი მივედით, მაგრამ ჟურნალისტები ვარჯიშზე არ შევსულვართ - ბაზის ეზოში მდგომ მანქანაში რადიო მაღალ ხმაზე იყო ანთული: „ფაშისტურმა" რუსეთმა ჩვენი საზღვარი გადმოკვეთაო. 8 აგვისტოს ისიც გვითხრეს, სამაჩაბლოში თითქმის ყველა სოფელს ჩვენ ვაკონტროლებთო...

...მაგრამ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა 14 აგვისტოს საქართველოდან უკრაინაში ძლივს გაასწრო. კიევის რეისზე ბილეთები ბოლო წამს რომ არ ეშოვათ, ძნელი სათქმელია, „ჰაერშეზღუდულ" საქართველოდან როდის გავიდოდნენ.

## დ.დ.

უკრაინაში ჩასვლიდან მეორე დღეს საქართველოს ნაკრებმა 2008 წელს პირველი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა.



იგორ კოკოშკოვი

**15.08.2008 უკრაინა-საქართველო 86:81 დ.დ.**
22:22, 14:15, 13:20, 25:17, 12:7
საქართველო: ცინცაძე (14 ქ, 6 პ), ელისი, (13 ქ), სანიკიძე (3 ქ, 5 მ), ცქიტიშვილი (24 ქ. 9 მ), უგრეხელიძე (4 ქ. 5 მ), გამყრელიძე (6 ქ), ა. ბოისა (3 ქ), შერმადინი (14 ქ. 6 მ), ტულუში, შენგელია, ბერიშვილი

იგორ კოკოშკოვის პირველი კომენტარი ასე ჟღერდა: - თითქმის მოგებული მატჩი წავაგეთ. ბოლო წუთზე 2 დასანანი სამქულიანი მივიღეთ და დამატებით დროში გასამარჯვებლად ენერგია აღარ გვეყო.

მეორე დღეს ქართველებმა რევანში აიღეს:

**16.08.2008 უკრაინა-საქართველო 71:72**
18:12, 18:22, 17:18, 18:20
საქართველო: ცინცაძე (8 ქ), ელისი (20 ქ), სანიკიძე (6 ქ), ცქიტიშვილი (7 ქ), უგრეხელიძე (6 ქ), გამყრელიძე (2 ქ), ვ. ბოისა (12 ქ), ა. ბოისა, შერმადინი (9 ქ), ტულუში (2 ქ)

უკრაინაში ჩატარებული ორი საკონტროლო მატჩის შემდეგ ნაკრები თურქეთში გადავიდა და მზადება სტამბოლში განაგრძო.

მწვრთნელი ზაზა ფაჩულიას 17 აგვისტოსთვის ელოდა, თუმცა კაპიტანი გუნდს დათქმულზე 4 დღით გვიან, 21 აგვისტოს შეუერთდა. იმავე საღამოს ესპანეთიდან დაბრუნდა ვლადიმერ ბოისა, რომელმაც „მენორკასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ლტოლვილები

ამასობაში რუსეთის თვითმფრინავები მთელ საქართველოს მოედნენ. არადა, 5 სექტემბერს პირველ ოფიციალურ მატჩში ლუქსემბურგისთვის უნდა გვემასპინძლა. ეს საკითხი საქართველოს კალათბურთის ფედერაციასაც აღელვებდა. ამიტომ, ლუქსემბურგელებსა და სლოვაკებს შესთავაზა: წლეულს თქვენთან ვითამაშებთ, ხოლო გაისად თბილისში მიგიღებთო. სლოვაკებისა და ლუქსემბურგელებისგან თანხმობის მიღების შემდეგ ფიბა-მ ოთხივე მატჩის სტუმრად ჩატარების ნებართვა მოგვცა.

22 აგვისტოს მიღებული ასეთი გადაწყვეტილების გამო კალათბურთელებს რთულ პირობებში მოუწიათ ყოფნამ. მათ ხომ ორი კვირის „საგზალი" ჰქონდათ წაღებული. მოგზაურობამ კი თვეზე მეტი ხნით მოუწიათ.

- ნამდვილი ლტოლვილები ვიყავით. სახლიდან წასვლის წინ ჩავალაგეთ ის ტანსაცმელი, რაც ორ კვირას დაგვჭირდებოდა. თუმცა ევროპაში იმდენ ხანს დავრჩით, რომ ცოტა აცივდა და ახალი ტანისამოსის შეძენა დაგვჭირდა, - იხსენებს ვიქტორ სანიკიძე.

ფიბა-ს გადაწყვეტილებას ერთი პლუსიც ჰქონდა: საქართველოს ნაკრები 2009 წელს დარჩენილ ოთხივე შეხვედრას შინ ჩაატარებდა.

## ლატვია

25 აგვისტოს ნაკრები ლატვიის ოთხთა ტურნირში ჩაერთო, ჩეხეთი და ლატვია დაამარცხა, ხოლო საფრანგეთთან სამი პერიოდი თანაბრად ითამაშა.

**25.08.2009. საქართველო-საფრანგეთი 69:90**
24:22, 17:21, 14:18, 14:29
საქართველო: ცინცაძე (1 ქ), ელისი (12 ქ), სანიკიძე (5 ქ. 8 მ), ცქიტიშვილი (4 ქ), ფაჩულია (23 ქ); ვ. ბოისა (11 ქ), შერმადინი (8 ქ), გამყრელიძე (2 ქ), შენგელია (3 ქ), ა. ბოისა, ტულუში, ბერიშვილი

**26.08.2009 საქართველო-ჩეხეთი 74:68**
15:21, 21:17, 22:14, 16:16
საქართველო: ცინცაძე (12 ქ, 5 პ), ელისი (22 ქ), სანიკიძე (4 ქ. 8 მ), ცქიტიშვილი (14 ქ), ფაჩულია (16 ქ); ვ. ბოისა (2 ქ), შერმადინი, გამყრელიძე, ა. ბოისა, ტულუში (4 ქ)

**27.08.2009 ლატვია-საქართველო 72:80**
19:22, 15:22, 17:20, 21:16
საქართველო: ცინცაძე (5 ქ), ელისი (10 ქ), სანიკიძე (5ქ. 7 მ), ცქიტიშვილი (9 ქ. 7 მ), ფაჩულია (14 ქ. 8 მ); ვ. ბოისა (18 ქ), გამყრელიძე (14 ქ), ა. ბოისა (5 ქ), ტულუში

## წაგებები ავსტრიაში

ჩვენმა გუნდმა ეს არ იკმარა და ავსტრიაში ორი საკონტროლო გასროლაც შეასრულა. თუმცა ორჯერვე დამარცხდა.

**ავსტრია-საქართველო 76:74**
25:20, 18:16, 15:24, 18:14
საქართველო: ცინცაძე (5 ქ), ა. ბოისა (2 ქ), სანიკიძე (13 ქ. 10 მ), ცქიტიშვილი (20 ქ. 9 მ), ფაჩულია (9 ქ); გამყრელიძე (9 ქ), ვ. ბოისა (9 ქ), შერმადინი (2 ქ), ტულუში (5 ქ), ტომარაძე, შენგელია

**ავსტრია-საქართველო 77:74**
21:17, 25:20, 13:12, 18:25
საქართველო: ცინცაძე (9 ქ), ა. ბოისა (3 ქ), სანიკიძე (1 ქ. 9 მ), ცქიტიშვილი (18 ქ. 8 მ), ფაჩულია (20 ქ. 5 მ); გამყრელიძე (7 ქ. 5 პ), ვ. ბოისა (5 ქ), შერმადინი (2 ქ), ტულუში (3 ქ), შენგელია (6 ქ)

ლუქსემბურგთან მატჩების წინ იგორ კოკოშკოვი გაორებული იყო:

- უკმაყოფილების საბაბი მაქვს. ამაში საქართველოში მომხდარ ამბებს ვგულისხმობ, რის გამოც საშინაო მატჩები მეტოქე ქვეყნებში გადაიტანეს და ჩვენც თვეზე მეტი გვიწევს უცხოეთში ყოფნა. ეს დიდი ფსიქოლოგიური წნეხია მოთამაშეთათვის. არის დადებითი მომენტიც: გუნდი შეკრულია და ყველამ კარგად იცის თავისი საქმე. თითოეული მოთამაშის ფუნქცია გუნდში ზუსტადაა განსაზღვრული და ახლა ჯერი მათზეა.

## ცხადია, გაიმარჯვა

5 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგში ავსტრიის ქალაქ შტაინბურნიდან ჩავიდა და ცხადია, გაიმარჯვა.

**03.09.2008 ლუქსემბურგი-საქართველო 65:98**
13:24, 20:28, 18:24, 14:22
საქართველო: ცინცაძე (10 ქ), ელისი (24 ქ. 3 პ), სანიკიძე (20 ქ. 12 მ), ცქიტიშვილი (11 ქ. 6 მ), ფაჩულია (11 ქ. 8 მ. 3 პ), ა. ბოისა (3 ქ), ვ. ბოისა (6 ქ), გამყრელიძე (3 ქ), შერმადინი (7 ქ), ტულუში (2 ქ), შენგელია (1ქ)

## სანიკიძის 31

ირლანდიაში ნაკრებმა გუნდური ფოტო გადაიღო, რომელშიც 11 კალათბურთელი მოხვდა. არსად ჩანდა **თორნიკე შენგელია**, რომელმაც მოგვიანებით გვითხრა, რომ ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო იგი გუნდს ირლანდიაში ვერ გაჰყვა.

კიდევ ერთი პრობლემა მატჩის პირველი პერიოდისას წარმოიშვა: მწყობრიდან გამოვიდა კომპიუტერი და მატჩის ოქმი ერთი დღის დაგვიანებით მივიღეთ. ირლანდიური მატჩი ვიქტორ სანიკიძემ ასე გაიხსენა:

- ეს ის შემთხვევა იყო, როცა კალათბურთელს ყველაფერი გამოსდის. ირლანდიაში 31 ქულა ჩავაგდე, რაც ჩემი სანაკრებო რეკორდია. სასიამოვნოა, რომ დარბაზში შეკრებილი უამრავი ქართველი გულშემატკივარი გავახარეთ.

**10.09.2008. ირლანდია-საქართველო 77:94**
13:23, 20:14, 13:23, 31:34
საქართველო: ცინცაძე (4 ქ. 6 პ), ელისი (20 ქ. 3 პ. 3 ჩ), სანიკიძე (31 ქ. 7 მ. 5 პ), ვ. ბოისა (12 ქ. 6 მ), ფაჩულია (16 ქ. 9 მ), ცქიტიშვილი (8 ქ), ა. ბოისა, გამყრელიძე (3 ქ), შერმადინი, ტულუში

## აი, როგორ უნდა თამაში

ირლანდიის შემდეგ გაცილებით ძლიერი მეტოქე, სლოვაკეთი დაგვიპირისპირდა. იმ მატჩის შემდეგ სლოვაკთა მწვრთნელმა **მილან ჩერნიცკიმ** თქვა:

- ქართველებმა დაგვანახვეს, როგორ უნდა კალათბურთის თამაში.

ეს ფრაზა „ლელოს" სათაურში მოხვდა. სლოვაკეთში დებიუტი ჰქონდა **მიხეილ ბერიშვილს** რომელმაც სამქულიანით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 101:78.

**13.09.2008. სლოვაკეთი-საქართველო 78:101**
17:31, 13:26, 23:28, 25:16
საქართველო: ცინცაძე 2 ქ. 9 პ), ელისი (20 ქ. 5 მ. 3 ჩ), სანიკიძე (16 ქ. 6 პ), ცქიტიშვილი (17 ქ. 6 მ), ფაჩულია (27 ქ. 5 მ), ვ. ბოისა (8 ქ), ა. ბოისა, გამყრელიძე (3 ქ), შერმადინი (2 ქ), ტულუში (3 ქ), ბერიშვილი (3ქ), შენგელია

## უმი თამაში უმეაში

შვედეთთან მატჩი არც ერთმა იქაურმა ტელეარხმა არ გადასცა. ამიტომ მხოლოდ ინტერნეტის იმედად ვიყავით. წყვეტა-წყვეტით მივიღეთ გამოსახულება შეხვედრის ბოლო წამებისა, როცა **გიორგი ცინცაძემ** და ვიქტორ სანიკიძემ თამაშის გადარჩენა სცადეს და ინდივიდუალური გარღვევებით სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს - 59:60. არადა, სირენამდე 8 წუთით ადრე 16 ქულის სხვაობით ვაგებდით. ერთი ეპიზოდი განსაკუთრებულად დამამახსოვრდა: ცინცაძე საკუთარი ნახევრიდან დაიძრა, საჯარიმოს რომ მიუახლოვდა, მეტოქეს უჩვენა, რომ პასს სანიკიძეს აძლევდა, რის შემდეგაც სანიკიძისკენ სამი კალათბურთელი გადავიდა და ბუს ფარქვეშ სივრცე გამოუთავისუფლდა.

**17.09.2008 შვედეთი-საქართველო 61:59**
18:18, 24:13, 12:11, 7:17
საქართველო: ცინცაძე (12 ქ. 5 მ. 9 პ), ელისი (6 ქ. 5 მ), სანიკიძე (19 ქ. 10 მ), ცქიტიშვილი (5 ქ), ფაჩულია (6 ქ. 7 მ), ვ. ბოისა (8 ქ), ა. ბოისა, გამყრელიძე (3 ქ), შერმადინი, ტულუში

ქალაქ უმეაში მარცხის მიზეზებზე იგორ კოკოშკოვმა მატჩის მერე ისაუბრა და 2009 წლამდე დაგვემშვიდობა:

- წაგების მლავარი მიზეზი ფარქვეშ არადამაჯერებელი თამაში იყო: შვედეთმა ჩვენს ფარზე ბურთი 25-ჯერ მოხსნა, ამ კომპონენტში, ჯამში 46:37 გვაჯობა. ვფიქრობ, ამის მიზეზი კალათბურთელთა გადაღლა იყო. ისინი 40 დღის განმავლობაში ლტოლვილებივით ცხოვრობდნენ და შვედეთთან მატჩისთვის გადაღლილები იყვნენ. ვიმედოვნებთ, თბილისში ორქულიანი სხვაობის გაბათილება და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება არ გაგვიჭირდება.

ინტერვიუ

### ლევან მოსეშვილი

# სამწუხაროდ, ეს რეალობაა

**„ვითა", სტუ, „ავიამშენი"... ეს იმ გუნდების მოკლე ჩამონათვალია, რომლებიც ერთ დროს საქართველოს ჩემპიონატის მწვერვალზე იდგნენ, შემდეგ კი უკვალოდ გაქრნენ. სამწუხაროა, რომ გამქრალთა რიგებს 2010 წლის 13 იანვარს „ავიამშენიც"შეუერთდა.**

**დაშლილ გუნდზე სასაუბროდ „ავიას" მთავარ მწვრთნელ, ლევან მოსეშვილს დავუკავშირდით.**

- სამწუხაროდ, ეს რეალობაა, „ავიამშენი" დაიშალა. ველარც სუპერლიგაში ვითამაშებთ და ვერც სხვა ტურნირებში.

**- გუნდის დაშლის მიზეზი, ცხადია, უფულობაა.**

- სეზონის დაწყების წინ გუნდის მეპატრონემ, ბატონმა პანტიკო თორდიამ გვითხრა – კრიზისის გამო, საკალათბურთო გუნდს ველარ შევინახავო. შემდეგ გამოჩნდა ერთი ადამიანი, რომელმაც ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო თანხა გადაგვიხადა, თუმცა კალათბურთელებს ხელფასებს ვერ ვუხდიდით. ასეთ პირობებში მყოფმა წამყვანმა მოთამაშეებმა სხვა კლუბებისგან წინადადებები მიიღეს და „ავიამშენი" დატოვეს. ჩვენ დაგვრჩა შეკვეცილი და მეტად ახალგაზრდული კოლექტივი, რომლითაც სუპერლიგაში თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

**- დასანანია ასეთი გუნდის დაშლა...**

- სხვათა შორის, „ავიამშენი" სწორედ მაშინ შეიქმნა, როცა „ბასკო" დაიშალა, ხოლო „დინამო" ძალიან დასუსტდა. 2004-05 წლების სეზონში „ავიას" დონის გუნდის გამოჩენა ჩვენი შესუსტებული ჩემპიონატისთვის შვება იყო. გუნდის არსებობის განმავლობაში მხარში გვედგა ბატონი პანტიკო თორდია, რომლის მიმართაც მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მას ჩვენც გავუმართლეთ იმედები: მოვიგეთ ყველა ტურნირი, სუპერლიგით (2006 წელს) დაწყებული, საქართველოს თასით დამთავრებული.

**- წამყვანი კალათბურთელები სხვადასხვა კლუბში გადანაწილდნენო, თქვით. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ვინ სად წავიდა?**

- გიორგი პირველაშვილმა და ანატოლი ბოისამ „ენერჯის" მიაშურესო, სერგო ათუაშვილი „ბათუმში" გადავიდა, თორნიკე ნინიაშვილი „აგრარულში" ჩაირიცხა, ხოლო ვახტანგ მინაშვილი - თსუ-ში.

ლეგიონერები

ევროლიგა

# ოთხი ორიანი

### შერმადინმა პირველი ეტაპი დასძლია

**გიორგი შერმადინის** „პანათინაიკოსმა" ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი 8 მოგებით და 2 წაგებით დაასრულა. ასეთივე მაჩვენებელი აქვს ჯგუფის მეორე ფავორიტ მადრიდის „რეალს". ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის გამო პირველი ადგილი ესპანელებს დარჩათ. მომდევნო ეტაპზე „პანათინაიკოსისა" და „რეალის" გარდა რუსული „ხიმკი" და პოლონური „პროკომი" გავიდნენ.

მეორე ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩნენ იტალიური „მილანი" და გერმანული „ოლდენბურგი".

ჯგუფში ბოლო მატჩი „პანათინაიკოსმა" გერმანიაში ჩაატარა, სადაც „ოლდენბურგი" 67:64 დაამარცხა.

გიორგი შერმადინის თანაგუნდელებმა პირველ პერიოდში 10-ქულიანი ფორა მოიპოვეს (20:10) და მატჩი ისე დასრულდა, რომ გერმანელებისთვის დაწევის საშუალება არ მიუციათ.

ქართველმა ცენტრმა 9 წუთი ითამაშა და ოქმში ორიანები ჩაიმწკრივა: 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 შეცდომა, 2 ფოლი. გიორგიმ ერთადერთი ორქულიანი პირველ პერიოდში ისროლა ზუსტად.

„პანათინაიკოსის" მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** ტრავმის გამო ვერ ათამაშა სასტარტო ცენტრი **ნიკოლა პეკოვიჩი, დიმიტრის დიამანტიდისი** და **ვასილის სპანულისი.**

ქართველი NBA-ში

# ვირუსი

**ზაზა ფაჩულიამ** ყველაზე მეტი, 27 ქულა 2007 წელს „ვაშინგტონთან" მატჩისას მოაგროვა. დედაქალაქელთა წინააღმდეგ ქართველი ცენტრი ტრადიციულად კარგად თამაშობს, თუმცა 13 იანვარს მას „ვაშინგტონთან" მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზი გრიპის ვირუსია.

„ატლანტა" „უიზარდსს" ზაზას გარეშეც მოერია - 94:82. **ჯო ჯონსონმა** 24 ქულა ჩააგდო.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

## დავით კაკაბაძე

# ხარებს შრომა არ ეზარებათ, მომთმენებიც არიან


დავით კაკაბაძე

**რუსთავის „ხარები“ საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის დებიუტანტი იყო. ამის კვალობაზე გუნდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და მთავარ მიზანსაც მიაღწია, უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. მეტიც, რუსთაველებმა პირველივე ტურში სენსაცია შემოგვთავაზეს, როცა სტუმრად, „შევარდენის“ სტადიონზე ქვეყნის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ დაამარცხეს. უკვე მაშინ გამოჩნდა, რომ „ხარები“ იოლად არავის არაფერს დაუთმობდნენ და რუსთავული რაგბის ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებას შეძლებდნენ.**

**რა მიზნები აქვს და როგორ ემზადება მომავალი სეზონისთვის რუსთავული გუნდი, მთავარმა მწვრთნელმა დავით კაკაბაძემ მოგვითხრო:**

- ვარჯიში გუნდმა 11 იანვრიდან დაიწყო. როგორც ყველა, ჩვენც ჯერ საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ. მომავალი კვირიდან ძალოსნობის დარბაზში გადავინაცვლებთ. თებერვლის დასაწყისიდან კი ბურთით ვარჯიშს შევუდგებით.

**- გუნდის შემადგენლობაში რა ცვლილებებია?**

- გუნდიდან არავინ წასულა, შარშანდელი შემადგენლობა მთლიანად შევინარჩუნეთ. დაგვემატა ჩვენი აღზრდილი შუამარბი ირაკლი ლობჟანიძე, რომელიც აქამდე საქართველოს სხვადასხვა კლუბში ასპარეზობდა და ბოლო ერთი წელი უქმად იყო. ის საკმაოდ გამოცდილი მორაგბეა და ვფიქრობ, გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს.

**- რუსთავის „ხარებს“ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა კლუბებთან შედარებით ინფრასტრუქტურული პრობლემები ნაკლებად აწუხებს...**

- ერთი მოედანი გვაქვს. მართალია, იდეალური პირობები არ არის, მაგრამ ვარჯიში და თამაში შეიძლება. წლეულსაც ამ მოედანზე მოგვიწევს ბინადრობა. ჩემპიონატის შეხვედრებზე ხალხიც ბლომად დადის მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნა არ გვაქვს.

მალე პირობების გაუმჯობესებას ველით. ქალაქის მერიამ გამოგვიყო ტერიტორია, სადაც საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დახმარებით სარაგბო სტადიონი გაკეთდება. ბუნებრივსაფარიან ძირითად მოედანთან ერთად ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მოედანიც გვექნება. გაკეთდება ტრიბუნა, კეთილმოწყობილი გასახდელები და ძალოსნობის დარბაზი. ერთი სიტყვით, წლის ბოლოსთვის ქართული და რუსთავული რაგბისთვის ამ საშვილიშვილო საქმის დასრულებას ველოდებით. ამის მერე ნახეთ რაგბის ბუმი რუსთავში.

**- „ხარებს“ სპონსორიც საკმაოდ წელგამართული ჰყავს...**

- ჩვენი სპონსორი „ჰაიდელბერგცემენტია“, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. თითქმის ყველა კონტინენტზე აქვს თავისი საწარმოები. საკმაოდ დიდ ყურადღებას გვაქცევენ ქალაქისა და სამხარეო ადმინისტრაციების ხელმძღვანელები. ისინი ფინანსურადაც გვეხმარებიან და მორალურადაც გვერდში გვიდგანან.

**- რუსთავი შარშან საქართველოს ყველაზე სპორტულ ქალაქად დაასახელეს. ფეხბურთსა და კალათბურთში თქვენი ქალაქის გუნდები ლიდერები არიან. ჩემპიონის ტიტულიც მოუპოვებიათ. როდის გახდება საქართველოს ჩემპიონი რუსთაველ მორაგბეთა გუნდი?**

- ჩვენი ჩემპიონობა ჯერ ადრეა. როცა სათანადო ინფრასტრუქტურა გვექნება, ჩემპიონობაზე მერე ვიფიქრებთ. ეს სულაც არაა აუსრულებელი ოცნება. 1993 წელს „ხარები“ ერთხელ უკვე იყო საქართველოს ჩემპიონი. მომდევნო სეზონში ვიცე-ჩემპიონები გავხდით, 1997 წელს კი ბრინჯაოს მედლებს დავეუფლეთ. ასე რომ, ტრადიციები არავიზე ნაკლები გვაქვს.

**- შარშან სეზონი რიხით დაიწყეთ, პირველივე ტურში ქვეყნის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ დაამარცხეთ. წესით, პლეი ოფში გასვლისთვის უნდა გებრძოლათ, არადა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლამ მოგიწიათ...**

- დიახ, ასე იყო. ყოველივე ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. „ლოკომოტივმა“ მაშინ ჩვენ სათანადოდ არ შეგვაფასა და ამისთვის დაისაჯა. პირველი ტური იყო, ჩვენი გუნდი კარგად მოემზადა, ბიჭებმა ბოლომდე თავდადებით იბრძოლეს და მოვუგეთ. მერე ტრავმები მოგვეძალა, სათარიგოთა სკამიც მოკლე გვქონდა და ჩვენი აუტსაიდერთა შორის ყოფნაც ამით იყო გამოწვეული.

რაც შეეხება მიზანს, ახალ სეზონში, ცხადია, კარგი იქნება პლეი ოფში თამაში, მაგრამ ჩვენ გუნდის შესაძლებლობებს რეალურად ვაფასებთ და ყველანაირად ვეცდებით, რაც შეიძლება კარგად ვითამაშოთ, უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ, მოვძლიერდეთ. მედლებზე მერე ვიფიქრებთ.

**- რუსთავი საქართველოს ნაკრებისთვის მოთამაშეების სამჭედლო იყო. თქვენს გუნდში დაფრთიანებული ბიჭები ახლაც ჩვენი ეროვნული გუნდის წამყვანი მორაგბეები არიან. მათი უმრავლესობა საფრანგეთში მაღალ დონეზე თამაშობს. ისინი მშობლიურ გუნდს თუ ეხმარებიან?**

- რუსთავს მართლაც მდიდარი სარაგბო ტრადიციები აქვს. აქ გაიზარდნენ საქართველოს ნაკრების წამყვანი მოთამაშეები: მევლუდ მთიულიშვილი, ზაზა ხუციშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ლევან ცაბაძე, გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, კახაბერ უჩავა და ირაკლი ნატრიაშვილი.

ნატრიაშვილი და უჩავა რუმინეთში თამაშობენ. იქ ახლა შესვენებაა, შვებულებაში იმყოფებიან და დღესდღეობით „ხარებთან“ ერთად ვარჯიშობენ. მათთან ერთად წვრთნა ჩვენი მორაგბეებისთვის დიდი სკოლაა. ბიჭებს გამოცდილებას უშურველად უზიარებენ.

ისინი, ვინც საფრანგეთში თამაშობენ, როცა საქართველოში ჩამოდიან, ვარჯიშებს ესწრებიან, სარაგბო ატრიბუტიკით გვეხმარებიან. ერთი სიტყვით, როგორც შეუძლიათ, ყველანაირად გვერდში გვიდგანან. ჩვენც ვცდილობთ, მათი დარი მორაგბეები კიდევ ბევრი გავზარდოთ.

**- რამდენად პოპულარულია რაგბი რუსთავში, როგორია რაგბით დაკავებული მოზარდი თაობის ზრდის დინამიკა?**

- ბავშვთა ყველა გუნდი საფესტივალო ასაკში გვყავს. წლეულს ჭაბუკთა A და B ლიგებში თითოთითო გუნდს გამოვიყვანთ. დუბლშემადგენლობის ჩემპიონატში კი მომავალი წლიდან ვიასპარეზებთ.

**- საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ ასისტენტად დაგასახელათ. 2005 წელს თქვენი ტანდემის ხელმძღვანელობით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთში ევროპის ჩემპიონატიც მოიგო. ასე კარგად გესმით ერთმანეთის?**

- ჩვენ დიდი ხანია, ერთად ვართ. რაგბიში ლევანმა მომიყვანა. ჯგუფელები ვიყავით. თავის გუნდში დამაწყებინა ვარჯიში, მერე ერთადაც ვთამაშობდით. სამწვრთნელო ასპარეზზე ხშირად მეტოქეებიც ვყოფილვართ. როგორც უკვე თქვით, ნაკრებში ერთად მუშაობის გამოცდილებაც გვაქვს.

თვრამეტწლამდელთა ნაკრებშიც ერთად ვიმუშავებთ. მართალია, დრო ძალიან ცოტა გვაქვს, მაგრამ ვეცდებით, მაქსიმალურად შესაძლებელ კარგ შედეგს მივაღწიოთ.



ეროვნული ნაკრები



# ტიმ ლეინის 28

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც 2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართავი მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა, 6 თებერვლიდან ჩაერთვება. პირველი მეტოქე აუტსაიდერი გერმანიის ნაკრებია. ერთი კვირის შემდეგ კი ბორჯღალოსნებს ლისაბონში უწევთ სტუმრობა. პორტუგალიასთან გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს ეროვნულ გუნდს ზელანდიამდე ერთი ნაბიჯიღა ექნება გადასადგმელი.

საქართველოს ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** ამ ორი შეხვედრისთვის მოსამზადებლად 28 მორაგბეს უხმო. გამოძახებულთა შორის ერთი დებიუტანტია. რუმინული კონსტანცას „ფარულის“ მესამეხაზელმა **ლაშა თავართქილაძემ** ნოემბერში საქართველოს A ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა პოლონეთისა და უკრაინის ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ. თბილისის „უნივერსიტეტის“ აღზრდილმა, როგორც ჩანს, ავსტრალიელის მოწონება დაიმსახურა და შესაძლოა ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც ვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იკრიბება. ტრავმა არავის აწუხებს და კლუბებთან ურთიერთობაც მოგვარებულია. ნაკრებში ვერ მოხვდნენ პირველხაზელები **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი) და **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი), თუმცა ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ნაკრების წევრებად არ მოიაზრებიან.

ოცდარვა მორაგბიდან ხუთი, **ვიქტორ კოლელიშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ირაკლი ყიასაშვილი, ლაშა ხმალაძე** და **ალექსანდრე თოდუა** საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოსაპარეზე გუნდებიდანაა.

### საქართველოს ნაკრები

შერკინება: **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **გოდერძი შველიძე** (მონტობანი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), **ილია ზედგინიძე** (კარკერენი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), **გიორგი ნემსაძე** (მასი), **გია ლაბაძე** (მარსელი), **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე), **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **რატი ურუშაძე** (ენიესი), **ლაშა თავართქილაძე** (ფარული), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), **დიმიტრი ბასილაია** (ლე ბუგე).

უკანა ხაზი: **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), **ლაშა მალაღურაძე** (ბეზიე), **ირაკლი მაჩხანელი** (სენტ ეტიენი), **ირაკლი გიორგაძე** (შამბერი), **დავით კაჭარავა** (ნიცა), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ფიჟაკი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო), **მერაბ კვირიკაშვილი** (ფიჟაკი), **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია), **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო), **ლაშა ხმალაძე** (ლელო).

ამბები

## რუსებმა პირველი წააგეს, მეორე მოიგეს

ერთა თასზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მეტოქე, რუსეთის ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე სამხრეთ აფრიკაში იმყოფება. რუსებმა სხვადასხვა შემადგენლობით ორი საწვრთნელი შეხვედრა გამართეს პრეტორიის უნივერსიტეტთან. პირობითად ძირითადმა გუნდმა მარცხი განიცადა - 6:20, სათადარიგო შემადგენლობამ კი 22:5 მოიგო.

ძირითად გუნდში ითამაშა გარუსებულმა **კარლო მაღლაკელიძემ**. **გიორგი მინაძემ** კი - სათადარიგოში. ძმებს, **გრიგოლ** და **ვალერი ცნობილაძეებს** მატჩებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მორიგ შეხვედრას რუსეთის ნაკრები „ბლუ ბულს ვოდაკომთან“ 18 იანვარს გამართავს.

## როდ მაკქუინი რებლზის სათავეში

ავსტრალიის ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელი **როდ მაკქუინი** ახლად დაარსებულ გუნდ „მელბურნ რებლზს“ ჩაუდგება სათავეში. მაკქუინი პროფესიულ საქმიანობას რვა წლის შემდეგ უბრუნდება. მან ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა 2001 წელს დატოვა. ორი წლით ადრე კი „ვოლაბებს“ უელსში მსოფლიოს თასი მოაგებინა.

როდ მაკქუინმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის „მელბურნ რებლზში“ მუშაობას კლუბის ხელმძღვანელად **ბრაიან ვალდრონის** დანიშვნის გამო დათანხმდა. ვალდრონი აქამდე ავსტრალიური ფეხბურთის (ოზი რულზი) კლუბ „მელბურნ სთორმში“ მუშაობდა.

მაკქუინს იმედი აქვს, რომ მისი დახმარებით რამდენიმე მელბურნელი ფეხბურთელის რაგბიში გადაბირებას მოახერხებს. მაკქუინის თანაშემწე სიდნეის უნივერსიტეტის სარაგბო გუნდის მწვრთნელი **დამიენ ჰილი** იქნება.

## გიორგაძე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

„ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში C ჯგუფში მოასპარეზე **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ აუტსაიდერ იტალიურ „როვიგოს“ უმასპინძლებს. წლების წინ გლობუსა სწორედ ამ გუნდში ასპარეზობდა და ამჯერად მის წინააღმდეგ მოუწევს თამაში. მატჩის განაცხადში ის ძირითად შემადგენლობაშია. „კასტრი“ ამჟამად ოთხი ტურის შემდეგ 6 ქულით სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზე იმყოფება და მეორეადგილოსანი სარასენზი შვიდი ქულით უსწრებს. ლიდერი 18 ქულით **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონია“.

## ბერექ ბარნსი ვორათაზშიც ბედნიერია

„ვორათაზის“ ერთ-ერთმა წამყვანმა მორაგბემ **ბერეკ ბარნსმა** მელბურნში დაარსებულ ახალ გუნდში მის გადასვლასთან დაკავშირებული ინფორმაცია უარყო.

ბარნსმა შარშან ზაფხულში ტრავმა მიიღო და ნოემბრის ტესტები გამოტოვა. ამჟამად ის სავსებით ჯანმრთელია და „ვორათაზთან“ ერთად ემზადება ზე 14-ის ახალი სეზონისთვის.

*„ახალი გუნდის დაარსებამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. როგორც მედიას, ისე ქომაგებს, ახლა მთელი ყურადღება „მელბურნ რებლზისკენ“ აქვთ გადატანილი. ჭორებიც საკმაოდ ბევრი ვრცელდება. ჩემზეც ითქვა, თითქოს „ვორათაზს“ ვტოვებდე. ეს მართალი არ არის. მე აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მხოლოდ მომავალ სეზონში წარმატებულ ასპარეზობაზე ვფიქრობ“* - ამბობს ბარნსი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგვაძემ**


ბერეკ ბარნსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA



# მაიამის პრიორიტეტი: ლებრონი და დუეინი

„მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობა მომავალი სეზონისთვის პრიორიტეტებს განიხილავს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ამჟამად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს სამი კალათბურთელი, რომელთა გარშემოც ნამდვილი სატრანსფერო ომი გაჩაღდება. ამ ზაფხულს შეუზღუდავი თავისუფალი აგენტები გახდებიან: **კრის ბოში, დუეინ უეიდი და კრის ბოში.**

როგორც გაზეთი Miami Herald წერს, „ჰიტთან" დაახლოებული ერთ-ერთი წყაროს ცნობით, ფლორიდული კლუბის მთავარი მიზანი ლებრონის გადაბირება იქნება, მაგრამ უპირველესი ამოცანა დუეინ უეიდთან ხელშეკრულების გაგრძელებაში მდგომარეობს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ უეიდი გახლავთ მთავარი ფიგურა „მაიამის" სატრანსფერო სქემაში. ლებრონმა შეიძლება არ მიიღოს „ჰიტის" წინადადება, თუ დარწმუნებული არ იქნება, რომ უეიდი გუნდში რჩება. ანალოგიური სიტუაციაა ბოშთან დაკავშირებით, რაც შეეხება თავად დუეინს, მან უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ „მაიამიში" უნდა თამაშის გაგრძელება, მაგრამ ზაფხულში, შესაძლოა, გადაიფიქროს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მის გუნდში ბოში, ჯეიმსი ან სხვა ვარსკვლავი არ გამოჩნდება. კლუბის ბოსების სატრანსფერო გეგმებში ფიგურირებს **ამარე სტაუდმაიერიც** - ის ბოშის ალტერნატივად განიხილება, მაგრამ პრიორიტეტი ერთმნიშვნელოვნად ლებრონის მხარესაა.

*„მათ ზუსტად სურთ ამოიცნონ ვარსკვლავების განწყობილება. ტოპ-მოთამაშის გაფორმება სავსებით რეალურია და შემდეგი სატრანსფერო სქემა ამის მიხედვით აეწყობა"*, - წერს Miami Herald. - *ლებრონი ერთმნიშვნელოვნად მთავარი მიზანია, მაგრამ თუ ისინი ბოშისგან ან სტაუდმაიერისგან დადებით პასუხს მიიღებენ, ამ შემთხვევაში არჩევანის გაკეთება მოუწევთ. ამასთან, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თუ „მაიამი" დუეინს არ გაიფორმებს, მას ძალიან გაუჭირდება თავისი რიგების გაძლიერება".*

დღევანდელი სახელფასო ბიუჯეტის გათვალისწინებით, „მაიამის" მხოლოდ ერთი სუპერვარსკვლავის დამატება შეუძლია, რომლის ხელფასი დაახლოებით იმდენივე იქნება, რასაც უეიდი მომავალ სეზონში მიიღებს - 17 მილიონი დოლარი.

არ უნდა დავივიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. თუ ლებრონი და ბოში თავიანთ ამჟამინდელ კლუბებში დარჩენას მოისურვებენ, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ მიმდინარე ხელფასის 10.5 პროცენტით გაზრდა. სხვა გუნდში ეს ნამატი მხოლოდ 8 პროცენტი იქნება.

„მაიამის" სარეზერვო ვარიანტიც აქვს მომზადებული - მემფისელი **რუდი გეის** ტრანსფერი **ბიზლის** სანაცვლოდ. მაიკლის ადგილის დაკავება **კარლოს ბუზერსაც** („იუტა") შეუძლია, რომელიც ასევე ზაფხულში ხდება თავისუფალი აგენტი. მაგრამ ბუზერს ბევრი მთხოვნელი ჰყავს და არც გეის გადაბირება იქნება იოლი.

„ჰიტის" შეშფოთებული ხელმძღვანელობა ყველაზე უარეს ვარიანტსაც განიხილავს. უეიდის პოზიციაზე შედარებით დაბალი კლასის თავისუფალ აგენტებს ასახელებენ. სუპერვარსკვლავის სავარაუდო შემცვლელებად მოიაზრებიან **მანუ ჯინობილი, რეი ალენი** და **ჯო ჯონსონი**, თუმცა ასეთი სქემა ნაკლებად სავარაუდოა.

# ნელს გრიფინს ვერ ვნახავთ

ამ სეზონში მოედანზე ველარ ვიხილავთ 2009 წლის დრაფტის პირველ ნომერს **ბლეიკ გრიფინს**. ჩვენ არაერთხელ დავწერეთ იმის შესახებ, რომ „ლოს ანჯელეს კლიპერსის" ახალწვეულმა ვარჯიში დაიწყო და მისი მოედანზე გამოჩენა უკვე იანვარში იგეგმებოდა.

მაგრამ ბოლო სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ მუხლში ძვლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და კალათბურთელს კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ამის გამო გრიფინის ახალი სარეაბილიტაციო კურსი 4-6 თვემდე გაიწელება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# ნოვიცკის 20 ათასი

მორიგი სათამაშო დღის 11 მატჩიდან განსაკუთრებულად გამორჩეული იყო შეხვედრა დალასში, სადაც „მავერიქსი" და „ლეიკერსი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. **კობი ბრაიანტის** ზურგის ტრავმის გამო, ამ მატჩში ფავორიტად „დალასი" მიიჩნეოდა, მაგრამ სპეციალისტთა პროგნოზების მიუხედავად, მოქმედი ჩემპიონი თითქმის მთელი თამაში ლიდერობდა. კობის პასიურობის გამო, სტუმართა თამაშს **ენდრიუ ბინუმის, რონ არტესტისა და ლამარ ოდომის** სამეული აკონტროლებდა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ **ფილ ჯექსონის** შეგირდებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, პირიქით, პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში კალიფორნიელების უპირატესობა ერთხელ გასცდა 5 ქულას.

თამაშის ოქმში ბრაიანტი პირველად მე-11 წუთზე იყო მოხსენიებული - პერსონალური **შონ მერიონზე**. 45 წამის შემდეგ კობიმ არაზუსტად ისროლა სამქულიანი და იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მწვრთნელის ნებას - კალიფორნიელთა ლიდერი სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. მეორე მეოთხედში „შავი მამბა" საერთოდ არ გასულა მოედანზე, თავისი პირველი ქულები კი მხოლოდ მესამე 12-წუთეულში დააგროვა.

ბრაიანტმა მაინც შეიტანა წვლილი „ლეიკერსის" გამარჯვებაში. საფინალო სირენამდე 28 წამით ადრე, თანაბარი ანგარიშისას (95:95) კობიმ ერთი მოძრაობით ჩამოიცილა **ჯოშ ჰოვარდი** და ექვსი მეტრიდან გაისროლა. შემდეგ დაცვაში გამოიჩინა თავი, როცა ბურთი არ ჩაატენინა **ერიკ დამპიეს** და ის საჯარიმოების შესასრულებლად გაუშვა. მასპინძლების ცენტრს ნერვებმა უმტყუნეს და მან ორივე ჯარიმა ააცილა. შემდეგ იყო შეგნებული ჯარიმების ტაქტიკა, ჰოვარდის აცილებული სამქულიანი და „ლეიკერსის" გამარჯვება, რომელიც მე-3000-ე იყო კლუბის ისტორიაში. ლიგაში არც ერთ გუნდს არ მიუღწევია ასეთი შედეგისთვის.

თუ „ლეიკერსმა" საიუბილეო გამარჯვება მოიპოვა, „დალასის" ლიდერ **დირკ ნოვიცკისთვის** ეს ტური იმით იყო გამორჩეული, რომ მან 20000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. ახლა გერმანელი ფორვარდის მონაგარი 20014 ქულას შეადგენს და ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 38-ე ადგილს იკავებს. უახლოესი კონკურენტი **ტომ ჩემბერსი** მას 35 ქულით უსწრებს.

■ ■ ■

„სან ანტონიომ", როგორც ჩანს, დიდი ძალები შეალია წინადღეს „ლეიკერსის" დამარცხებას, ამიტომაც **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა „ოკლაჰომას" ძლევა მხოლოდ ოვერტაიმში შეძლო. ნაწილობრივ ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ „სპურსის" დამრიგებელმა დასვენების საშუალება მისცა **ტიმ დანკანს**. „ოკლაჰომას" ასეთი კალიბრის მოთამაშე არ ჰყავს და ამიტომაც ეს ახალგაზრდა გუნდი განსაკუთრებულ შექებას იმსახურებს გამოვლენილი ბრძოლის ჟინისთვის - მასპინძლებმა მატჩის მსვლელობისას 17-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს. მატჩი ორი-ორზე დუელს დაემსგავსა: ერთი მხრიდან **დურანტი** და **უესტბრუკი**, მეორედან - **პარკერი** და **ბლერი**. მასპინძლების წყვილმა 60 ქულა დააგროვა, სტუმრებისამ - 56! ჯინობილიმ კი ჩააგდო ეს თამაში - არგენტინელმა ნახევარი საათი დაყო მოედანზე, თამაშიდან ათჯერ ესროლა და ყველა ააცილა.

და მაინც, მანუმ დიდი წვლილი დაიდო თავისი გუნდის გამარჯვებაში. ოვერტაიმის დასრულებამდე 14 წამით ადრე არგენტინელმა გარღვევა წამოიწყო, მაგრამ ბურთი დაკარგა. ჯინობილი არ დაიბნა და თითქმის აუტში გადასული ბურთის დასაუფლებლად ფანტასტიკური ნახტომი შეასრულა, რის შემდეგაც სასროლ პოზიციაზე **ჯეფერსონი** გავიდა და სწორედ მან მოუტანა „სპურსს" გამარჯვების ორი ქულა - 109:108.

მოულოდნელ შედეგად უნდა მოინათლოს „ინდიანას" გამარჯვება „ფინიქსის" წინააღმდეგ. თითქოს „სანზს" შემადგენლობაში არანაირი პრობლემა არ გააჩნია, გუნდური თამაშიც კარგად აქვს დაყენებული, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. ამის მიუხედავად, გუნდმა მაინც მოახერხა წაგება. „პეისერსის" გამარჯვების მთავარი მიზეზი **გრეინჯერისა** და **დანლივის** დუეტის ფანტასტიკური თამაში გახდა - ამ წყვილმა ჯამში 63 ქულა დააგროვა!

„ორლანდოს" წინააღმდეგ „დენვერმა" მოახერხა მთავარი - შეაჩერა ლიგის საუკეთესო ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი**, რომელიც რვა ქულითა და 13 მოხსნით შემოიფარგლა. თუმცა მარტო „სუპერმენს" არ ჩაუგდია თამაში - იმავეს თქმა შეიძლება **რაშარდ ლუისზე**. ამიტომაც მთელი დატვირთვა **მეტ ბარნსზე** მოვიდა, მაგრამ მარტო მან ვერ შეძლო თამაშის ბედის შემოტრიალება. შედეგი კანონზომიერია: **ენტონის** 27-მა ქულამ, **მარტინის** ორმაგმა დუბლმა და **ბილაპსის** 24-მა ქულამ მასპინძლების დამაჯერებელი გამარჯვება განაპირობეს - 115:97.

ყველაზე დაძაბული მატჩი კი ჰიუსტონში გაიმართა, სადაც ადგილობრივი „როკეტსი" „მინესოტას" მასპინძლობდა. თითქოს რა უნდა ყოფილიყო ამ შეხვედრაში გამოსარჩევი? მაგრამ მისი დასრულების შემდეგ ბევრი მოინდომებდა თამაშის თავიდან ნახვას. ყოველთვის ხომ არ თამაშდება NBA-ის მატჩებში სამი ოვერტაიმი?!

საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე „ჰიუსტონს" კომფორტული სამქულიანი უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ მეტოქის პრესინგის მიუხედავად, **ბრიუერმა** მოედნის ცენტრიდან (!) ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა - 89:89! პირველი ოვერტაიმის შემდეგ კვლავ თანაფარდობა იყო - 98:98, თანაც ორივე გუნდს შეეძლო თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა მატჩის ბედი. მეორე ოვერტაიმის გმირი გახდა „ვულვზის" წევრი **ელინგტონი**, რომელმაც 102:105-ზე ჩააგდო სამქულიანი.

მასპინძლებმა „მინესოტას" ძლევა მხოლოდ მესამე ოვერტაიმში მოახერხეს, როცა მეტოქეს გამოელია ძალაც და საკადრო რესურსიც (6-6 პერსონალურის გამო სათადარიგოთა სკამისკენ გაეშურნენ ელინგტონი და ბრიუერი). საბოლოო ანგარიშია - 120:114. სტუმართა რიგებში უნდა გამოვყოთ **ელ ჯეფერსონის** თამაში, რომელმაც დიდოსტატური შედეგი აჩვენა - 26 ქულა და ამდენივე მოხსნა! „ჰიუსტონის" რიგებში გმირად **აარონ ბრუქსი** იქცა. მან მოედანზე 60 წუთი (!) გაატარა. ასეთ მარათონს მხოლოდ ერთეულები თუ გაუძლებენ. აარონმა არათუ გაუძლო, არამედ 43 ქულაც შესძინა თავის გუნდს.

**ატლანტა-ვაშინგტონი 92:84**
17:13, 28:20, 21:29, 28:20
ა: ჯონსონი (24), კროუფორდი (22), უილიამსი (16+8 მოხსნა+4 დაფარება), სმიტი (10+11 მოხსნა+8 პასი).
ვ: ჯეიმისონი (25+19 მოხსნა), ფოიე (18+8 პასი), ბატლერი (15+11 მოხსნა), ჰეივუდი (13+10 მოხსნა).

**ინდიანა-ფინიქსი 122:114**
24:35, 28:33, 39:23, 31:23
ი: გრეინჯერსი (33+8 მოხსნა), დანლივი (30), ჰიბერტი (14+8 მოხსნა), უოტსონი (14+9 პასი), ჯონსი (11+9 მოხსნა).
ფ: სტაუდმაიერი (21), ნეში (20+9 პასი), ჰილი (14), რიჩარდსონი (13+8 მოხსნა), ბარბოზა (11), დრაგიჩი (11), ამუნდსონი (10).

**ფილადელფია-ნიუ იორკი 92:93**
26:30, 22:17, 20:21, 24:25
ფ: აივერსონი (16+5 პასი), კარნი (13), დალემბერი (12+21 მოხსნა), იანგი (11+8 მოხსნა), კაპონო (10).
ნ-ი: ლი (24+9 მოხსნა), ჩენდლერი (18), ჰარინგტონი (17), ჯეფრიზი (15+9 მოხსნა), გალინარი (12).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 87:111**
22:38, 13:33, 29:19, 23:21
ნ-ჯ: იანლიანი (19), ლოპესი (18+10 მოხსნა+4 დაფარება), ჰარისი (15+6 პასი).
ბ: პირსი (24), რ. ალენი (15), დევისი (13), პერკინსი (12+8 მოხსნა), რონდო (11+11 პასი), ტ. ალენი (11), სკალაბრინი (11).

**ნიუ ორლეანი-კლივლენდი 108:94**
28:25, 22:23, 28:22, 30:24
ნ-ო: ოკაფორი (21+7 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20), პოლი (15+15 პასი), უესტი (11+8 მოხსნა), ტორნტონი (11), ბრაუნი (10).
კ: დევისი (19+6 პასი), სკინერი (14), ტორნტონი (12+7 მოხსნა), გორდონი (11), კემბი (6+20 მოხსნა).

**ოკლაჰომა-სან ანტონ. 108:109 (ო)**
18:35, 33:28, 26:13, 22:23, 9:10
ო: დურანტი (35), უესტბრუკი (25+13 პასი), გრინი (16+10 მოხსნა), ჰარდენი (12+7 მოხსნა).
ს-ა: პარკერი (28+8 პასი), ბლერი (28+21 მოხსნა), ჰილი (16), ჯეფერსონი (13+6 მოხსნა), მაკდაესი (13+9 მოხსნა).

**დალასი-ლეიკერსი 95:100**
24:27, 21:22, 26:27, 24:24
დ: ნოვიცკი (30+16 მოხსნა), ჰოვარდი (18), კიდი (11+7 მოხსნა+11 პასი), მერიონი (10).
ლ: ბინუმი (22+11 მოხსნა), ოდომი (18+14 მოხსნა), არტესტი (16+11 მოხსნა), ფარმარი (12), ბრაიანტი (10).

**ჰიუსტონი-მინესოტა 120:114 (3ო)**
30:13, 23:31, 16:17, 20:28, 9:9, 7:7, 15:9
ჰ: ბრუქსი (43+5 პასი), არიზა (19+7 მოხსნა), ლენდრი (16+7 მოხსნა), ბატიე (14+12 მოხსნა), სკოლა (12), ჰეიესი (10+17 მოხსნა+6 პასი).
მ: ჯეფერსონი (26+26 მოხსნა), გომესი (18+8 მოხსნა), ელინგტონი (17), ბრიუერი (14).

**დენვერი-ორლანდო 115:97**
25:25, 25:28, 35:19, 30:25
დ: ენტონი (27+7 მოხსნა+5 პასი), ბილაპსი (24+5 პასი), სმიტი (17), ნენე (14+9 მოხსნა), აფლალო (13), მარტინი (11+10 მოხსნა).
ო: ბარნსი (28+9 მოხსნა), რედიკი (13), პიეტრუსი (12).

**პორტლენდი-მილუოკი 120:108**
31:16, 35:30, 31:25, 23:37
პ: როი (22), ოლდრიჯი (21+7 მოხსნა+6 პასი), მილერი (19+6 პასი), უებსტერი (15), ბეილესი (12), ბლეიკი (11).
მ: ილიასოვა (24), მიქსი (21), ბელი (12), ჯენინგსი (12+7 პასი), რიდნური (12+8 პასი), ბოგუტი (10+11 მოხსნა).

**გ. სტეიტი-მაიამი 102:115**
23:22, 21:30, 32:38, 26:25
გ-ს: მაგეტი (25), მოროუ (24), ელისი (17+6 პასი), მარტინი (11).
მ: უეიდი (35+7 მოხსნა+9 პასი), ო'ნილი (24+7 მოხსნა), ბიზლი (19), რიჩარდსონი (11), რაიტი (11).



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**ავტოსპორტი. დაკარი 2010**

# BMW-ს დღე



რალი-რეიდმა დაკარმა კიდევ ერთხელ გადაკვეთა საზღვარი და მონაწილეები არგენტინის ტერიტორიაზე დაბრუნდნენ. ამჯერად მათ მოკლე, მაგრამ რთული ეტაპი ჰქონდათ გასავლელი, რადგან ტრასის დიდი ნაწილი ანდების მაღალმთიან რაიონში გადიოდა.

მე-11 ეტაპზე კინალამ დაკარგა ლიდერობა **კარლოს საინსმა**. ესპანელს ორჯერ საბურავი დაეშვა, ერთხელ ტრასაზე ამოტრიალდა. მაგრამ კარლოსმა არა მარტო გააგრძელა ასპარეზობა, არამედ შეინარჩუნა ლიდერობა გენერალურ კლასიფიკაციაში, თუმცა ახლა მასსა და მეორე ადგილზე მყოფ კატარელ **ნასერ ალ ატიიაჰს** შორის სხვაობა 4 წუთამდე დავიდა, რაც დარჩენილ ეტაპებზე დაძაბული ბრძოლის გარანტიას იძლევა. სხვათა შორის, აზიელიც ვერ გადაურჩა ავარიას - ის ხეს შეეჯახა და როგორც ფინიშის შემდეგ აღიარა, კინალამ ამოტრიალდა.

საბოლოოდ, ალ-ატიაჰმა წინ გაუშვა ფრანგი გერლენ შიშერი, არგენტინელი ორლანდო ტერანოვა და ჯერჯერობით მოქმედი ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **ჟინიელ დე ვილიერსი**.

■ ■ ■

უცნაური ამბავი მოხდა მოტოციკლთა კლასში - პირველად 2001 წლის შემდეგ ეტაპის მოგება შეძლო ბმვ-ის წარმომადგენელმა. ტრიუმფატორი ჰოლანდიელი **ფრანც ვერჰოვენი** აღმოჩნდა, რომელსაც მთელი ეტაპი დაძაბული ბრძოლა ჰქონდა ამერიკელ **ჯონ სტრიტთან** და საბოლოოდ მას ფინიშზე 3 წამით აჯობა.

საერთო ჩათვლის ლიდერმა **სირილ დესპრემ** კი კვლავ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და მეშვიდე მივიდა ფინიშთან. ამგვარი სტრატეგია ამართლებს, რადგან ფრანგი კონკურენტებს მიახლოების საშუალებას არ აძლევს და დამაჯერებლად მიიწევს გამარჯვებისკენ.

დაკარის დასრულებამდე სამი ეტაპია დარჩენილი.

**XI ეტაპი**

**სანტიაგო-სან ხუანი (220 კმ)**

**მანქანები**

1. გერლენ შიშერი (საფ, BMW) - 02:34:51; 2. ორლანდო ტერანოვა (არგ, მიცუბისი) - +00:30; 3. ჟინიელ დე ვილიერსი (ს. აფრ, ფოლკსვაგენი) - +00:39; 4. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატ, ფოლკსვაგენი) - +01:41; 5. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) - +02:50; 6. სტეფან პეტერანსელი (საფ, BMW) - +02:52.

**საერთო ჩათვლა**

1. კარლოს საინსი (ესპ, ფოლკსვაგენი) - 39:16:55; 2. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატ, ფოლკსვაგენი) - +04:28; 3. მარკ მილერი (აშშ, ფოლკსვაგენი) - +23:50; 4. სტეფან პეტერანსელი (საფ, BMW) - +02:09:53; 5. გერლენ შიშერი (საფ, BMW) - 02:23:40; 6. კარლოს სოუზა (პორტუგალია, მიცუბისი) - +03:54:12.

**მოტოციკლები**

1. ფრანც ვერჰოვენი (ჰოლ, BMW) - 2:44.50; 2. ჯონ სტრიტი (აშშ, KTM) - +0.03; 3. ალენ დიუკლო (საფ, KTM) - +1.25; 4. ანდერს ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +2.26; 5. ფრანსისკო ლოპესი (ჩილ, აპრილია) - +3.48; 6. დავიდ ფრეტინი (საფ, იამაჰა) - +3.49.

**საერთო ჩათვლა**

1. სირილ დესპრე (საფ, KTM) - 39:15:59; 2. ანდერს ულევალსეტერი (ნორ, KTM) - +01:22:49; 3. ფრანსისკო ლოპესი (ჩილ, აპრილია) - +01:24:07; 4. ელდერ როდრიგესი (პორ, იამაჰა) - +01:24:59; 5. ალენ დიუკლო (საფ, KTM) - +01:57:35; 6. დავიდ ფრეტინი (საფ, იამაჰა) - +02:11:29.

**ჩოგბურთი**

# მსოფლიოს ჩემპიონატი დევისის თასის ნაცვლად?

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაში არსებობს მოთამაშეთა საბჭო, რომელიც მეტად საინტერესო ინიციატივით გამოვიდა. წამყვან ჩოგბურთელებს სურთ ჩაატარონ მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც მთავარი გუნდური საერთაშორისო ტურნირი გახდება და ის დევისის თასს ჩაანაცვლებს.

სერბი ჩოგბურთელის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** აზრით, მსგავსი ნაბიჯი ოდნავ მაინც შეამცირებს საჩოგბურთო სეზონს და ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს სპორტსმენებს. ცნობისთვის, ჯოკოვიჩთან ერთად მოთამაშეთა საბჭოში **როჯერ ფედერერი** და **რაფაელ ნადალიც** შედიან.

*„ჩვენ ეს წინადადება ყველა მხარესთან უნდა განვიხილოთ,* - აღნიშნა ჯოკოვიჩმა. - *ვცდილობთ სპორტის ეს სახეობა უფრო საინტერესო გავხადოთ. ეს არის მთავარი მიზანი“.*

სერბმა ჩოგბურთელმა არ გაამხილა მომავალი ტურნირის დეტალები, თუმცა ბრიტანულმა პრესამ გაარკვია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს, სავარაუდოდ, „ერთა დიდი სლემი“ დაერქმევა. მისი ჩატარება ორ წელიწადში ერთხელ არის დაგეგმილი. ტურნირი 10 დღე გაგრძელდება და მასში 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ისინი ოთხ ქვეჯგუფად იქნებიან დაყოფილნი. პლეი ოფში 16 გუნდი გავა. თითო შეხვედრა სამ მოგებულ სეტამდე გაგრძელდება, ამასთან, ყოველ მატჩში თითო ნაკრები ორი ჩოგბურთელით იქნება წარმოდგენილი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **აფრიკის თასი** | |
| მალი-ალჟირი | 0:1 |
| ანგოლა-მალავი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბლექბერნი-ასტონ ვილა | 0:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ფიორენტინა-კიევო | 3:2 |
| უდინეზე-ლუმეცანე | 2:0 |
| ლაციო-პალერმო | 2:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| მალიორკა-ვალეკანო | 3:1 |
| ატლეტიკო-რეკრეატივო | 5:1 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ვარეგემი-სერკლი | გადაიდო |
| **თურქეთის თასი** | |
| ანკარაგიუჯუ-ტრაბზონი | 0:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| მარუსი-მაკაბი | 83:75 |
| რომა-ოლიმპია | 69:48 |
| ცსკა-კახა ლაბორალი | 84:83 |
| ფენერბაჰჩე-ჟალგირისი | 68:76 |
| ციბონა-ვილერბანი | 73:71 |
| ბარსელონა-მონტეპასკი | 85:70 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-ამური | 2:3 |
| ლადა-ატლანტი | 1:1 |
| აკ ბარსი-სკა | 1:2 |
| ლოკომოტივი-ვიტიაზი | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 4:2 |
| დინამო (მ)-ტრაქტორი | 4:3 |
| სპარტაკი-ცსკა | 3:1 |
| მვდ-ტორპედო | 3:6 |
| დინამო (მნ)-მეტალურგი (მ) | 1:2 |
| დინამო (რ)-ავტომობილისტი | 4:0 |
| **გერმანია** | |
| კრეფელდი-ინგოლშტადტი | 2:1 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-ნორდსილანდი | 5:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სპარტა | 2:3 |
| ლილეჰამერი-ვოლერენგა | 3:1 |
| სტიორნენი-ლორენსკოგი | 3:5 |
| ფრისკ ასკერი-მანგლერუდი | 6:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-კოშიცე | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-პელიკანსი | 5:3 |
| სეიპა-კერპეტი | 0:3 |
| ტაპარა-ესეტი | 4:3 |
| ჰიფკ-კიეკო | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-სიოდერტალე | 4:2 |
| ტიმრა-როგლე | 2:0 |
| ფერიესტადი-მოდო | 5:2 |
| ფრიოლუნდა-ლინჩოპინგი | 4:3 |
| ჰ371-აიკ | 3:1 |
| იურგორდენი-ლულეა | 1:3 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| რობრედო-ისნერი | 6:7, 6:3, 4:6 |
| მელცერი-კლემანი | 2:6, 5:7 |
| კოლშრაიბერი-ციკელი | 6:3, 6:1 |
| **ATP. სიდნეი** | |
| სტარაჩე-გასკე | 3:6, 6:7 |
| ბენეტო-მაიერი | 6:4, 6:7, 6:0 |
| ბალდატისი-ჰიუიტი | 4:6, 6:2, 6:3 |
| ფიში-ლუჩაკი | 7:6, 6:2 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| ა. ბონდარენკო-ყენგი | 7:5, 7:5 |
| ფლიპკენსი-ერანი | 3:6, 4:6 |
| მედინა გარიგესი-დულკო | 6:1, 5:7, 6:1 |
| სუარეს ნავარო-პეერი | 6:4, 6:7, 5:7 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ს. უილიამსი-რეზაი | 3:6, 7:6, 6:4 |
| დემენტიევა-აზარენკა | 6:3, 6:1 |

**სხვადასხვა**

**ოლიმპიზმი**

## ბარსელონა ზამთრის თამაშებს უმიზნებს

ბარსელონას მთავრობა 2022 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებს.

*„ჩვენს ქალაქს ოლიმპიადის მიღების კარგი შანსი აქვს. გვინდა ფრთა შევასხათ ჩვენს ოლიმპიურ ოცნებას. ქალაქი მზად არის ზამთრის თამაშების სამასპინძლოდ, მით უმეტეს, რომ უკვე გვაქვს დიდი სპორტული ფორუმის მასპინძლობის გამოცდილება“,* - განაცხადა ქალაქის მერმა **ხორდი ერეუმ**. მან იმაზე მიანიშნა, რომ 1992 წელს ამ ქალაქში ზაფხულის ოლიმპიადა გაიმართა.

ამ განაცხადის შემდეგ, ესპანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არჩევანის წინაშე დადგა, რადგან 2022 წელს ოლიმპიადის ორგანიზება სარაგოსასაც სურს.

ჯერჯერობით ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ ქალაქს ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიადისთვის ემასპინძლოს. პირველად ამის გაკეთების შანსი აქვს მიუნხენს, რომელიც ადრე მასპინძლობდა ზაფხულის თამაშებს, ახლა კი 2018 წლის თეთრი ოლიმპიადის ორგანიზების სურვილი აქვს.

**თხილამურებით რბოლა**

## ბერგერი ორ ფრონტზე

ცნობილ ნორვეგიელ ბიატლონისტს **ლარს ბერგერს** ვანკუვერის ოლიმპიადასთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები აქვს. კერძოდ, ის 2010 წლის თამაშებზე ბიატლონის გარდა თხილამურებით რბოლაშიც აპირებს გამოსვლას. სპორტსმენის გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ ის კანადაში ორ სახეობაში ვიხილოთ.

*„თუ სათხილამურო რბოლაში კვალიფიკაციას გავივლი, სპორტის ამ სახეობაშიც ვიბრძოლებ მედლებისთვის“,* - ამბობს ბერგერი, რომელიც ბიატლონში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია - მან ერთხელ მოიგო ინდივიდუალური რბოლა და ორჯერ ესტაფეტა. თუმცა ნორვეგიის მოთხილამურეთა ნაკრების დამრიგებელი **მორტენ დიუპვიკი** ჯერჯერობით ბერგერში მხოლოდ იდეალურ სარეზერვო მოთხილამურეს ხედავს.

თეორიულად, ლარსს ვანკუვერში 12 დღის განმავლობაში შვიდ რბოლაში მოუწევს გამოსვლა.

**ჰოკეი**

## სელიანე ოლიმპიადის მიღმა?

ვანკუვერის ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირზე შეიძლება ვერ ვიხილოთ ფინეთის ნაკრების ვეტერანი ვარსკვლავი **ტეემუ სელიანე**. ჰოკეის ეროვნული ლიგის ბოლოს ტურში „ბოსტონის“ წინააღმდეგ ფორვარდმა ყბა გაიტეხა.

*„ეს უდიდესი დანაკლისია ჩვენთვის. როგორც იქნა, დავაბალანსეთ შემადგენლობა და ახლა ეს ტრავმა მორიგ პრობლემას შეგვიქმნის. ექიმების ვერდიქტს დაველოდებით და შემდეგ გვეცოდინება ტეემუს მოედანზე დაბრუნების თარიღი“,* - ამბობს „ანაჰაიმის“ დამრიგებელი **რენდი კარლაილი**.

სავარაუდოდ, ფინელს ოთხიდან რვა კვირამდე მოუწევს უსაქმოდ ყოფნა. ამ სეზონში სელიანემ 29 მატჩი ჩაატარა და 16 შაიბა გაიტანა.

**ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი**

**მინესოტა-ვანკუვერი 5:2**

2:1, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 ბროძიაკი-6 (ლატენდრესი-7, ნ. შულტცი-12), 2:0 მ. კოივუ-13 (მიეტინენი-12), 2:1 კესლერი-12 (რეიმონდი-15, ერჰოფი-14), 2:2 ბაროუზი-20 (სალო-8, სამუელსონი-16), 3:2 მიეტინენი-10 (მ. კოივუ-31, ჟიდლიცკი-25), 4:2 ნოლანი-11 (ბელანჟე-16), 5:2 მიეტინენი-11.

**ფლორიდა-ვაშინგტონი 4:5 (ბ)**

2:0, 2:2, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 ფროლიკი-13 (უეისი-22, ჰორტონი-29), 2:0 მური-8 (კრეპსი-6, ლეოპოლდი-9), 2:1 ჩიმერა-10, 3:1 უეისი-19 (მაკეიბი-17, ფროლიკი-15), 4:1 გ. კემპბელი-1 (ორეშკოვიჩი-3, საიდენბერგი-17), 4:2 პოტიე-4 (ბ. მორისონი-18, ჩიმერა-12), 4:3 ოვეჩკინი-23, 4:4 ბექსტრიომი-19 (მ. გრინი-34).

**კალგარი-პიტსბურგი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 კროსბი-30 (იტონი-8), 1:1 ჯორდანო-6 (დეივსი-14, რენე ბურკი-21), 1:2 გერინი-15 (გონჩარი-20, გოლიგოსკი-16), 1:3 ტაილერ კენედი-8 (ჯ. სტაალი-17).

**ანაჰაიმი-ბოსტონი 4:3**

1:0, 1:3, 2:0

გოლები: 1:0 სექსტონი-7 (რაიანი-17, ვიშნიევსკი-17), 1:1 ხარა-4 (კრეისი-17, რაიდერი-8), 1:2 პანვიკი-6 (რეკი-17, შტურმი-9), 2:2 ბელესკი-4 (ნოკელაინენი-5, პერი-28), 2:3 შტურმი-15 (რეკი-18, შატანი-1), 3:3 გეტცლაფი-12 (ვიშნიევსკი-18, მარჩანტი-8), 4:3 ემინგერი-1 (რაიანი-18, ს. კოივუ-19).

**TV პროგრამა**

**15 იანვარი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
08:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტურის მიმოხილვა.
09:10 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტური. ბარსელონა-მონტეპასკი.
10:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-პიტსბურგი.
12:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ბარი.
14:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-ასტონ ვილა.
16:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
17:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტური. ცსკა-კახა ლაბორალი.
19:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლამბუსი.
21:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტურის მიმოხილვა.
22:30 სპორტკლუბი.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-პიტსბურგი.
03:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტური. ბარსელონა-მონტეპასკი.
05:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ბარი.
06:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-ასტონ ვილა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ინტერი-რუბინი.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ინტერი.
11:40 ფეხბურთი. რეტრო-მატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. 2004-05. ტოტენჰემი-არსენალი.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტურის მიმოხილვა.
14:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. IX ტური. ბარსელონა-მონტეპასკი.
15:40 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. უკრაინა.
17:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-პიტსბურგი.
18:45 სპორტული ცეკვები.
19:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბორუსია (მ).
21:15 Libero.
22:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლამბუსი.
23:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
00:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. X ტურის მიმოხილვა.
01:00 ფეხბურთი. რეტრო-მატჩი. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04. ლოკომოტივი-დინამო (კ).
02:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
04:20 ფეხბურთი. რეტრო-მატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. 2004-05. ტოტენჰემი-არსენალი.
06:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ბორუსია (მ).
07:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-არსენალი.

**EUROSPORT**

11:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ვინტერბერგი. გერმანია.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია (LIVE).
13:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
13:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
14:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ელენა დემენტიევა (რუსეთი)-სერენა უილიამსი (აშშ). სიდნეი. ავსტრალია.
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:15 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. ანგოლა (LIVE).
21:55 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
22:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-განა. ანგოლა (LIVE).
23:20 რალი. დაკარი 2010. XIII ეტაპი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-განა. ანგოლა (LIVE).
00:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
00:45 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი. დაკარი 2010. XIII ეტაპი (LIVE).
02:45 სნუკერი. მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
03:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
03:30 ექსტრემალური სპორტი.
03:45 რალი. დაკარი 2010. XIII ეტაპი.

ფორმულა 1

# 20 ჩემპიონი ბაჰრეინში



2010 წლის სეზონის პირველი ეტაპის - ბაჰრეინის გრან-პრის ორგანიზატორები ორიგინალურად ეხმიანებიან ფორმულა 1-ის დაარსების 60 წლისთავს.

მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული სერიის პირველი გრან-პრი 1950 წლის 13 მაისს ჩატარდა, - ასე რომ, იუბილე ესპანეთისა და მონაკოს ეტაპებს შორის პერიოდს ემთხვევა, მაგრამ სწორედ ბაჰრეინში იმართება 61-ე ჩემპიონატის პირველი რბოლა და ორგანიზატორებმა გრანდიოზული ღონისძიების ჩატარების შანსი ხელიდან არ გაუშვეს.

ჩანაფიქრის მიხედვით, ბაჰრეინში უნდა შეიკრიბოს ფორმულა 1-ის ყველა ცოცხალი ჩემპიონი, ასეთი კი დღეს 20 პილოტი არსებობს.

თუმცა ბევრს სკეპტიკურად უყურებს ასეთი ღონისძიების გამართვას. მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე ვეტერანი ჩემპიონი ხანდაზმულ ასაკში იმყოფება და ხანგრძლივი მომქანცველი მგზავრობა უბრალოდ არ შეუძლია. მაგალითად, 1959, 1960 და 1966 წლების ჩემპიონის - **ჯეკ ბრებემის** ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა - 84 წლის ყოფილ პილოტს ზაფხულში თირკმელმა უმტყუნა.

ხანდაზმულობის მხრივ შემდეგი ჩემპიონია 75 წლის **ჯონ სერტისი**, საკმაოდ აქტიური ადამიანი. რაც შეეხება დანარჩენ ტრიუმფატორებს, მათ ჯერ არ მიუღწევიათ იმ ასაკამდე, რომ ვერ შეძლონ ბაჰრეინში ჩასვლა. მაგრამ ყველა მოინდომებს ამის გაკეთებას?

მაგალითად, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **ნელსონ პიკემ** შეიძლება უარი განაცხადოს აქციაში მონაწილეობაზე. სხვას რას უნდა ელოდე ადამიანისგან, რომლის შვილსაც სარბოლო მომავალი წაართვა ფორმულა 1-ის შეფობამ? სავსებით შესაძლებელია ბაჰრეინში ვერ ვიხილოთ **კიმი რაიკონენი**, რომელიც რალის მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტისთვის ემზადება. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან რთული დამოკიდებულება აქვს **ჯოდი შექტერს**...

თუმცა ამ პილოტების გარეშეც საერთო სია მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. მასში მოქმედი პილოტების - **მიხაელ შუმახერის, ფერნანდო ალონსოს, ლუის ჰემილტონისა** და **ჯენსონ ბატონის** გარდა, ვეტერანები ტრიუმფატორები შედიან - **ჯეკი სტიუარტი, ემერსონ ფიტიპალდი, ნიკი ლაუდა, მარიო ანდრეტი, ალან ჯონსი, კეკე როსბერგი, ალენ პროსტი, ნაიჯელ მენსელი, დეიმონ ჰილი, ჟაკ ვილნევი** და **მიკა ჰაკინენი**.

გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბაჰრეინის გრან-პრის ორგანიზატორებს საკმარისად ჰქონდათ წონადი არგუმენტი ნებისმიერი თუნდაც ოპოზიციონერი პილოტის დასაყოლიებლად - ეს არგუმენტი ფული გახლავთ.

*„მათთვის, ვისაც უყვარს ფორმულა 1 და მრავალი წელია ადევნებს თვალს ჩემპიონატს, ეს უნიკალური მოვლენა იქნება“*, - ამბობს ბაჰრეინის ავტოდრომის აღმასრულებული დირექტორი **მარტინ უიტაკერი**.

სხვათა შორის, ორგანიზატორები მხოლოდ ჩემპიონი პილოტების მიწვევით არ შემოიფარგლებიან. ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ გუნდებთან და კერძო მფლობელებთან იმ მიზნით, რომ ავტოდრომზე ყველა საჩემპიონო ბოლიდი ჩაიყვანონ.



# რომი მონცას ჩაანაცვლებს?

როგორც უკვე ვწერდით, თითქმის გადაწყვეტილია იტალიის დედაქალაქ რომის ქუჩებში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარება. შესაბამისად, იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ორი რბოლა ექნება - მონცა და რომი. მაგრამ ბოლო ინფორმაციით, თუ რომის გრან-პრის ჩატარება გადაწყდა, მაშინ მონცას რბოლას კალენდრიდან ამოიღებენ. ეს ახალი ამბავი ფინელმა კორესპონდენტმა **ჰეიკი კულტამ** გაავრცელა, რომელიც ამ დღეებში იტალიის ზამთრის კურორტ მადონა დი კამპილიოს სტუმრობდა. აქ „ფერარი“ მთელი შემადგენლობით არის ჩასული, კურორტს აგრეთვე ფორმულა 1-ის ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექლსტოუნიც** სტუმრობს.

შობამდე ცოტა ხნით ადრე ექლსტოუნმა დაადასტურა, რომ რომაული ეტაპის ჩატარების შესახებ ხელშეკრულებას უკვე მოაწერა ხელი. მაშინ იტალიის დედაქალაქის მერმა **ჯანი ალემანომ** შემდეგი განაცხადა: *„რომის გრან-პრის არ უნდა ჩავთვალოთ მონცას რბოლის ალტერნატივად. იქაური ეტაპი ავტოდრომზე ტარდება, ჩვენთან კი პილოტები ქუჩაში ირბოლებენ. ამიტომაც ჩანაცვლება არ იქნება“.*

თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ექლსტოუნზეა. 2008 წლიდან ორი გრან-პრი ტარდება ესპანეთში, კერძოდ ბარსელონასა და ვალენსიაში, ორი რბოლა იტალიასაც ჰქონდა - 2006 წლამდე ეტაპებს იმოლა და მონცა მასპინძლობდნენ. მაგრამ ამ სეზონიდან კალენდარში გაჩნდა კორეის გრან-პრი, მომავალ წელს დებიუტი ექნება ინდურ ეტაპს, შესაბამისად, ეტაპების საერთო რიცხვი ოცამდე გაიზრდება, გუნდები კი ეწინააღმდეგებიან ისედაც გაზრდილი კალენდრის კიდევ უფრო გაფართოებას, რადგან ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

# ვინ იქნება შემდეგი?



როგორც გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, ფორმულა 1-ის 2008 წლის ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** თავის შეყვარებულს, ჯგუფ Pussycat Dolls-ის სოლისტ **ნიკოლ შერცინგერს** დაშორდა. ოფიციალური განცხადების შემდეგ ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორებმა ფსონების მიღება დაიწყეს იმაზე, თუ ვინ გახდება „მაკლარენის“ ინგლისელი პილოტის ახალი გერლ-ფრენდი.

ბუკმეიკერები ყველაზე რეალურად თვლიან პილოტის რომანს მსახიობ და მოდელ - **ჯემა ატკინსონთან**, რომელიც ცნობილია რომანებით „რეალისა“ და „სანდერლენდის“ ფეხბურთელებთან - **კრისტიანო რონალდოსა** და **მარკუს ბენტთან**. თუმცა ბუკმეიკერები თითქმის იმავე ფსონს ჩამოდიან შავკანიან ინგლისელ მომღერალ **ალექსანდრა ბურკზე**.

ჰემილტონის „მეგობარი გოგონას“ სტატუსს უწინასწარმეტყველებენ აგრეთვე მსახიობ **ჯენიფერ ენისტონს** და მომღერლებს - **ლილი ალენს, მელანი ბრაუნსა** და **რიანას**.

კრივი



# ჰატონი მართლა დაბრუნდა

ცნობილი ბრიტანელი მოკრივე **რიკი ჰატონი** საბოლოოდ დაბრუნდა დიდ სპორტში. მოკრივის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰატონი 2010 წელს გავა რინგზე.

რიკი ვარჯიშს თებერვლის ბოლოს განაახლებს. ჯერჯერობით უცნობია ჰატონის მომავალი მეტოქე და რინგზე დაბრუნების კონკრეტული თარიღი. თუმცა ინგლისელმა აღნიშნა, რომ მისი ახალი მეტოქე „რომელიმე ჩემპიონი ან ძალიან ცნობილი მოკრივე იქნება“.

რიკი პირველ რიგში, გეგმავს ტელეკომპანია Sky TV-სთან მოლაპარაკებებს, რომლის დროსაც უნდა დაზუსტდეს მომავალი ბრძოლების თარიღები. მხოლოდ ამის შემდეგ შეარჩევს ბრიტანელი სავარაუდო მოწინააღმდეგეებს.

შეგახსენებთ, რომ რიკი ჰატონს კარიერაში მხოლოდ ორი ბრძოლა აქვს წაგებული. ინგლისელი მოკრივის დამარცხება ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა** და ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** შეძლეს.

რა თქმა უნდა, ჰატონის დაბრუნება დიდი მოვლენაა ბრიტანული კრივისთვის, თუმცა რიკის ყოფილი მწვრთნელი **ბილი გრემი** მიიჩნევს, რომ მისი შეგირდი ველარ შეძლებს ძველ დონეზე გამოსვლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


